თურქეთის ეკონომიკური კრიზისის გამოძახილი საქართველოში A4

ჰუსეინი თვით სატანასაც გაუმკლავდება A5

„ვითას“ პრეზიდენტი გაქრა A7



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ხუთშაბათი, 18 ივლისი, 2002 წელი. №46

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

# ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამა ახალ ფაზაში შედის



ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველ ოფიცრებს ამეცადინებენ.

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი* თედო ჯაფარიძე *გუშინ თავდაცვის ეროვნულ აკადემიას ეწვია და ადგილზე გაეცნო წვრთნისა და აღჭურვის ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამის მიმდინარეობას. იგი დაესწრო მეცადინეობას, რომელიც ამერიკელმა ინსტრუქტორებმა ქართველ ოფიცრებს ჩაუტარეს. შეერთებულ შტატებში ელჩად ყოფნის პერიოდში ჯაფარიძე თავად იდგა ამ პროგრამის შექმნის სათავეებთან და, ამდენად, ამჟამინდელი თანამდებობაც რომ არა, ამერიკული სამხედრო დახმარებისადმი მისი მხრიდან გამოჩენილი დაინტერესება მაინც გასაგები იქნებოდა.*

*მითუმეტეს, ბოლო პერიოდში პროგრამის ირგვლივ ბევრი ჭორი აგორდა. კერძოდ, ქართულ და უცხოურ პრესაში გამოითქვა მოსაზრებები, თითქოს მის შესრულებას საფრთხე ემუქრება. განგაშის ხმები, მასმედიის გარდა, პარლამენტშიც გაისმა.*

**"მსურველები იმისა, რომ დეზინფორმაცია გაავრცელონ, ბევრნი არიან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. გარკვეულ მომენტში მოხდა მათი ინტერესების თანხვედრა. ამგვარ შემთხვევებთან, ალბათ, მომავალშიც ხშირად გვექნება საქმე, მაგრამ მთავარია, რომ ქართულ-ამერიკული პროგრამა ეფექტურად ხორციელდება და მისი მიმდინარეობით**

გაგრძელება A3 გვერდზე

## რა უნდა იღონონ ქართველებმა, საქართველო რომ არ დაიბომბოს?

### ყოველკვირეული "ვერსიას" მთავარი რედაქტორის რუსტამ არიფჯანოვის ვერსია

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

15 ივლისის გაზეთ "ვერსიას" პუბლიკაციებს ნამდვილად ვერ უწოდებ ორ ქვეყანას შორის მორიგ მედია-სკანდალს, რადგანაც მთავარი რედაქტორის სვეტი და ევგენი კრუტიკოვის მიერ მომზადებული სტატიები ამჯერად საქართველოს თავზე დასატეხი მორიგი უბედურების თაობაზე გაფრთხილების მიზნით დაიწერა.

ყოველ შემთხვევაში, "24 საათისათვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ამაში არწმუნებს ქართულ საზოგადოებას გაზეთის მთავარი რედაქტორი **რუსტამ არიფჯანოვი.**

**"დაიბომბოს საქართველო?",**

**"მიაღწევს თუ არა რუსეთი საქართველოსაგან დამნაშავეთა გაცემას?"**

**"რუსეთის ნომერი პირველი მტერი - ჩვენ ვიცით, ვინ არის იგი და სად იმალება,"**

**"გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა – როგორ ხოცავდა გოჩიაევი მოსკოველებს,"**

**"პანკისი, როგორიც იგი არის,"**

**"როგორ იჭერდნენ გოჩიაევს,"**

**"როგორ ცხოვრობს დიდი კავკასიის ყველაზე კრიმინალური ხეობა?"**

– აი, 15 ივლისის რუსული გაზეთის "ვერსიას" პუბლიკაციათა სათაურები. უფრო შემაძრწუნებელი დეტალები თავად სტატიებშია, თუმცა რუსტამი გვუბნება, რომ "მათ ახალი არაფერი უთქვამთ."

გაგრძელება A8 გვერდზე

## ამერიკა დახმარების გაზრდას გვპირდება

### ქართულ კორუფციაზე, ბიზნეს-გარემოსა და ფულის გათეთრებაზე ამერიკელები ჯერ არ საუბრობენ

გვანცა ქვინიკაძე

*აშშ-ს ფინანსთა მინისტრი პოლ ო`ნილი უკრაინაში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში სტუმრობის შემდეგ, გუშინ საქართველოსაც ეწვია. ამერიკის ადმინისტრაციის შეფასებით, ამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა საბაზრო ეკონომიკის გზაზე ყველაზე მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ და ამიტომ იგი მათთვის ფინანსური დახმარების გაზრდას გეგმავს. თუმცა, ამერიკელების მიერ ამ ოთხი ქვეყნის გამორჩევის მთავარი კრიტერიუმი, ალბათ, მაინც მათი ანტიტერორისტულ კამპანიაში აქტიურად ჩართვა იყო.*

აშშ-ს ეკონომიკური სფეროს ასეთი მაღალი დონის წარმომადგენლის ვიზიტის მიზანს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღება წარმოადგენს. თუმცა, ო`ნილმა საქართველომდე მონახულებულ ქვეყნებში საკმაოდ მკაცრი შენიშვნები გააკეთა საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების, ფულის "გათეთრებასთან" ბრძოლისა და ბიზნესის გამჭვირვალობის დონის ამაღლებასთან მიმართებაში. არც ერთ ამ სფეროში საქართველოსაც არაფერი აქვს თავის მოსაწონებელი. ქართველ ჩინოსანთა განცხადებით, ამ სფეროებში არსებული მდგომარეობის შეფასებები მთავრობის ეკონომიკური ბლოკისა და ო`ნილის მოადგილის, ჯონ ტეილორის შეხვედრაზე ამერიკული მხრიდან არ გაკეთებულა. ეკონომიკური რეფორმების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის, თემურ ბასილიას თქმით, ამერიკული დელეგაცია სავსებით დაკმაყოფილდა

გაგრძელება A4 გვერდზე


ნავთობსადენის საზოგადოებრივი პრესი A2

ახალი საკრებულოს გარეშეც ყველაფერი რიგზე ყოფილა A2

რუსთავის რევოლუცია დროებით გადაიდო A3

"ნაციონალები" ტაქტიკას ცვლიან A3

ევრობანკის მომავალ პრეზიდენტს ასამართლებენ A4

ბრეჟნევის შვილიშვილი კომუნისტური პარტიის დიდების აღდგენას ეცდება A5

ნარჩემაშვილი ძველ გაკვეთილს აბარებს A7

გოლების წვიმა ქუთაისში B6


## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | მზიანი |
| ქუთაისი | 31 | წვიმა |
| ბათუმი | 29 | წვიმა |
| სოხუმი | 29 | წვიმა |
| ფოთი | 30 | წვიმა |
| თელავი | 32 | მზიანი |
| ზუგდიდი | 31 | წვიმა |
| გორი | 29 | მზიანი |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1949 |
| ევრო | 2.2193 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4528 |
| რუბლი | 0.0696 |

## ალექსეი მიტროფანოვი პანკისში ომს და საქართველოში ახალი პრეზიდენტის ჩამოყვანას აპირებს

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვი*

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრთან, ერთგულ ჟირინოვსკელ **ალექსეი მიტროფანოვთან** ინტერვიუ იმ დროს ჩავიწერეთ, როცა დიმიტრი როგოზინის ინიციატივით დუმაში რუსეთის უმაღლესი გენერალიტეტი ჰყავდათ მიწვეული და სამი კომიტეტის დახურული სხდომა პანკისის ხეობის პრობლემას იხილავდა. რუსეთის პარლამენტის ნამდვილი "ქორების" სულისკვეთებასთან ერთად რეაქციონერი მიტროფანოვის ნააზრევი იმითაცაა საყურადღებო, რომ მასა და როგოზინისნაირთ დღეს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეები ყურადღებით უსმენენ და ანგარიშსაც უწევენ.

დღეს, როცა პანკისის ხეობისა და იქ მოკალათებული ბანდიტების მიმართ რუსეთის საზოგადოებასა და პრესაში ნამდვილი ისტერიაა, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან წამოსული ნებისმიერი უწყინარი "დირექტივა" და უპასუხისმგებლო განცხადებაც კი შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ორი ქვეყნის ურთიერთობებისათვის. როგორც ჩანს, რუსი დეპუტატები ასეთ განცხადებებს შეგნებულად აკეთებენ და რუსულ პრესაში ბოლო დღეების ანტიქართულ ისტერიასაც ჰყავს თავისი კონკრეტული ადრესატი - შევარდნაძე და საქართველოში მოკალათებული ბანდიტები. ეს უკვე ნამდვილი ფსიქოზია - სხვას ვერაფერს დაარქმევ ბოლო დღეების რუსული პრესის ე.წ. ქართულ მიმოხილვას, სადაც ერთადერთი ფრაზა ლოზუნგივით ფიგურირებს: "დავბომბოთ, გავანადგუროთ პანკისური ბუდე".

გაგრძელება A8 გვერდზე

## დღეს ფოთის გემთმშენებლის „მიმტაცებლებს„ ჩაძირავენ!

დღეს ფოთის გემთმშენებელი ქარხნის პრივატიზაციასთან დაკავშირებული აფიორის მოქმედი გმირები გახდებიან ცნობილი.

ფოთის გემთმშენებელი, ისევე როგორც ბევრი მსგავსი, ფაქტობრივად სტრატეგიული საწარმო, კაპიკებად გახლავთ გასხვისებული.

მეტიც, ისტორიამ, რომელიც დღეს გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი, თავად საქართველოს პრეზიდენტიც სახტად დატოვა.

წინასწარი ინფორმაციით, უკვე შეგროვებულია საკმაოდ სკანდალური მასალები ამ ქარხნის პრივატიზებასთან დაკავშირებით.

ამ მასალებმა, შესაძლოა, ერთიორი ძალიან გავლენიანი პირი გადაიყოლოს. ყოველ შემთხვევაში, სააამისო განწყობაა მასალების შემსწავლელ ჯგუფში.

სავარაუდოა, რომ თავად აფიორის მონაწილეებისათვის საკითხის ამრიგად გახსნა დღეს სიურპრიზი აღმოჩნდება.

*"24 საათი"*

## შაბათს, 20 ივლისს „24 საათის“ დამატებაში „სამყარო“

# ინტერვიუ ოთარ ჭილაძესთან



ზოგიტა ბუხაიძის ფოტო

**"თქვენს "ხაფანგში" კი მოვხვდი, მაგრამ ფარხმალს მაინც არ დავყრი და შევეცდები, ყველაფერზე გიპასუხოთ, ანუ, ბოლომდე დავიცვა თავი, რამდენადაც ნებისმიერი შეკითხვა გარკვეული თვალსაზრისით ბრალდებაცაა და სულერთია, რა გედება ბრალად: გზა, რომელზედაც ამდენი ხანია მიდიხარ, თუ თვითონვე რომ არ იცი წინასწარ, რას იპოვი ამ გზაზე".**

## ევროსაბჭო ისევ თურქ-მესხებს და რელიგიურ უმცირესობებს გვახსენებს

თამარ ხორბალაძე

*"ჩვენ საქართველოს შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან ვიღებთ, იქნებიან ეს ელჩები, არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ჩვენი ექსპერტები. გარდა ამისა, ჩვენ გაგვაჩნია წარმომადგენლობა საქართველოში. ამიტომ, თუ თქვენ აშენებთ ღია საზოგადოებას, ყველაფერი ერთ ადამიანს არ უნდა დააბრალოთ. ჩვენ ყველა შესაძლებელ წყაროს ვიყენებთ!.." - განაცხადა გუშინ ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრისას ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლიდია პოლფერმა. ამით, მან, ფაქტობრივად, გაუკეთა კომენტარი საქართველოში ბოლო პერიოდში საკმაოდ გახმაურებულ "ჩამშვებობის" თემას.*

თურქი-მესხების დაბრუნება საქართველოში, კანონი რელიგიის შესახებ, საქართველოში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნები, სამართალდამცველი და უშიშროების სისტემის რეფორმა - ასეთი გახლდათ საკითხთა სპექტრი, რომელზეც საქართველოში სტუმრად მყოფი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი ლიდია პოლფერი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ესაუბრა.

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გახლდათ თურქი-მესხების საკითხის განხილვა. იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა სტუმარს განუცხადა, რომ სამინისტროში მუშავდება კანონპროექტი თურქი-მესხების რეპატრიაციის შესახებ. გაცილებით ფართოდ განიხილეს ეს საკითხი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრაზე. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ საქართველოს მხარეს შეახსენა,

გაგრძელება A3 გვერდზე


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 რუსეთი

B2 სტილი B3 რეკლამა B4 კულტურა B5 კულტურა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში საქართველომ, შესაძლოა, საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ამ რეგიონში მცხოვრები 4 ათასამდე ჩეჩენი ლტოლვილის მესამე ქვეყანაში გადასახლების საკითხი დააყენოს. არ არის გამორიცხული, რომ იგივე წინადადება საქართველოს გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველომ შესთავაზოს. მესამე ქვეყანა შეიძლება იყოს ის სახელმწიფო, რომელიც თავად გამოხატავს მზადყოფნას, მიიღოს ლტოლვილები და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება.

ამჟამად საქართველოში მყოფი ლტოლვილები არასტაბილური სიტუაციის გამო სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებენ. არადა, მათი კომპაქტურად განსახლება პანკისის ხეობაში ამ რეგიონში დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნის.

■ ■ ■

**ოზურგეთი.** ადგილობრივ ხელისუფლებას მშვიდ და ჰარმონიულ ცხოვრებას ჟამი-ჟამ გაწიწმატებული პენსიონერებიღა თუ ურღვევენ.

მათი ერთი ჯგუფი რაიონული გამგეობის შენობაში შეიჭრა. გამგებლის მოადგილის **ამირან გირკელიძის** დაპირება, ერთ კვირაში პენსიებს მიიღებთო, არადამაჯერებელი ეჩვენათ, გამგეობიდან ბათუმი-ოზურგეთის საავტომობილო ტრასაზე გადაინაცვლეს, იქ გამაგრდნენ და გზის სავალი ნაწილის ბლოკირება მოახდინეს - ინტენსიური მოძრაობის ქვემდებარე გზატკეცილი ავტომანქანებით ჩაიხერგა. მგზავრებსა და მოპიკეტეებს შორის წამოჭრილ ხშირ შეხლა-შემოხლას პოლიციელები არეგულირებდნენ. ადგილობრივი ხელისუფლება აქაც, ქუჩაში, ერთკვირიანი მოთმინებისაკენ მოუწოდებდა პენსიონერებს, მაგრამ მრავალგზის იმედგაცრუებულებმა არაფერი შეისმინეს და თითქმის მთელი დღის მანძილზე მაგრად იდგნენ.

მცხუნვარე მზის ქვეშ დარჩენილი მძღოლები და მათი მგზავრები მარშრუტის გასაგრძელებლად ასაქცევს ეძებდნენ, რაც იმაზე არანაკლებ რთული გამოდგა, ვიდრე ხელისუფლების მხრიდან 14-ლარიანი თხუთმეტიოდე გაკერპებული პენსიონერის დაშოშმინება. **თამაზ ხარაიშვილი (24 საათი)**

■ ■ ■

**ზესტაფონი.** ფოთის პორტში კოქსი შემოვიდა და უახლოეს დღეებში მისი უქონლობის გამო მცირე დატვირთვით მომუშავე ზესტაფონის "ფეროს" პრობლემა გადაწყდება.

საწარმოში მხოლოდ ერთი – 5 მგვტ სიმძლავრის ღუმელი მუშაობს. თვის დასაწყისიდან "ფერომ" მხოლოდ 240,4 ათასი ლარის პროდუქცია გამოუშვა. წარმოებულია 24 ტონა სილიკონმანგანუმი და 157,1 ტონა საშუალო ნახშირბადიანი ფერომანგანუმი.

გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ფოთის პორტში კოქსი უკვე შემოვიდა და ამჟამად მისი გადმოტვირთვა მიმდინარეობს.

■ ■ ■

**ერევანი.** პენტაგონის მიერ აშშ-ის კონგრესისათვის გაკეთებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ჩინეთთან ორმხრივ ურთიერთობებში სამხედრო საკითხებს უმნიშვნელო ადგილი უკავია.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რამდენიმე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, კერძოდ, რუსეთი, ბელორუსი, უკრაინა და უზბეკეთი ჩინეთს სამხედრო ძლიერების გაზრდაში იარაღის მიყიდვისა და ტექნოლოგიების გადაცემის გზით ეხმარებიან.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შსს-ს შინაგანი ჯარები, სიტუაციის სტაბილიზაციის მიუხედავად, არ აპირებენ პანკისის ხეობის მისადგომებთან 6 ბლოკ-პოსტის შემცირებას ან გაუქმებას, ჯერჯერობით, არ არსებობს იმის მყარი გარანტია, რომ სტაბილიზაციის პროცესი შეუქცევადია.

ადგილობრივი ქისტი მოსახლეობა გამოთქვამს სურვილს შინაგანი ჯარების შემადგენლობაში აღნიშნულ ბლოკ-პოსტებზე იმსახუროს. საჭიროების შემთხვევაში ეს საკითხი განხილული იქნება.

ქისტები უკვე მონაწილეობენ შინაგანი ჯარების მიერ 24-მეგავატიანი ხადორიჰესის დაცვაში, რომელსაც ჩინელი ინვესტორები აშენებენ.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ფონდმა აპრილის თვის პენსიების დაფინანსება 17,7 მილიონი ლარით დაასრულა, საიდანაც სადაზღვევო და სოციალური პენსიები 14,6 მილიონი ლარით განისაზღვრა.

მაისის თვის საპენსიო თანხა 7,7 მილიონი ლარით დაფინანსდა, აქედან თბილისში - 2,9 მილიონი ლარით, ქალაქში განსახლებულ დევნილ პენსიონერთა პენსიები - 335,7 ათასი ლარით, ფოთში - 158,2 ათასი ლარით და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - 1,1 მილიონი ლარით.

ივნისის თვე 5,03 მილიონი ლარით დაფინანსდა.

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტში არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილი დროებითი საგანგებო კომისია 1999 წლიდან დღემდე ჩატარებული არჩევნებისას დაშვებული კანონდარღვევების შესწავლას ისახავს მიზნად.

კომისიამ საზოგადოების დახმარებით კანონდარღვევათა მიზეზები და თანამდებობის ის პირები უნდა გამოავლინოს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს აღნიშნულ პროცესს. საპარლამენტო კომისია საარჩევნო კომისიების ხელთ არსებული დოკუმენტების გარდა ამომრჩევლის, დამკვირვებლის, ჟურნალისტის, არჩევნებში მონაწილეთა ინფორმაციასაც შეაგროვებს.

■ ■ ■

**ახმეტა.** ბოლო დროს პანკისის ხეობაში დაბანაკებული ჩეჩენი ბოევიკების გადაადგილებამ ჩეჩნეთის მიმართულებით სისტემატური ხასიათი მიიღო. ჩეჩენ მებრძოლთა მცირე ჯგუფები თითქმის ყოველდღიურად ტოვებენ პანკისის ხეობას და მთის ბილიკებით ჩეჩნეთში გადადიან.

რაც შეეხება ჩეჩენ ლტოლვილებს, პოლიციის უფროსის თქმით, ჯერჯერობით ისინი არსად წასვლას არ აპირებენ, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ლტოლვილის მოწმობების მიღების შემდეგ პანკისის ხეობა ჩეჩენ ლტოლვილთა გარკვეულმა ნაწილმა დატოვოს.

■ ■ ■

**ბორჯომი.** მომღერალი ნეკა სებისკვერაძე ბორჯომის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. იგი ბორჯომის გამგეობის ინიციატივით, პირველ აგვისტოს სოლო-კონცერტს გამართავს, რის შემდეგაც ბათუმში გაემგზავრება, სადაც დასვენებას და სოლო კონცერტს შეათავსებს.

ნეკა სებისკვერაძე ახლახან ისრაელიდან დაბრუნდა. მან ისრაელში მრავალი საინტერესო შეთავაზება მიიღო. მომღერალი ამ ქვეყანას სექტემბერშიც ეწვევა.

■ ■ ■

**თბილისი.** „თბილგაზი“ ჩინური წარმოების გაზის მრიცხველების ჩანაცვლებას, რომელთა 80 პროცენტი უკვე მწყობრიდანაა გამოსული, ევროპული სტანდარტების შესაბამისი უკრაინული კომპანია „ივანო-ფრანკოს“ მრიცხველებით აპირებს.

მრიცხველების ჩანაცვლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს, რათა მოსახლეობა მინიმალურად დაზარალდეს.

თბილგაზის გენერალურმა დირექტორმა ახლა აღმოაჩინა, რომ ჩინური წარმოების მრიცხველების დიდი ნაწილი ხმარებიდან თითქმის ამოღებულია.

ქართველი და უკრაინელი მეწარმეები ენერგეტიკის სფეროში ერთობლივი საწარმოს შექმნას აპირებენ, რომელიც ჯერ უკრაინულ პროდუქციაზე იმუშავებს, დროთა განმავლობაში კი ადგილობრივ წარმოებაში გადაიზრდება, ანუ მოკლე ხანში საქართველოში გაზის მრიცხველების წარმოება გახდება შესაძლებელი.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სპეცსამსახურებმა გამოავლინეს დამნაშავეთა ჯგუფი, რომელიც ყალბ პასპორტებსა და სხვა დოკუმენტებს ამზადებდა.

ამ ჯგუფში შედის საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების რამდენიმე თანამშრომელი. ამ ჯგუფის მიერ დამზადებული ყალბი ქართული პასპორტები სხვადასხვა სახელმწიფოების ვიზებით 10 ათას დოლარამდე ღირს.

ამ დამნაშავეობრივ ბიზნესში ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ ყალბ ქართულ პასპორტებს საქართველოში არალეგალურად მყოფი სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეები ყიდულობენ, რომლებსაც საზღვარგარეთ სურთ გამგზავრება.

საქმის დეტალები, ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ხმაურდება.

■ ■ ■

**თბილისი.** ისანი-სამგორის რაიონის მიუსაფარ ბავშვთა სამი სახლის აღსაზრდელები ზაფხულს მანგლისში გაატარებენ.

გარდა ამისა, ისანი-სამგორის რაიონში სკოლამდელი აღზრდის ხუთი დაწესებულება საზაფხულო გამაჯანსაღებელ რეჟიმში იმუშავებს. ბაგა-ბაღების 400-მდე აღსაზრდელს, რომლებიც ზაფხულის პერიოდში ქალაქში რჩებიან, ბაღში გამაჯანსაღებელი ვარჯიშები მზის და ჰაერის აბაზანები ჩაუტარდებათ და მათ ექსკურსიებზე წაიყვანენ.

რაც შეეხება ამ რაიონის სპორტსმენებს - კარატისტთა ნაკრების აღსაზრდელები უახლოეს დღეებში ბაზალეთის ტბაზე სპორტულ ღონისძიებებს გამართავენ. ზამთრის სახეობების სპორტული ჯგუფების აღსაზრდელები კი ტბაზე ივლისს გაატარებენ.

■ ■ ■

**რუსთავი.** ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში სულხან-საბა ორბელიანის სახელობის აკადემია გაიხსნება.

აკადემია მიზნად ისახავს ახალგაზრდა შემოქმედთა ნიჭის გამოვლენას, თუმცა, პროექტის სრულყოფამდე გამოითქვა სურვილი, რომ ამ საზოგადოებამ მოიძიოს სულხან-საბა ორბელიანის ნეშტი მოსკოვში და გადმოასვენოს საქართველოში.

■ ■ ■

**თბილისი.** უახლოეს 6 თვეში საქართველოს 40 ათასზე მეტი მოქალაქე გაექცევა სიღარიბესა და უმუშევრობას საზღვარგარეთ.

სტატისტიკის დეპარტამენტის გამოკვლევით, მსურველთა შორის 70 პროცენტზე მეტი ქართველია. წასვლის ძირითად მიზნად 67,2 პროცენტი კვლავაც სამუშაოს შოვნის სურვილს ასახელებს, მოქალაქეთა 19 პროცენტი კი უცხოეთში ახლობლებთან წასვლას აპირებს.

დეპარტამენტის ექსპერტთა აზრით, სამუშაოდ საზღვარგარეთ წამსვლელთა დიდი ნაწილი აქაურ უმუშევრობასა და გაჭირვებას გაურბის. ამავე დროს, მათ უმეტესობას სამუშაოს შოვნის და კეთილდღეობის გარანტირებული ამაღლების რეალური პერსპექტივა არც საზღვარგარეთ გააჩნია.

■ ■ ■

**თბილისი.** განათლების სისტემაში ახალი წესი დამკვიდრდა. პედაგოგები, რომლებიც პენსიაში გასვლას ან სამსახურის დატოვებას გადაწყვეტენ, მსოფლიო ბანკისგან ერთჯერად კომპენსაციებს მიიღებენ, მაგრამ საბიუჯეტო დაწესებულებაში მუშაობის უფლებას დაკარგავენ.

განათლების სამინისტროს მესვეურთა ვარაუდით, ასეთი სახის ცვლილება პედაგოგთა პროფესიონალიზმის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

■ ■ ■

**თბილისი.** არის ასეთი ორგანიზაცია - “იგორ გიორგაძის საქართველოში დაბრუნების კომიტეტი”, რომელმაც 400 ათასზე მეტი ხელმოწერა შეაგროვა მოსახლეობაში ტერორიზმის ბრალდებით ძებნილი უშიშროების ყოფილი მინისტრის იგორ გიორგაძის საქართველოში დაბრუნების მოთხოვნით.

კომიტეტი, დაინტერესების შემთხვევაში, მზად არის, წარუდგინოს ეს ხელმოწერები ხელისუფლებას. ისინი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მიმართავენ, რომ გამოიყენოს კონსტიტუციური უფლება და დაავალოს სამართალდამცავ ორგანოებს, შეწყვიტონ იგორ გიორგაძის უსაფუძვლო დევნა და იმედოვნებენ, რომ პრეზიდენტი ყურადღებას არ მიაქცევს იმ ძალების პოზიციას, რომლებიც ეროვნული შერიგების პროცესმა შეაშინა და მის წინააღმდეგ გააერთიანა.

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, იგი თბილისში სტუმრად მყოფ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს ლიდია პოლფერტს ”თურქი-მესხების” საკითხზე ესაუბრა და განუმარტა, რომ საქართველო, სურვილის მიუხედავად, ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებას მესხეთელი თურქების ჩამოსახლების თაობაზე, ვერ შეასრულებს;

„როცა ქვეყანას 300 ათასი აფხაზეთიდან და 50 ათასი სამაჩაბლოდან დევნილი ჰყავს, მას თურქი მესხების ფორსირებული ჩამოსახლება არ შეუძლია“, — განაცხადა ბურჯანაძემ და დასძინა, რომ ამგვარ პირობებში ჩამოსახლება პრობლემებს თვითონ მათ შეუქმნის, რადგან საჭიროა ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შექმნა.

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდის გამგებლის არჩევნებში, წინასწარი მონაცემებით, გამარჯვებული ტარიელ ქანთარიას მომხრეები და მეორე ადგილზე გასული ახალი მემარჯვენეების კანდიდატის - ვახტანგ ცხადაიას მხარდამჭერები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

ცხადაიას მომხრეები მოითხოვდნენ ზუგდიდის 67-ე უბანში ხელახლა მომხდარიყო საარჩევნო ბიულეტენების გადათვლა. ქანთარიას მომხრეები კი ამას ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა.

საარჩევნო კომისიის შენობის წინ კანდიდატთა მხარდამჭერები შეიკრიბნენ და გადაწყვეტილების მიღებას ელოდებოდნენ. წესრიგს ქალაქის პოლიცია იცავდა.

ზუგდიდის საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება თავის თავზე ვერ აიღო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადასცა. ამის შემდეგ ხალხი დაიშალა.

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისში 223 მარშრუტზე მოძრავ 3.200-მდე მიკროავტობუსს კიდევ ერთი რეიდი ჩაუტარდებათ.

უკანასკნელი რეიდის დროს სერტიფიკატის გარეშე მოძრაობდა 12 ავტომანქანა, ტექნიკური დათვალიერების გარეშე - ცხრა. ორ შემთხვევაში მძღოლს არ ჰქონდა მართვის მოწმობა, შვიდ შემთხვევაში - მინდობილობა.

ოპერატიულ-პროფილაქტიკური რეიდების დროს ასევე გამოვლინდა მგზავრთა უკანონოდ გადაყვანის 20-მდე შემთხვევა. მაგრამ ეს მაჩვენებელი შორს არის რეალობისგან, რადგან რეიდების დროს უკანონო გადამზიდველები იმალებიან.

# ახალი საკრებულოს გარეშეც ყველაფერი რიგზე ყოფილა


*ირაკლი ქავთარაძე* ბესო გულაშვილის ფოტო

თამარ მჭედლიშვილი

*თბილისის ძველი მოწვევის საკრებულო კვლავ ფუნქციონირებს. მომავალ ოთხშაბათს მისი წევრები მორიგ რიგით სხდომას გამართავენ. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ არ გადაწყდება ახალი მოწვევის საკრებულოს ბედი.*

სხვათა შორის, ძველმა საკრებულომ მუშაობის განახლების გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღო. საგულისხმოა ისიც, რომ ამის თაობაზე მათ ოფიციალური წერილი გაუგზავნეს როგორც იუსტიციის სამინისტროს, ასევე პარლამენტს. საკრებულოს წევრები ვარაუდობენ, რომ მათ, მინიმუმ, სექტემბრამდე მოუწევთ დედაქალაქის პრობლემებზე მუშაობა, რადგან ახალი მოწვევის საკრებულოს თანმდევ ქაოსს დასრულების პირი არ უჩანს.

ირაკლი ქავთარაძე – ძველი მოწვევის საკრებულოს წევრი:

**“მიმაჩნია, რომ ჩვენი გადაწყვეტილება აბსოლუტურად კანონიერია, რადგან ორგანულ კანონში ცასლსახად იყო მითითებული, რომ ჩვენ უფლებამოსილება მაშინ შეგვიწყდებოდა, როცა გაიმართებოდა ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. შემდეგ პარლამენტმა შეიტანა ცვლილება და ვადა დააზუსტა - 20 ივნისი. თუმცა, 48-ე მუხლის მესამე პუნქტი კვლავ იმეორებს, რომ ჩვენი უფლებამოსილება ახალი საკრებულოს პირველი სხდომისთანავე წყდება.**

**მოხდა ისე, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 20 ივნისამდე არ დანიშნა სხდომა, სასამართლოში ერთმანეთის მიყოლებით შევიდა სარჩელები. ყველაფერი აირია. თანაც, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება არავის სურს. “ცესკო” კიდევ დიდხანს ვერ დანიშნავს სხდომას. აქედან გამომდინარე, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება. გავმართეთ სხდომა, დავაწესეთ შეღავათები ომის ვეტერანებისთვის. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ მიდის საუბრები წყალკანალის, სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზებაზე. ამ პირობებში ნამდვილად არ შეიძლება, საკრებულო არ ფუნქციონირებდეს”.**

როგორც ძველი საკრებულოს წევრები ამტკიცებენ, ახალი მოწვევის საკრებულოსადმი პარტიებს არანაირი ინტერესი არ აქვთ. იგივე ირაკლი ქავთარაძე ამბობს, რომ **“ყველა პარტიაში საკმაოდ დაძაბულ ვითარებაა – გინდ გამარჯვებულში, გინდ დამარცხებულში. ყველა ხვდება, რომ საკრებულოში ვერაფერს გააკეთებენ, ვერ შეცვლიან ქალაქის ბიუჯეტს, რადგან ნახევარი თანხა უკვე გახარჯულია. საერთოდ, საკრებულოს არჩევნები იყო რეპეტიცია საპარლამენტო არჩევნების წინ. პარტიებმა დაინახეს თავისი შესაძლებლობები, ახლა ყველა ცდილობს, თავიდან აიცილოს თბილისის პრობლემები, რადგან ვერავინ ვერაფერს ვერ გააკეთებს. ეს ხელს აძლევს ხელისუფლებას და ყველა პარტიას. დამერწმუნეთ, საკრებულოს არარსებობის პირობებში ძალიან ადვილად შეიძლება სტრატეგიული ობიექტების პრივატიზება ისე, რომ ვერავინ ვერავის პასუხი ვერ მოსთხოვოს”.**

უცნაურია, მაგრამ “ნაციონალური მოძრაობა”, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან ყველაზე აქტიურად ითხოვს ახალი საკრებულოს სხდომის დანიშვნას, ძველი საკრებულოს ამოქმედებას არ აპროტესტებს. როგორც ძველი საკრებულოს წევრები ამტკიცებენ, წინა სხდომას, სხვა პარტიებთან ერთად, ახალ საკრებულოში “ნაციონალების” სიით გასული წევრებიც დაესწრნენ. თუმცა, პარტიის ლიდერების ოფიციალური კომენტარი ცალსახაა – სხდომები უკანონოდ ტარდება.

ძველ საკრებულოსთან საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტიც, და საჭიროების შემთხვევაში, მათ რჩევადარიგებებსაც აძლევს.

ძველი საკრებულოს ამოქმედებას არ აპროტესტებენ იურისტებიც. ამის საფუძველს მათ თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ კანონის ყბადაღებული 48-ე მუხლი აძლევს, რომელიც ორმაგ წაკითხვას ექვემდებარება.

გამოდის, რომ თბილისში ყველაფერი რიგზეა და პარტიები, უბრალოდ, ხმაურობენ. როგორც ჩანს, ასე გაგრძელდება სექტემბრამდე. დიდი ალბათობაა, საკრებულოს “კარტიც” სწორედ შემოდგომით გათამაშდეს.

# ნავთობსადენის საზოგადოებრივი პრესი


*გია ჭანტურია და ალბერტ თავხელიძე დახურულ სხდომაზე* ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ზაზა ფაჩუაშვილი

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი იმ გასაზრდელი ბავშვის როლში აღმოჩნდა, რომელზეც ნათესავები ამბობენ, ეგ ან დაგვანგრევს ან აგვაშენებსო. ორი აზრი აღარ არსებობს, ნავთობსადენი უნდა აშენდეს, ვინაიდან მილსადენიდან ქვეყნის ბიუჯეტისკენ მდო(ლა)რედ მიმდინარე მწვანე ნაკადის შესახებ საქმის კურსში იმთავითვე ჩაგვაყენეს და ძალიანაც გაგვახარეს, მაგრამ არც ისე აწყობილი ყოფილა საქმე, როგორც ჩვენ გვეგონა. პრაქტიკულად უკვე დაიწყო პროექტის საზოგადოებრივი განხილვა და ძირითადად ყველა მის სახიფათო პერსპექტივაზე მსჯელობს. ამ კონტექსტში კი ყველაზე აქტუალური ჩვენი ბორჯომის ხეობაა, რომელსაც 25 კილომეტრის მანძილზე კვეთს ინვესტორი კომპანიის ”ბრიტიშ პეტროლიუმის” (“ბი პი”) მიერ დაპროექტებული ნავთობსადენი.*

## შეზღუდული პასუხისმგებლობის კომისია

ინვესტორის გამოჩენის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა დიდი საექსპერტო კომისია შექმნა, რომელსაც უნდა მოეხდინა ნავთობსადენის გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ოღონდ არ უნდა დავიწყებოდა, რომ მშენებლობის შეჩერების უფლებამოსილება მისთვის არავის მიუცია. ისიც გაურკვეველია, რა უნდა იღონოს კომისიამ იმ შემთხვევაში, თუ “ბი პი” მის შენიშვნებს არ გაითვალისწინებს.

კომისიაში საქართველოს თითქმის ყველა დიდი მეცნიერი მოღვაწეობს. შექმნილია დარგობრივი ქვეკომისიები: ეკოლოგიური, გეოლოგიური, არქეოლოგიური, სეისმოლოგიური, სამეცნიერო-ტექნიკური, დემოგრაფიული, ეკონომიური, იურიდიული და სხვა. საბოლოო დასკვნები ჯერჯერობით გაკეთებული არ არის, მაგრამ ერთი რამ უკვე სახეზეა – თავისი პრეტენზია ყველა ქვეკომისიას აქვს.

## არადამაკმაყოფილებელი შეფასება

პროექტის წინასწარი შეფასება არადამაკმაყოფილებელია. ნიმუშად მოვიყვანთ ერთერთი ქვეკომისიის დასკვნას: არადამაკმაყოფილებლად, მეტად ზოგადად არის აღწერილი და დახასიათებული გეომორფოლოგიური სტრუქტურები, ტოპოგრაფია.

მოთხოვნა: აუცილებლად მიგვაჩნია, გეომორფოლოგიური სტრუქტურების და ტოპოგრაფიული ინფორმაციის უფრო დეტალური აღწერა და დახასიათება.

რეკომენდაცია: შესწავლის სრულად და სწრაფად განხორციელების მიზნით სასარგებლო იქნებოდა, საქართველოს ექსპერტებისა და ინფორმაციის გამოყენება.

ანალოგიურად მთავრდება ყველა ქვეკომისიის დასკვნა.

## აზრთა სხვადასხვაობა

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეკომისიის დასკვნები არაფერია ბორჯომის პრობლემასთან შედარებით. აზრთა სხვადასხვაობა აქ არის, თუ არის.

კომისიის წევრები ამბობენ: ვინაიდან უსაფრთხოების ასპროცენტიანი გარანტია არ არსებობს, ჯობია, რომ ბორჯომის ხეობას გვერდი საერთოდ ავუაროთ და ალტერნატიული გზა გამოვიყენოთ. ბორჯომის წყლის საბადოების დაბინძურების საშიშროება რომც არ არსებობდეს, ბორჯომის უნიკალური და ულამაზესი ლანდშაფტის ხელის ხლება გამართლებული მაინც არ იქნებოდა.

ინვესტორები ამბობენ: შემოთავაზებული ალტერნატიული გზა იმდენად კლდოვანი და გაუვალია, რომ მშენებლობისთვის გამოუსადეგარია.

კომისიის წევრები ამბობენ: თუ ასეა, ბორჯომის მონაკვეთზე იმაზე უფრო გაუვალი ადგილებია.

და ა. შ.

## დახურული სხდომა

გუშინ მეცნიერებათა აკადემიაში დიდი კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურიაც ესწრებოდა. დაწყებიდან რამდენიმე წუთში ჟურნალისტებისთვის სხდომა დახურეს, აქ სამუშაო კამათია მოსალოდნელიო, მაგრამ ნუ გეშინიათ, საბოლოო დასკვნების განხილვისას აუცილებლად დაგასწრებთო.

საკამათო, როგორც უკვე ვთქვით, ბორჯომის ბედ-იღბალია, მაგრამ გარდაუვალობიდან გამომდინარე, ისეც შეიძლება მოხდეს, რომ მეცნიერებს კომპრომისზე წასვლა მოუხდეთ.

“ბი პის” ისე მყარად აქვს გადაწყვეტილი მდინარე ბორჯომულას სათავეებთან გავლა, რომ დამატებითი უსაფრთხოებისთვის სპეციალური პროგრამა შექმნა და თანხებიც გამოყო.

## შუამავალი

სნსკ-ს პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია შუამავლის როლში გამოდის და “ბი პის” მეცნიერთა შენიშვნების გათვალისწინებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, თვის ბოლოს საბოლოო დასკვნები გაკეთდება და “ბი პის” გადაეცემა, რომელმაც სექტემბრისთვის შეჯერებული პროექტი უნდა წარმოადგინოს. “სანამ ყველაფერს არ შევათანხმებთ, მშენებლობა არ დაიწყებაო,”- აცხადებს ჭანტურია.

*მანამდე კი ამ პრობლემით არასამთავრობოები დაინტერესდნენ. მათ ის მეცნიერებიც შეუერთდნენ, რომლებიც კომპრომისზე წასვლას არ აპირებენ. დღეს ამ საკითხზე მწვანეთა მოძრაობა იმსჯელებს, შაბათს – “მწვანე ალტერნატივა”. როგორც ჩანს, საზოგადოებრივი პრესი ჩაირთო.*

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# რუსთავის რევოლუცია დროებით გადაიდო

სოფო ბუკია

*ვიდრე ნაციონალური მოძრაობის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი სამშობლოში დაბრუნდება, მისი თანაგუნდელები დრო და დრო ბრიფინგებით შეახსენებენ თავს საზოგადოებას. ბრიფინგის გამართვის მიზეზი გუშინაც გამოიძებნა: ამოიწურა ულტიმატუმის ვადა, რომელიც "ნაციონალურმა მოძრაობამ" პრეზიდენტ შევარდნაძეს წაუყენა და ლევან მამალაძის თანამდებობიდან განთავისუფლება მოსთხოვა. როგორც ჩანს, პრეზიდენტს ან გამორჩა ვადის ამოწურვის თარიღი ან საერთოდ წაუყრუა "ნაციონალების" მოთხოვნას. ყოველ შემთხვევაში, შევარდნაძეს ერთგულ რწმუნებულთან დამშვიდობება აშკარად არ ეჩქარება.*

გუშინდელი ბრიფინგის ორგანიზატორი კობა დავითაშვილი დარწმუნებულია, რომ რუსთავის საკრებულოში "ნაციონალები" აუცილებლად იპოვიან მხარდამჭერებს და მამალაძის განთავისუფლების საკითხსაც ერთსულოვნად გადაწყვეტენ.

**"ჩვენ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა სასამართლო პროცესი მოვიგეთ. საკრებულოს პირველი სხდომა კი დღემდე არ შედგა,"**- გაბრაზებულია კობა დავითაშვილი. სხდომის ჩაუტარებლობის მიზეზად კი ის ხელისუფლებას ასახელებს, რომელსაც პანიკურად ეშინია საკრებულოს თავმჯდომარედ სააკაშვილის დანიშვნისა. **"ჩვენ დავამტკიცებთ, რა შეგვიძლია. შევასრულებთ ყველაფერს, რასაც ხალხს შევპირდით. ხელისუფლებას ეშინია ჩვენი წარმატების,"**- დარწმუნებულია კობა დავითაშვილი და ფიცს დებს, რომ თუ "ნაციონალებმა" ხალხისთვის მიცემული დანაპირები არ შეასრულეს, პოლიტიკას დატოვებენ.



*კობა დავითაშვილი* მარიკა ამურველაშვილის ფოტო

კობა დავითაშვილის აზრით, ხელისუფლება "ნაციონალებს" ღია თამაშში იწვევს, აშკარა გამოწვევას უგზავნის და იძულებულს ხდის, ქვემო ქართლში სახალხო გამოსვლების ტალღა ააგორონ. სახალხო გამოსვლები და დესტაბილიზაცია კი ხელისუფლებას რომ ნამდვილად აძლევს ხელს, ამაში "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტს კობა დავითაშვილს ეჭვი არ ეპარება. "ხელისუფლების კრიმინალიზაციის და მხედრიონიზაციის პროცესი რომ დღის წესრიგში დგას, ამას სულ ახლახან ტუსაღთა განთავისუფლებაც მოწმობს,"- აცხადებს იგი.

ამ სახელისუფლებო პროვოკაციაზე წამოგებას "ნაციონალები" ჯერჯერობით არ აპირებენ. **"ეს იმიტომ, რომ პრეზიდენტმა თავი იმით არ იმართლოს, ერთი პარტიის მხარდამჭერთა ნება-სურვილით რწმუნებულს ვერ გავანთავისუფლებო,"**-განმარტავს დავითაშვილი. "ნაციონალები" მამალაძის საკითხს ჯერ საკრებულოში გაიტანენ, საკრებულოს მხარდაჭერის იმედი მათ აქვთ. მერე კი, თუ პრეზიდენტი ხალხის ნება-სურვილის გამომხატველ საკრებულოსაც არ დაუჯერებს და მამალაძეს არ გაანთავისუფლებს, დაიწყება ქუჩის გამოსვლები.

დესტაბილიზაციის საფრთხეს "მოქალაქეთა კავშირის" ერთ-ერთი ლიდერი გელა კვარაცხელიაც ხედავს, ოღონდ მისი თქმით, ამგვარი საშიშროება "ნაციონალური მოძრაობიდან" მოდის. საფრთხის თავიდან აცილების მიზნით კვარაცხელია სამართალდამცავი სტრუქტურებისგან "სერიოზული პრევენციული ღონისძიებების" გატარებას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მან "პრაიმ-ნიუსთან" საუბარში აღნიშნა, სამართალდამცავ ორგანოებში, პროკურატურაში, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებში სერიოზული საკადრო ცვლილებები უნდა გატარდეს, რისი რესურსებიც თვით ამ სტრუქტურებში არსებობს,-განაცხადა კვარაცხელიამ. იგი მოითხოვს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს "ნაციონალურ მოძრაობას", რადგან ისინი ხელიდან არ გაუშვებენ "შანსს ქვეყანაში დაძაბულობისა და არეულობის შექმნისთვის," - დარწმუნებულია კვარაცხელია.

# „ნაციონალები" ტაქტიკას ცვლიან

მაია მოსიაშვილი

"ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" მიერ პრეზიდენტ შევარდნაძისადმი წაყენებული ულტიმატუმი გუბერნატორ ლევან მამალაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, არ დაკმაყოფილდა, პირიქით, შევარდნაძემ მამალაძეს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. ულტიმატუმის ათდღიანი ვადის გასვლის შემდეგ "ნაციონალები", რომლებიც მასობრივი აქციების მოწყობით იმუქრებოდნენ, ტაქტიკას ცვლიან. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ისინი სამართლებრივი გზით აპირებენ თავიანთი პოზიციების გამაგრებას. "რუსთავი მამალაძის გარეშე" ლოზუნგის ავტორი რუსთაველი "ნაციონალები", რომლებიც ქალაქის 15-კაციან საკრებულოში 4-კაციანი ფრაქციით არიან წარმოდგენილნი, კიდევ ერთი შანსის გამოყენებას შეეცდებიან. ისინი საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, რუსთაველი მოსახლეობის სახელით, შემდეგ მოთხოვნას დააყენებენ - გამოცხადდეს რუსთავი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად, გათავისუფლდეს ლევან მამალაძე და გაუქმდეს სამხარეო სამსახურები, რითაც მოიხსნება ორმაგი სტრუქტურების პრობლემა.

რუსთავის საკრებულოში ფრაქცია "ნაციონალების" ხელმძღვანელი კახა ბარათაშვილი აცხადებს: "ეს არის არა ჩვენი, არამედ რუსთაველების მოთხოვნა. უკვე გვაქვს 5 000 ხელმოწერა და აუცილებლად განვაგრძობთ მათ შეგროვებას. თუ საკრებულო დააფიქსირებს, რომ ეთანხმება მოსახლეობის მოთხოვნას, შემდეგ ეტაპზე პრეზიდენტს მივმართავთ საკრებულოსა და ხალხის სახელით. დარწმუნებული ვარ, რომ საკრებულოში უმრავლესობის მოპოვება არ გაგვიჭირდება და საკითხი დადებითად გადაწყდება."

პარლამენტარი გია ხევიაშვილი, რომელიც "ნაციონალების" რუსთავის ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, ამბობს, რომ მამალაძის საკითხი უკვე მეორე პლანზე გადავიდა, რადგან შევარდნაძემ, ფაქტობრივად, თავის თავზე აიღო მის მიერ ჩადენილი ყველა ის ქმედება, რაზეც ქალაქი და მოსახლეობა მას პრეტენზიებს უყენებდა. მისივე თქმით, პარლამენტის საგანგებო სხდომის დღის წესრიგში, რომელიც მომავალ კვირას უნდა გაიმართოს, გუბერნატორის ინსტიტუტის გაუქმების საკითხიც შევიდა და შესაძლებელია, ეს პრობლემა საკანონმდებლო გზით გადაიჭრას. "საკითხის დღის წესრიგში შეტანას, სამი ფრაქციის გარდა, ყველამ მხარი დაუჭირა. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ პარლამენტართა უმრავლესობა გუბერნატორის ინსტიტუტის გაუქმებას ხმას მისცემს," - აცხადებს გია ხევიაშვილი.

# ევროსაბჭო ისევ თურქ-მესხებს და რელიგიურ უმცირესობებს გვახსენებს

პირველი გვერდიდან

რომ თურქი-მესხების საკითხის გადაწყვეტა ერთ-ერთი ვალდებულებაა, რომელიც საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე იკისრა. ქართული მხარის პოზიცია ამასთან დაკავშირებით უცვლელი გახლდათ. შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, საქართველოს დიდი სურვილის მიუხედავად, სახელმწიფო თურქი-მესხების ფორსირებულად დაბრუნების საკითხს ამ ეტაპზე ვერ გადაჭრის, რადგან ქვეყნის ტერიტორიაზე ამჟამად აფხაზეთიდან 300 ათასი და სამაჩაბლოდან 50 ათასი დევნილია განსახლებული. ბურჯანაძის თქმით, ამ ეტაპზე საქართველოს არ გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ თურქი-მესხების დაბრუნების შემთხვევაში ისინი ელემენტარული პირობებით უზრუნველყოს. პარლამენტის თავმჯდომარემ აბსოლუტურად გამორიცხა, თურქი-მესხების დაბრუნების შემთხვევაში, ჯავახეთის რეგიონში მათი კომპაქტურად ჩასახლების შესაძლებლობა. მან აღნიშნა, რომ თურქი-მესხების დაბრუნება ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს და ისინი საქართველოში გაფანტულად უნდა განსახლდნენ. შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი კრასნოდარის მხარეში მცხოვრები თურქი-მესხების პრობლემას ხელოვნურად ამწვავებს, რათა მათ საქართველოში დაბრუნება აიძულოს. ამ საკითხში საქართველოსა და ევროსაბჭოს პოზიციები ისევ საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისაგან.



*ლიდია პოლფერი ბრიფინგზე* [illegible] ფოტო

არჩევნები ევროსაბჭოს მორიგი პრიორიტეტია. ევროსაბჭო საქართველოში 2 ივნისს ჩატარებული არჩევნების ნაკლოვანებების ორ ძირითად მიზეზს ასახელებს: საარჩევნო კანონმდებლობის არასრულყოფილება და გამკვეთრებული პოლიტიკური დაპირისპირება. ადამიანთა და, მათ შორის, რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვის თემა კიდევ ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც გუშინდელი შეხვედრების წამყვან თემად იქცა.

შეხვედრების შემდეგ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ესმის ევროსაბჭოს რეკომენდაციების მნიშვნელობა და მათ უმრავლესობას ასრულებს. ხოლო რასაც ვერ ასრულებს, იმის "აღსრულებაში" ევროსაბჭო წაგვაშველებს ხელს.

# ჯორბენაძის პროექტი ისევ კანცელარიის თაროზე დევს

თამარ ხორბალაძე

საქართველოს კანცელარიის რეორგანიზაციის ჯორბენაძისეული პროექტი-დებულება ჯერ კიდევ თაროზე გახლავთ შემოდებული. კანცელარიის წყაროები იუწყებიან, რომ პროექტის თავდაპირველი ვარიანტი საქართველოს პრეზიდენტმა დაიწუნა და მისთვის მწვანე შუქის ანთება არ ინება.

ოფიციალური წყარო კი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის კაკი ზოიძის სახით, ამტკიცებს, რომ ჯერ პროექტი საბოლოო ფორმით არ დადებულა პრეზიდენტის მაგიდაზე და მისი მიღების გაჭიანურება სხვადასხვა სამსახურებისგან შემოსულმა შენიშვნებმა განაპირობა და არა ქვეყნის პირველი პირის რისხვამ. მისივე ინფორმაციით, შეთანხმება უკვე მიღწეულია და უახლოეს დღეებში დებულებას პრეზიდენტს მიაწვდიან.

პროექტი, რომელიც ოფიციალურად გასაიდუმლოებულია, უკვე კარგა ხანია, იქცა დეტალური განხილვების საგნად. მის ირგვლივ კი იმაზე დიდი ქარიშხალი ატყდა, ვიდრე თავად ეს ინიციატივა იმსახურებდა.

გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მინისტრი ამ პროექტით უფლებამოსილებებს იზრდის, გადაჭარბებულად შეიძლება შეფასდეს. სახელმწიფო მინისტრის უფლებამოსილებებს საქართველოში ქვეყნის საკანონმდებლო უწყება განსაზღვრავს.

პარლამენტმა სახელმწიფო მინისტრს უფლებამოსილებები ჯერ კიდევ ვაჟა ლორთქიფანიძის დროს გაუზარდა და ქვეყნის ეკონომიკური სფეროს სამართავად საკმაოდ ბევრი ბერკეტი მისცა. სხვა საქმეა, რომ ვერც ვაჟა ლორთქიფანიძემ და ვერც გიორგი არსენიშვილმა ვერ შესძლეს ამ ბერკეტების სრულად ამოქმედება. შესაბამისად, ვერც "მმართველ ფიგურად" დამკვიდრდნენ.

ასე რომ, სახელმწიფო კანცელარიის ახალი სტრუქტურა სხვა არაფერია, თუ არა ძველი გადაწყვეტილების აღსრულება. ძველმა კანონმა ახალ სახელმწიფო მინისტრს მისცა საშუალება, საკუთარი მოადგილეების უფლებამოსილებებიც გაეზარდა, რაშიც, თავისთავად, არაფერია განსაკუთრებული. ასეთი გაზრდილი და რეალური უფლებამოსილებები ბევრს პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტისთვის საფუძვლის შემზადებად მიაჩნია, თუმცა, ასეთი საფუძველი საქართველოში დღეს უკვე ყოველგვარი რეორგანიზაციის გარეშე არსებობს.

მეორეს მხრივ, ხისტი და აგრესიული სახელმწიფო მინისტრისთვის დე ფაქტოდ მიცემული ძალაუფლების გაფორმება "სტრუქტურულ დონეზე", სრულიად ლოგიკურ საფუძვლად შეიძლება გამოდგეს პასუხისმგებლობაზე სასაუბროდ. ხოლო თუ ქვეყნის მთავარი მინისტრი, წინამორბედთა მსგავსად, უუფლებობაზე და ბერკეტების არქონაზე დაიჩივლებს, ოპონენტებს შეუძლიათ, თამამად მიუთითონ პარლამენტის მიერ დაკანონებულ უფლებამოსილებებზეც და საკუთარ პროექტზეც.

ამიტომ, გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ავთანდილ ჯორბენაძეს მეტისმეტად დიდი უფლებები არ დაუთმო და საკითხის გაჭიანურებაც ამით არის გამოწვეული, გულუბრყვილოდ გვეჩვენება.

სამაგიეროდ, რეალობასთან საკმაოდ ახლოს უნდა იდგეს მეორე ვერსია, რომლის თანახმადაც საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი კანცელარია შესამცირებლად ვერ გაიმეტა, ცალკეული სამსახურები კი, რომელთა უფლებების ნაწილს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეები "გაიზიარებენ", ამ პროექტის წინააღმდეგ აქტიურად ამუშავდნენ.

კანცელარიის ახალი დებულება აპარატის 417-დან 330 თანამშრომლემდე შემცირებას ითვალისწინებს. კაკი ზოიძის ინფორმაციით, **"ეს ადამიანები რეზერვში იქნებიან გადაყვანილი. მათ ნაწილს კი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შემდეგ მიეცემა დასაქმების საშუალება. განთავისუფლებული კადრების სოციალური პირობები კი აუცილებლად დაცული იქნება"**. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში შემცირება წელიწადში ორჯერ ხორციელდება, კანცელარია კი გაბერილი კადრებით ყოველთვის გამოირჩეოდა, მსგავსი განმარტებები, წესით, საჭირო არც უნდა გამხდარიყო.

რაც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმის პროექტს, იგი ჩინოვნიკთა რიცხვის 25-30 პროცენტით შემცირებას ითვალისწინებს. თუმცა, ეს სულაც არ გახლავთ მასში მთავარი. ეს პროექტი, კანცელარიის ახალი დებულებისგან განსხვავებით, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავალი განვითარების თვალსაზრისით. იმ მოტივით, რომ იგი ჯერ მხოლოდ შემუშავების პროცესშია, მისი დეტალები მართლაც არ ხმაურდება. თუმცა, უახლოეს პერიოდში პროექტი თუნდაც იმიტომ უნდა დასრულდეს, რომ ეს იმ ანტიკორუფციულ პროგრამაშია გათვალისწინებული, რომლის შეუსრულებლობის გამო საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო დონორებმა, მაგალითად, ჯორჯ სოროსმა, უკვე უსაყვედურა.

# ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამა ახალ ფაზაში შედის

პირველი გვერდიდან

**ამერიკელი ინსტრუქტორებიცა და ქართველი კურსანტებიც კმაყოფილები არიან,"** - აცხადებს უშიშროების საბჭოს მდივანი.

მის შეფასებებს მთლიანად იზიარებს პროგრამის ხელმძღვანელი, ამერიკელი ვიცე-პოლკოვნიკი რობერტ ვოლტემაიერი. "**თავად პროგრამა საკმაოდ მკაცრი და რთულია, მაგრამ კურსანტები მას დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით ეკიდებიან. მეცადინეობები შაბათ-კვირასაც ტარდება და, როგორც წესი, გვიანობამდე გრძელდება**," - აღნიშნავს ვოლტემაიერი, რომელიც ერთადერთ პრობლემად ფინანსების ნაკლებობას ასახელებს, რის გამოც ვერ ხერხდება, რომ სამხედრო დახმარების პროგრამამ მთლიანად მოიცვას საქართველოს შეიარაღებული ძალები.

როგორც ცნობილია, სულ ცოტა ხნის წინათ პროგრამის მიმდინარეობის ტემპებით უკმაყოფილო იყო პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც საკომიტეტო მოსმენის დროს ამტკიცებდა, რომ თავდაცვის სამინისტრომ მოსამზადებელი სამუშაოები არასათანადოდ ჩაატარა და ამის გამო სპეციალური დანიშნულების ბატალიონ "კომანდოსის" დაკომპლექტება საფრთხის ქვეშ დადგა. დღეს არსებული მდგომარეობით კი პარლამენტარი უკვე კმაყოფილია და სიტუაციის გამოსწორებაში თავის წვლილსაც ხედავს.

**"მაშინ საგანგაშო ვითარება შეიქმნა. ხმაური რომ არ აგვეტეხა, არავინ იცის, რა მოხდებოდა. პროცესი ნორმალურად მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა. ასე რომ, განგაშის ზარების შემოკვრა დროული იყო,"** - აცხადებს ბათიაშვილი.

პროგრამის მიმდინარეობის თაობაზე უფრო კონკრეტულად საუბრობს პრეზიდენტის მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსი, გენერალ-მაიორი გიორგი იოკურიძე. მისი თქმით, "კომანდოს-ბატალიონის" პირადი შემადგენლობა 60-70 პროცენტით უკვე დაკომპლექტებულია, საბუთები წარმოდგენილი აქვს 400-450 კაცს და 25 ივლისისთვის მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, 850-ს გადააჭარბებს. ახლო მომავალში მათგან შეირჩევა 600 მებრძოლი, რომელთაგან, საბოლოოდ, ბატალიონში 400 ჩაირიცხება. მათ, ვინც "კომანდოსის" სპეცბატალიონში ვერ მოხვდება, მიეცემათ შანსი, რამდენიმე თვის შემდეგ კიდევ ერთხელ გაიარონ ტესტირება და საჩხერის სამთო-მსროლელ ბატალიონში მოხვედრას შეეცადონ, რომელიც აგრეთვე ამერიკული სამხედრო დახმარების პროგრამის ფორმატში "ზის".

**"კომანდოს-ბატალიონი" ცოტა უფრო ძლიერი უნდა იყოს, რადგან მის წინაშე შედარებით განსხვავებული ამოცანები დადგება. თუ ის ნორმალურად დაკომპლექტდება და მის წევრებს ხელფასები დროულად მიეცემათ, მაშინ საჩხერის, კოჯრის სასწავლო ცენტრისა და მე-11 ბრიგადის ბაზაზე ახალი ბატალიონების ფორმირებაში არანაირი შეფერხება არ იქნება,"** - აცხადებს იოკურიძე.

"კომანდოსის" შექმნას სიფრთხილით ეკიდებიან თავდაცვის სამინისტროში. ამ უწყების კადრების მთავარი სამმართველოს უფროსი დიმიტრი ლეჟავა აღნიშნავს, რომ ყოველ 20 ჯარისკაცზე მიმაგრებული იქნება ერთი ექიმი და ფსიქოლოგი, რომელთა დაკვირვების შედეგებსაც დანარჩენი ბატალიონების დაკომპლექტების დროსაც გამოიყენებენ. გარდა ამისა, უშიშროების სამინისტროს დავალებული აქვს კონტინგენტის პირადი შემადგენლობის შესწავლა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა ბატალიონებში არ მოხდეს ქურდული სამყაროს ტრადიციების დანერგვა.

"**კარგი "მასალაა" მოსული - რეკრუტების მხოლოდ 10 პროცენტი დავიწუნეთ**," - შენიშნავს თავდაცვის სამინისტროს აპარატის უფროსი ალექსანდრე მჭედლიშვილი.

ამ უწყების წარმომადგენლები აგრეთვე აცხადებენ, რომ "კომანდოს-ბატალიონის" წევრთა მატერიალური ანაზღაურების სტაბილურობა გარანტირებული იქნება და ხელფასების დაგვიანება-გადავადება, პრაქტიკულად, გამოირიცხება. რაც შეეხება თავად ხელფასის ოდენობას, იგი სამხედრო წოდებაზეა დამოკიდებული: რიგითები თვეში 380 ლარს მიიღებენ, ჩინის ზრდის კვალობაზე კი ჯამაგირიც გაიზრდება. მაგალითად, პოლკოვნიკის ანაზღაურება 650 ლარს მიაღწევს.

გიორგი იოკურიძე არ გამორიცხავს, რომ პროგრამაში მონაწილე და მასში არჩართულ სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასების დიფერენციაცია გარკვეულ პრობლემებს შექმნის. "**უკმაყოფილება, ალბათ, იქნება, მაგრამ მომავალში ხელფასები სხვებსაც მოემატებათ და საკითხი ძალიან აღარ გამწვავდება**," - ვარაუდობს პრეზიდენტის მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსი.

როგორც ცნობილია, წვრთნისა და აღჭურვის ამჟამინდელი პროგრამის მთავარ დანიშნულებას ტერორიზმთან ბრძოლის გასაძლიერებლად სათანადო კადრების მომზადება წარმოადგენს, თუმცა, თედო ჯაფარიძე აცხადებს, რომ ამერიკელების დახმარება მხოლოდ ამით არ ამოიწურება.

**"დახმარების საბოლოო მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების თანდათანობითი მიახლოება ნატო-ს სტანდარტებთან და, შესაბამისად, ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცება,"** - დასძენს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.

## ამერიკის ეკონომიკა განწირულია ზრდისთვის

კორპორატიულ სფეროში მომხდარი სკანდალების მიუხედავად, აშშ-ის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები მოწმობს, რომ ქვეყანა მყარი განვითარების პერიოდს უბრუნდება. ამის შესახებ სენატის საბანკო კომიტეტის სხდომაზე აშშ-ის ფედერალური რეზერვების (ფრ) თავმჯდომარემ, **ალან გრინსპენმა** განაცხადა. ფრ-ს ვარაუდით, აშშ-ის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წელს 3.5-3.75 პროცენტით გაიზრდება, ინფლაციის დონე 1.5-1.75 პროცენტს, ხოლო უმუშევრობის დონე 5.75-დან 6 პროცენტს შეადგენს.

კორპორაციათა შემოსავლებისა და გაყიდვების მოცულობის ზრდის, აგრეთვე, ბოლო ორმოცი წლის მანძილზე ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთების გამო გაიაფებული კრედიტების წყალობით, გრინსპენი ბიზნესის მხრიდან ინვესტიციების მატებას ელის. თუმცა, იგი არ გამორიცხავს, რომ ქვეყნის ეკონომიკა კორპორატიულ სფეროში კვლავაც შეიძლება ახალ სკანდალებს და ტერორიზმის გამოვლინებებს შეეჯახოს.

გრინსპენმა გააფრთხილა ინვესტორები იმ საფრთხის შესახებ, რაც დოლარის კურსის დაცემის პროგნოზებთან არის დაკავშირებული. ფრ-ს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ საპროცენტო განაკვეთების ანალიზი, შრომის მწარმოებლურობის ცვლილება, აგრეთვე მიმდინარე ოპერაციების მიხედვით საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა ყოველთვის არ გამოდგება სავალუტო კურსის პროგნოზირებისთვის. გრინსპენის განცხადებით, ქვეყნის ბიუჯეტში დეფიციტის გაჩენა გამოწვეული იყო დროებითი ფაქტორებით, ისეთებით, როგორებიც არის: შემოსავლების შემცირება და ეკონომიკური ვარდნის გამო ხარჯების ზრდა.

გუშინვე ფრ-მ გამოაქვეყნა მონაცემები ივნისში წარმოების ზრდის შესახებ, რამაც 0.8 პროცენტი შეადგინა და რაც 1999 წლის ნოემბრის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

## სომხეთი რუსეთის ვალებს თავისი ელექტრომრეწველობით გადაიხდის

სომხეთი რუსეთს სახელმწიფო ვალის დაფარვის სანაცვლოდ ერთ თბოელექტროსადგურსა და ელექტრონული მრეწველობის სამ საწარმოს სთავაზობს. ამის შესახებ განაცხადა ეკონომიკური თანამშრომლობის სომხეთ-რუსეთის მთავრობათშორისი კომისიის თანათავმჯდომარემ, ილია კლებანოვმა. კერძოდ, რუსული მხარე ელექტრონიკის ქარხანა "მარსის", მერგელიანის სახელობის მათემატიკური მანქანების ინსტიტუტის, მასალათმცოდნეობის ინსტიტუტისა და რაზდანის თბოსადგურის მფლობელი გახდება.

2003 წლის პირველი იანვრისთვის სომხეთს აღარ ექნება რუსეთისადმი დავალიანების პრობლემა, აღნიშნა კლებანოვმა. მისი განცხადებით, ამ საწარმოთა აქტივების შესაფასებლად, მხარეები მზად არიან, საერთაშორისო აუდიტორული კომპანიებიც მოიწვიონ.

სომხეთის სახელმწიფო ვალი რუსეთისადმი 98 მილიონ დოლარს შეადგენს.

## რუსეთში ამერიკულ ქათმის ბარკლებს აღარ ჭამენ

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ იგი რუსეთის ბაზარზე ამერიკული ქათმის ბარკლების რეალიზაციის შეჩერებამ ძალზე გაანაწყენა. ამის შესახებ მან პოლონელ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს ისაუბრა. **"აშშ-ში ბევრს მიაჩნდა, რომ ამერიკული ქათმის რუსეთის ბაზარზე შეშვების საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. და მათ დაიწყეს კიდეც რუსეთის ბაზარზე შესვლა, მაგრამ მოულოდნელად, ეს პროცესი შეწყდა,"** – განაცხადა ბუშმა. მისი თქმით, ამერიკულმა მხარემ შეძლო "გულწრფელად და პირდაპირ" დაეყენებინა ამერიკული ბარკლების საკითხი რუსეთის მხარის წინაშე. ამჟამად, მიმდინარეობს შეთანხმება ამერიკულ ქათმებზე ახალი ვეტერინარული სერთიფიკატის შემოღების თაობაზე. რუსეთის მხარე მოითხოვს შემოწმებას, პირველ რიგში, გენურ მაჩვენებლებზე, ანტიბიოტიკებზე და სხვა შემადგენლობებზე.

რუსეთში ამერიკული ქათმის ბარკლების შეტანაზე აკრძალვების დაწესება, ამ პროდუქციის ვეტერინარული თვალსაზრისით არასაიმედობამ განაპირობა. რამდენიმე თვის წინ, რუსეთის შესაბამისმა სამსახურებმა ამერიკულ ბარკლებში სალმონელოზის დაავადების ფაქტებიც კი დააფიქსირეს.

პრეზიდენტ ბუშის განსაკუთრებული ინტერესი ქათმის ბარკლების ექსპორტის შეწყვეტისადმი კი იმით აიხსნება, რომ რუსეთის სახით, აშშ ამ პროდუქციის გასაღების უდიდეს ბაზარს კარგავს. ყოველწლიურად, ამერიკიდან რუსეთში, დაახლოებით 600 მილიონი დოლარის ღირებულების ქათმის ბარკლების ექსპორტი ხორციელდებოდა.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 12-18 ივლისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6394 | 0.6424 | 0.0055 |
| US$ | 1.564 | | 1.0048 | 0.0086 |
| €uro | 1.5568 | 0.9952 | | 0.0085 |
| ¥en | 182.21 | 116.56 | 117.03 | |

### 2002 წლის 18 ივლისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.2193 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4528 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5128 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1949 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3151 ლარი |
| იაპონური იენი. | 10 | 0.1892 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0696 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4498 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3881 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1195 ლარი |

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი
ჯორჯიან რისარჩი სატელევიზიო რეკლამების მონიტორინგს აწარმოებს 1997 წლის მაისიდან. ამ პერიოდიდან ჩვენ მოგვეპოვება სრული მონაცემები საქართველოს სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის შესახებ.
ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94

# ამერიკა დახმარების გაზრდას გვპირდება

ქართულ კორუფციაზე, ბიზნეს-გარემოსა და ფულის გათეთრებაზე ამერიკელები ჯერ არ საუბრობენ

პირველი გვერდიდან

იმ ინფორმაციით, რომ ფულის "გათეთრების" წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, პრეზიდენტის ბრძანებულებით ეროვნულ ბანკში სპეციალური კომისიის შექმნა იგეგმება. საქართველოს "ნაქებ" ბიზნეს-გარემოსა და კორუფციაზე კი ამერიკული დელეგაციის წევრებს არ უსაუბრიათ.

სამაგიეროდ, კორუფციაზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრი საუბრობდა. ავთანდილ ჯორბენაძის განცხადებით, კორუფცია, კონტრაბანდა, პრივატიზაციის სფეროში არსებული შეფერხებები და ახალი ტექნოლოგიების დეფიციტი ყველაზე მეტად უშლის ხელს ქართული ეკონომიკის განვითარებას. სახელმწიფო მინისტრმა დახმარება, პირველ რიგში, ხელისუფლების ოპტიმიზაციის, სპეციალური, ძლიერი ფინანსური პოლიციის შექმნასა და საგანმანათლებლო სფეროში ითხოვა.

საქართველოს ხელისუფლებისთვის ყველაზე სასიხარულო იმის გაგება იყო, რომ აშშ დახმარების გაზრდას აპირებს. საუბარია ამერიკული დახმარების ორიენტაციის საკრედიტო ფორმიდან გრანტულ პრინციპზე გადატანის შესახებ. ეს ყოველივე კარგად ჯდება პრეზიდენტ ბუშის ახალ კონცეფციაში, რომელიც ამ



ჯონ ტეილორის
ბესო გულაშვილის ფოტო

ქვეყნების გაძლიერებისკენ არის მიმართული, მით უმეტეს, რომ მათ სოლიდური საგარეო ვალებიც ამძიმებთ. ამერიკელების განცხადებით, ისინი, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტი სურათის მისაღებად, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ მონაცემებს ეყრდნობიან. ამის მეშვეობით აპირებენ ისინი იმ სფეროების დადგენას, რომლებიც საქართველოში განსაკუთრებით საჭიროებს ხელშეწყობას. ჯონ ტეილორის განცხადებით, ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად მათთვის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება წარმოადგენს. თუმცა, ბიზნესის გარდა, ამ დახმარების არეალში სოციალური, კერძოდ, ჯანდაცვის სფეროც მოხვდება - შესაძლოა, პირველი სერიოზული პროექტი შიდსთან ბრძოლის მიმართულებით განხორციელდეს.

აშშ-ს ფინანსთა მინისტრი ბიზნესს რომ უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევს, ამაზე მის დაძაბულ დღის წესრიგში ბიზნეს-ობიექტების მონახულების შეტანაც ადასტურებს. საქართველოდან გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე, პოლ ო`ნილი თბილისში ამერიკული საფინანსო ორგანიზაციის კრედიტით გახსნილ მაღაზიასა და რუსთავის ქიმიურ კომბინატს ეწვევა.

# თურქეთის ეკონომიკური კრიზისის გამოძახილი საქართველოში

მაია ურუშაძე

### თურქეთი ქართული ელექტროენერგიით ველარ საზრდოობს

*ელექტროენერგიის ტრანზიტი თურქეთში, რაც ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ენერგოსისტემას ფინანსური ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა, წლევანდელ ზაფხულს არ ხორციელდება. მიზეზი თურქეთის ეკონომიკური კრიზისია, რომლის შედეგადაც თურქულ საწარმოთა უმეტესობა გაჩერებულია და, შედეგად, ქვეყანაში საკუთარი ენერგიის მოჭარბება ფიქსირდება. ამის გამო, ბუნებრივია, თურქეთის მხარე საქართველოდან და რუსეთიდან დენის იმპორტზე ჯერჯერობით უარს აცხადებს.*

ბოლო რამდენიმე ზაფხულის პერიოდში, იაფი ჰიდროენერგიის მოჭარბების დროს, საქართველო თითქმის ყოველწლიურად აწარმოებდა ელექტროენერგიის ექსპორტს თურქეთში. თუმცა, ეს სულ მთლად ექსპორტიც არ ყოფილა, რადგან თურქეთისთვის საქართველოდან ელექტროენერგიის იმპორტი უფრო სხვა კუთხით იყო საინტერესო. საქმე ისაა, რომ 1992-1993 წლებიდან მოყოლებული, საქართველოს თურქეთის მიმართ, საკმაოდ გაურკვეველი ფორმითა და რაოდენობით, ელექტროენერგიის სოლიდური დავალიანება დაუგროვდა. წლების მანძილზე თურქეთში დენის ექსპორტისას, ნაწილობრივ, ამ ვალების გაქვითვაც ხდებოდა. თავის დროზე, ქართული მხარისთვის 7 ცენტად მოწოდებული ელექტროენერგიის სანაცვლოდ, ვალის გასტუმრება 3,45 ცენტად შეფასებული ზაფხულის იაფი ელექტროენერგიით ხორციელდებოდა. ვალებში თურქეთისთვის მიწოდებული ენერგიის მხოლოდ 15 პროცენტი მიდიოდა. სამაგიეროდ, დანარჩენი წილი მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა მარად უფულო "ელექტროგადაცემის" ბიუჯეტის ფინანსურ მდგომარეობას.

მოგვიანებით თურქეთისათვის დენის მიწოდებას "AES-ტრანსენერჯი" ახორციელებდა, რომელიც AES-მა თავიდან "თბილსრესის" ელექტროენერგიის ექსპორტის უფლების გამოსაყენებლად შექმნა. ეს ექსკლუზიური უფლება მან მთავრობას "თბილსრესის" უწყვეტი მუშაობის პირობით "გამოსტყუა", თუმცა მისი გამოყენება ნაკლებად მოახერხა, რადგან მოგვიანებით გაირკვა, რომ მაშინ ტექნიკურად არც "AES-ტრანსენერჯი" იყო მომზადებული ელექტროენერგიის ექსპორტისათვის და არც თურქეთის მხარე - მისაღებად. მოგვიანებით, როდესაც ტექნიკური პრობლემები გამოსწორდა, "AES-ტრანსენერჯი" ყოველთვიურად ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისგან ნაყიდი 50 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტს აწარმოებდა, რასაც რუსეთიდან "სათურქეთოდ" შემოტანილი 30 მილიონი კილოვატსაათიც მიჰყვებოდა. ქართულ მხარეს კი, სატრანზიტო გადასახადის სახით, 10 მილიონი კილოვატსაათის ღირებულება რჩებოდა. საქართველოსთვის საკმაოდ მომგებიანი ეს ხელშეკრულება 1 აპრილიდან გაუქმებულია და თურქეთში ეკონომიკური ვითარების გამოსწორებამდე აღდგენის პერსპექტივა არ გააჩნია. თუმცა, ტრანზიტის განახლება ქართულ მხარეს საშუალებას მისცემდა, საბოლოოდ გათავისუფლებულიყო თურქეთის ვალებისგან. ბუნებრივია, ხელშეკრულების აღდგენით დაინტერესებულია რუსეთის მხარეც.

როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ, ნუგზარ უფლისაშვილმა განაცხადა, **"თურქეთის ხელისუფლებასთან ამ საკითხებზე მოლაპარაკებები ჰქონდათ პრეზიდენტსაც და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრსაც. ტრანზიტი განახლდება, მაგრამ როდის და რა ფორმით, ჯერჯერობით გაურკვეველია, რადგან თურქეთისათვის ეს შეთანხმება უფრო ეკონომიკური თანამშრომლობის შენარჩუნების კუთხითაა საინტერესო. ეკონომიკური კრიზისის პირობებში კი, როგორც ჩანს, ისინი დენის იმპორტით ახალი ვალების დაგროვებას ერიდებიან."**

### გადატვირთავს თუ არა შაჰ-დენიზის გაზსადენი თურქეთის გაზის ბაზარს

*ბაქო-თბილისი-ერზერუმისა და რუსეთ-თურქეთის გაზსადენების მშენებლობის დასრულებისთანავე, აზიური გაზის დასავლეთში გასატანი გზების უმეტესი ნაწილი თურქეთში მოიყრის თავს. გაზის მოჭარბებულმა იმპორტმა თურქეთის ბაზარი, შეიძლება, იმდენად გადატვირთოს, რომ მას ზოგიერთი მომწოდებლის შეზღუდვაც მოუხდეს.*

საქართველოსთვის ერთობ არასასურველი იქნება, თუ თურქეთი, ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობის დამუხრუჭებას შეეცდება. თუმცა, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი კასპიის რეგიონის ენერგეტიკული სტრატეგიის საკითხებში სტივენ მანი მიიჩნევს, რომ თურქეთმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა მხარი დაუჭიროს შაჰ-დენიზის პროექტს. მანის აზრით, როგორც კი თურქეთის გაზის ქსელი გაფართოვდება, ანკარა გაზზე მოჭარბებული მოთხოვნის წინაშე აღმოჩნდება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაიწყება დიდი ხნის ნანატრი ეკონომიკური აღმასვლა. **"ამ დროს ანკარა იძულებული იქნება, გადასინჯოს თავისი ზოგიერთი შეთანხმება "ცისფერი სათბობის" მიმწოდებელ ქვეყნებთან. გასაგებია, რომ მე ვერ ვურჩევ თურქეთს, თუ რომელი მიწოდება უნდა შეზღუდოს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარია, მან შაჰ-დენიზის პროექტი დაიცვას,"** – ამბობს ამერიკელი დიპლომატი. მისი თქმით, საკითხისადმი ასეთი მიდგომისათვის ანკარას, მინიმუმ, ორი გარემოება გააჩნია: ის, რომ აზერბაიჯანის მხრიდან გაზის მიწოდება უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე სხვა ნებისმიერი მხრიდან და მეორე - შაჰ-დენიზიდან გაზის მიწოდების ფორსირება კავკასიის რეგიონში სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნების საქმეში თურქეთის ინტერესებსაც ეთანხმება.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ რუსული გაზი თურქეთისთვის შაჰ-დენიზის გაზზე მომგებიანი აღმოჩნდეს, რადგან "გაზპრომის" "ბლუსტრიმის" პროექტი ციმბირის გაზის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს, რომელიც შაჰ-დენიზის გაზზე უფრო მაღალი ენერგოშემცველობით გამოირჩევა. გარდა ამისა, შაჰ-დენიზის საბადო და იქ არსებული გაზის რაოდენობა ჯერ ბოლომდე შესწავლილი არ არის, "გაზპრომს" კი მსოფლიოში უდიდესი ქსელი და უზარმაზარი რეზერვები გააჩნია.

ნებისმიერ შემთხვევაში, ამერიკის ადმინისტრაცია ძველებურად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შაჰ-დენიზის საბადოდან აზერბაიჯანული გაზის ექსპორტის პროექტს, მით უმეტეს, რომ ირანისა და ლიბიის მიმართ სანქციები ჯერ ისევ ძალაშია და ამიტომაც აშშ ირანული გაზის თურქეთის ტერიტორიის გავლით გატარების წინააღმდეგია. **"თურქეთი უფრო და უფრო მეტად ხდება გაზის სატრანზიტო ქვეყანა და ოფიციალური ვაშინგტონი მიესალმება მიღწეულ პროგრესს. აშშ თურქეთს ამ გეგმების რეალიზაციაში მხარდაჭერას სთავაზობს, მაგრამ გაზი – კასპიის უნდა იყოს,"** – აცხადებს მანი.

როგორც ჩანს, ეს საკითხი ვაშინგტონისთვის კვლავ უმნიშვნელოვანესია. **"უპირველეს ყოვლისა, შაჰ-დენიზი, მერე – თურქეთისათვის აუცილებელი გაზის ინფრასტრუქტურის შექმნა,"** – მიიჩნევს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტი.

რაც შეეხება თავად ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობას, პროექტი ყურადღების ეპიცენტრში აგვისტოში აღმოჩნდება, ანუ მას შემდეგ, რაც ის სამშენებლო ფაზაში გადავა. როგორც ცნობილია, მშენებლობის დასრულება 2005 წლისთვისაა დაგეგმილი.

# ევრობანკის მომავალ პრეზიდენტს ასამართლებენ

თორნიკე შარაშენიძე

*საფრანგეთის ცენტრალური ბანკის მმართველი ჟან-კლოდ ტრიშე მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარსდგეს – ასეთი სენსაციური გადაწყვეტილება მიიღო ამ ქვეყნის მაგისტრატურამ. ტრიშე გახვეულია სერიოზულ სკანდალში, რაც დიდი პრობლემების წინაშე აყენებს არა მხოლოდ პირადად მას, არამედ მთელ ევროზონას, რადგან ფრანგი ფინანსისტი ევროპის ცენტრალური ბანკის მომავალ პრეზიდენტად მოიაზრებოდა.*

*ტრიშეს სახელი მისდა საუბედუროდ დაუკავშირდა სკანდალს, რომელშიც ფრანგული სამთავრობო ბანკი "კრედიტ ლიონე" გაეხვა. 80-იან წლებში ამ ბანკმა უხვად გასცა კრედიტები, მაგრამ მათი დიდი ნაწილის ამოღება ვერ მოახერხა და უმძიმეს დღეში ჩავარდა. მაგრამ გამოსავალი მალე იქნა ნაპოვნი: "ენრონისა" თუ "უორლდკომის" დარად "კრედიტ ლიონემ" გააყალბა საბუღალტრო ანგარიშები და წაგებები დამალა. შედეგი ისეთივე კატასტროფული იყო, როგორიც "ენრონის" შემთხვევაში – საფრანგეთს ეს თაღლითობა 30 მლრდ დოლარი დაუჯდა.*

*ტრიშეს მონაწილეობა ამ თაღლითობაში დადასტურებული არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ სანამ "კრედიტ ლიონე" თავის ანგარიშებს აყალბებდა, ტრიშეს მეტად სერიოზული პოსტი ეჭირა ხაზინაში. ბანკირის მხარდამჭერებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ტრიშეს ოდენ მოწმის რანგში გამოიძახებდნენ ან საერთოდ არ გამოიძახებდნენ სასამართლო პროცესზე, რომელმაც "კრედიტ ლიონეს" საქმე უნდა განიხილოს, მაგრამ ასე არ მოხდა – მაგისტრატურის გადაწყვეტილებით ტრიშე ერთ-ერთი ბრალდებული იქნება.*

*არაა გამორიცხული, რომ ტრიშე საბოლოოდ გაამართლონ, მაგრამ ის ფაქტი, რომ მას მთელი მსოფლიო საბრალდებო სკამზე იხილავს, სერიოზულად შეულახავს იმიჯს და პრაქტიკულად არარეალურს ხდის მის შანსებს ევრობანკის მომავალ პრეზიდენტობაზე. არადა, ამ უკანასკნელის ვინაობა უკვე მომავალ წელს უნდა დადგინდეს.*

*ევრობანკის ოფიციალურმა პირებმა უარი თქვეს, რაიმე კომენტარი გაეკეთებინათ საფრანგეთის მაგისტრატურის გადაწყვეტილებაზე. თუმცა, რა ხდება ახლა ევრობანკის შიგნით, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ბანკი გაურკვეველ მდგომარეობაშია: მისი ახლანდელი პრეზიდენტი უიმ დაუზენბერგი წასვლისათვის იჭერს თადარიგს, მაგრამ ვინ შეცვლის მას, ეს ახლა არავინ უწყის. არადა, დაუზენბერგმა ყველას მოაბეზრა თავი თავისი ფრთხილი და პასიური პოლიტიკით. მან სახელი გაითქვა, როგორც ბანკირმა, რომელიც მოვლენებზე მხოლოდ რეაგირებს და მათზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს. დაუზენბერგის ხელში ევრობანკი აშშ-ის ფედერალური რეზერვების აჩრდილად და ბრმა მიმდევრად იქცა. იგი მხოლოდ მაშინ ახდენდა თავისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კორექტირებას (განაკვეთების აწევა-დაწევას), როცა ამას ამერიკის ცენტრალური ბანკი აკეთებდა. დაუზენბერგს ბევრი ევროპის ეკონომიკის ბოლოდროინდელი ჩავარდნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზადაც ასახელებს.*

*ამგვარ ვითარებაში ევროპას ნამდვილად სჭირდებოდა უნარიანი და გაბედული ბანკირი და ასეთად ტრიშეზე უკეთეს კანდიდატურას ვერავინ ინატრებდა. მას, წესით, ჯერ კიდევ 1998 წელს უნდა დაეკავებინა ევრობანკის პრეზიდენტის პოსტი, მაგრამ მისი კანდიდატურის წინააღმდეგ გაილაშქრა გერმანიამ – ამ უკანასკნელმა არ დაუშვა საფრანგეთის როლის ესოდენ გაძლიერება ევროპაში და ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენელს, ჰოლანდიელ დაუზენბერგს დაუჭირა მხარი.*

# არაფატი ისევ „განხეთქილების ვაშლის„ როლში

გიორგი ხელაშვილი

*პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისა და პალესტინელთა ლიდერ არაფატის დაპირისპირების კიდევ ერთი რაუნდი კვლავ არაფატის გამარჯვებით დამთავრდა. ნიუ - იორკში შეკრებილმა "კვარტეტმა" ძალაუფლებიდან არაფატის ჩამოშორებას მხარი არ დაუჭირა.*

შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას მისი მოკავშირეები ენთუზიაზმით უჭერენ მხარს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, მაგრამ როგორც კი საქმე იასირ არაფატს შეეხება, ჯორჯ ბუშისა და მსოფლიოს ლიდერების პოზიციები ერთმანეთს ემიჯნება. ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური თამაშიდან იასირ არაფატის გამოთიშვის ბუშისეული მცდელობა კიდევ ერთხელ დამთავრდა უშედეგოდ.

ნიუ-იორკში შეკრებილმა "კვარტეტმა" შეერთებული შტატების, რუსეთის, ევროკავშირისა და გაერო-ს წარმომადგენლების მონაწილეობით ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრის გზები განიხილა, მაგრამ ერთიანი სტრატეგიის შემუშავება ვერ მოახერხა. ამერიკის წარმომადგენელი – სახელმწიფო მინისტრი კოლინ პაუელი – არაფატის ძალაუფლებისაგან ჩამოშორებას მოითხოვდა იმ მოტივით, რომ არაფატის ადმინისტრაცია კორუფციაშია ჩაძირული და ფარულად ტერორიზმს უწყობს ხელს. სამაგიეროდ, ევროკავშირისა და რუსეთის წარმომადგენლებმა მტკიცედ განაცხადეს, რომ, არაფატის პიროვნების მიუხედავად, იგი პალესტინელების მიერ კანონიერად არჩეული ხელმძღვანელია და უცხოელთა ჩარევით მისი გადაყენება არალეგიტიმური იქნება. იგივე პოზიცია დაიცვეს ეგვიპტისა და იორდანიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, რომლებიც შეხვედრას მოგვიანებით შეუერთდნენ.

ევროკავშირის საგარეო საქმეთა რწმუნებული ხავიერ სოლანა უფრო შორსაც წავიდა და ეჭვქვეშ დააყენა ამერიკელთა მოსაზრებები იასირ არაფატის კორუმპირებულობის შესახებ. სოლანას განცხადებით, ევროკავშირის მიერ პალესტინელებისათვის მიწოდებული დახმარება, რომელსაც არაფატის ადმინისტრაცია განაგებს, გაცილებით უფრო ეფექტურად ნაწილდება, ვიდრე მსოფლიოს სხვა მხარეებში მიწოდებული ანალოგიური დახმარება. ამერიკელებმა თავის დროზე შეგნებულად გადაწყვიტეს, რომ ამერიკული დახმარება არაფატის უწყების გვერდის ავლით გაენაწილებინათ, რათა თავიდან აერიდებინათ დახმარების კორუმპირებული მოხელეების ხელში მოხვედრა.



"კვარტეტის" შეხვედრა ნიუ-იორკში

REUTERS

ევროპელებმა და რუსებმა, გაერო-ს გენერალური მდივნის დახმარებით, წინააღმდეგობა გაუწიეს ამერიკელთა მოსაზრებას, რომ ისრაელის უსაფრთხოება ყოველგვარი მოლაპარაკების აუცილებელი წინაპირობა უნდა იყოს. სამაგიეროდ, უცხოელმა დიპლომატებმა მხარი დაუჭირეს ამერიკელთა პრინციპს, რომ მშვიდობის დამყარებისათვის აუცილებელია პალესტინის ადმინისტრაციის პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმირება, ოღონდ იმ პირობით, რომ ისრაელიც "შემხვედრ ნაბიჯებს" გადადგამს მშვიდობის დამყარებისაკენ. პალესტინის ადმინისტრაციის რეფორმირება აუცილებელია დამოუკიდებელი პალესტინური სახელმწიფოს მოსამზადებლად. პალესტინური ადმინისტრაციის რეფორმირების სამაგიეროდ, ისრაელმა უნდა შეწყვიტოს ახალი დასახლებების მშენებლობა და ბოლო მოუღოს პალესტინური მიწების ოკუპაციას. გარდა ამისა, ისრაელმა პალესტინის ადმინისტრაციას უნდა გადასცეს დაახლოებით 600 მილიონი დოლარი, რომელიც საბაჟო მოსაკრებლებისა და სავაჭრო გადასახადების სახით ისრაელის ხაზინაში დაგროვდა და პალესტინელებს ეკუთვნით. ამ თანხის პალესტინელებისათვის გადაცემას ისრაელი იმ მოტივით აყოვნებს, რომ არაფატის ადმინისტრაციამ შეიძლება ფული ტერორისტული აქტების დასაფინანსებლად გამოიყენოს.

მიუხედავად იმისა, რომ "კვარტეტის" შეხვედრა ისრაელში გუშინ მომხდარი ტერორისტული აქტის ფონზე მიმდინარეობდა, რუსმა, ევროპელმა და არაბმა დიპლომატებმა პალესტინელების პოზიციები მაინც ეფექტურად დაიცვეს. უნდა ითქვას, რომ შეერთებული შტატების აშკარად პროებრაული პოზიციები ბოლო ხანს სერიოზულ წინააღმდეგობას ხვდება არა მარტო რუსეთისა და გაერო-ს, არამედ ამერიკის ევროპელი მოკავშირეების მხრიდანაც.

# ჰუსეინი თვით სატანასაც გაუმკლავდება

ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი ერისადმი მიმართვით ტელევიზიით გამოვიდა. მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები მისი რეჟიმისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ – იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის წინააღმდეგ მსოფლიოს ყველა ძალა გაერთიანდება, რომელსაც თვით სატანა დაეხმარება, მას მაინც ვერ დაამარცხებენ.

წინა კვირას აშშ-ის პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი სადამის დასამხობად მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას გამოიყენებს. ამის საპასუხოდ, ორშაბათს ერაყის პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის თავდაცვის გეგმას. (BBC)



სადამი მტრებს ემუქრება

# ბრეჟნევის შვილიშვილი კომუნისტური პარტიის დიდების აღდგენას ეცდება

რუსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ლეონიდ ბრეჟნევის შვილიშვილი ანდრეი ბრეჟნევი გამოჩნდა, რომელიც აცხადებს, რომ ეცდება, კომუნისტურ პარტიას ბაბუის დროინდელი დიდება დაუბრუნოს. ანდრეი ბრეჟნევი ახალი კომუნისტური პარტიის ლიდერია, რომელშიც 10000-ზე მეტი ადამიანია გაწევრიანებული.

კომუნისტების ლიდერობის ახალი პრეტენდენტი აკრიტიკებს კომუნისტური პარტიის ლიდერს გენადი ზიუგანოვს, რადგან მისი ნაციონალიზმისა და რელიგიის საკითხებით ზედმეტად გატაცების წყალობით კომუნისტურმა პარტიამ თავისი მრავალი მონაპოვარი და თვისება დაკარგა. მაგალითად, ბრეჟნევი უკმაყოფილოა იმით, რომ უარყვეს პარტიის ოფიციალური ათეიზმი. ბრეჟნევი ახალ კომუნისტურ პარტიაში მორწმუნე წევრების მიღებას არ დაუშვებს.

ანდრეი ბრეჟნევი იმედოვნებს, რომ რუსეთის მოქალაქეები, რომლებსაც კომუნისტური იდეალებისა კიდევ სჯერათ და დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთში კაპიტალიზმი განწირულია, ახალ კომუნისტურ პარტიას მხარს დაუჭერენ. ახალი კომუნისტური პარტია კი, თავის მხრივ ეცდება, აღადგინოს "ყველაფერი კარგი", რაც ბრეჟნევის პერიოდში არსებობდა. აქ იგი გულისხმობს სრულ სახელმწიფო კონტროლს ქვეყნის რესურსებზე, უფასო განათლებასა და ჯანდაცვას. პარტიის პროგრამის მოსახლეობისთვის ამ ფორმით მიწოდება გასაგებია, რადგან რუსეთის მოსახლეობის ასაკოვან ფენაში ბრეჟნევის მმართველობის პერიოდი (1964-1982) ისეთ ცნებებთან ასოცირდება, როგორიცაა მშვიდობა, უსაფრთხოება, სამსახური და საკვები.

ბრეჟნევი დიდ იმედებს ამყარებს პროვინციებზე. იგი აკრიტიკებს ზიუგანოვის პოლიტიკას, რომელიც მოსკოვზეა ფოკუსირებული და სანამ არჩევნების დრო არ მოვა, იგნორირებას უკეთებს რეგიონულ კომუნისტურ ორგანიზაციებს,. როგორც ჩანს, ბრეჟნევი ამ ვაკუუმის შევსებას ეცდება.

რამდენად დიდია ანდრეი ბრეჟნევის მიერ რუსი კომუნისტების გულის მოგების შანსები? შარშან მან კენჭი იყარა ტულის გუბერნატორის თანამდებობაზე და ხმათა 1,1 პროცენტი მიიღო. ბრეჟნევი საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენებას აპირებს, მაგრამ არა 2004 წელს, რადგან საპრეზიდენტო კამპანიის წარმართვისთვის ჯერ სახსრები არ გააჩნია. (Associated Press)

# ჩინეთის პოლიტიკა აშშ-ის უსაფრთხოებას ემუქრება

აშშ-ის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ჩინეთი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს მასობრივი განადგურების იარაღს აწვდის, რადგან არმიის მოდერნიზაციისთვის სახსრები სჭირდება. ეს ინფორმაცია გაზეთმა "The World Tribune" გაავრცელა.

ჩინური იარაღის მყიდველების სიაში არიან ეგვიპტე, ირანი, ლიბია, სირია, სუდანი, ჩრდილოეთი კორეა და საუდის არაბეთი. ეს ქვეყნები ჩინეთისგან ძირითადად ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის წარმოების ტექნოლოგიებსა და, აგრეთვე, სხვადასხვა კომპონენტებს ყიდულობენ. გარდა ამისა, ჩინელები ყიდიან ინფორმაციას სამოქალაქო ბირთვულ ობიექტებზე ხელმისაწვდომი ბირთვული მასალების შესახებ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩინეთის მიმართ პრეტენზიები ბოლოს პენტაგონის მოხსენებაში - "ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ძლიერება" - დაფიქსირდა. მოხსენებაში აღინიშნა, რომ ჩინეთის სწრაფვამ ჯარის მოდერნიზაციისკენ, შესაძლოა, აიძულა ქვეყნის ხელისუფლება, 2000 წლის დაპირება, რომ "ბოროტების ღერძის" ქვეყნებისთვის მასობრივი განადგურების იარაღის ექსპორტს შეწყვეტდა, დაერღვია.

ორშაბათს წევრებმა ჩინეთ-ამერიკის უსაფრთხოების კომისიისა, რომელიც კონგრესმა 2000 წელს დააფუძნა, პენტაგონის მონაცემები დაადასტურეს. წლიურ მოხსენებაში, რომელიც კონგრესს წარედგინა, კომისია ამტკიცებს, რომ ჩინეთი ტერორიზმის წამქეზებელ ქვეყნებს მასობრივი განადგურების იარაღს აწვდის. იარაღის ვაჭრობით მიღებული თანხები კი შეიძლება შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის პროგრამების სუბსიდირების წყარო გახდეს. კომისია ასკვნის, რომ ჩინეთის პოლიტიკა რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროში (მასობრივი განადგურების იარაღის ექსპორტზე კონტროლის არარსებობა, თანამშრომლობა "ბოროტების ღერძის" ქვეყნებთან, შორი მანძილის რაკეტების არსენალის გაზრდა, მუქარის პოლიტიკა ტაივანის მიმართ) აშშ-ის უსაფრთხოების ინტერესებს ლიად ეწინააღმდეგება.

მარტში ჩინეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო ბიუჯეტის 17,6 პროცენტით (დაახლოებით 3 მლრდ. დოლარი) გაზრდის შესახებ. ("ირნა")

# უსაფრთხოების ახალი სისტემა შეერთებული შტატებისათვის

გიორგი ხელაშვილი

*პრეზიდენტ ბუშის მიერ გამოქვეყნებული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია ძირითადად შიდა საფრთხეებისაგან ქვეყნის დაცვას შეეხება.*

ამერიკის ისტორიაში პირველად შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ქვეყნის შიდა უსაფრთხოების სტრატეგია გამოაქვეყნა. აქამდე ამერიკელები მიიჩნევდნენ, რომ ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო საფრთხე საზღვრებს გარედან მოდიოდა, 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ კი ეს წარმოდგენა ძირფესვიანად შეიცვალა, რამაც უსაფრთხოების ახალ სტრატეგიას დაუდო სათავე.

პრეზიდენტ ბუშის მიერ 16 ივლისს წარმოდგენილი შიდა უსაფრთხოების სტრატეგია ამერიკის "კატასტროფული საფრთხეებისაგან" დაცვაზეა ორიენტირებული. "კატასტროფული საფრთხეების" პრობლემა ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური იარაღისაგან და კიბერნეტიკული ტერორიზმისაგან მომდინარე საშიშროებებს მოიცავს.

ამ პრობლემებისთვის თავის გართმევას ამერიკის ადმინისტრაცია გიგანტური "შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის" შექმნით აპირებს. ახალ დეპარტამენტში, რომელსაც 38 მილიარდი დოლარის ბიუჯეტი ექნება, 17 ათასი ადამიანი იმუშავებს. ეს დაწესებულება გააერთიანებს უსაფრთხოების დაახლოებით 22 სააგენტოს და მჭიდრო კავშირში იქნება ცენტრალური დაზვერვის სააგენტოსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან.

ახალი სამმართველოს საქმიანობა სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს: შეერთებული შტატების შიგნით ტერორისტული თავდასხმების ალკვეთას; ტერორიზმის წინაშე ამერიკის სისუსტეების აღმოფხვრას; ტერორისტული თავდასხმის შემთხვევაში ზიანის მინიმუმამდე დაყვანასა და შედეგების სწრაფად გამოსწორებას. ახალი სტრატეგიის გეგმას პრეზიდენტი ბუში ამერიკის კონგრესს გაუგზავნის. პრეზიდენტმა წინდაწინ იზრუნა ამ პროექტის წარმატებისათვის და თავისი კაბინეტის ოთხი მინისტრი წინასწარ მიავლინა კონგრესში ახალი სამმართველოს ლობირებისათვის.

შიდა უსაფრთხოების ამოცანების გადაწყვეტაში მთავარი როლი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას ენიჭება. მეცნიერებმა უნდა შექმნან ბიოლოგიური და რადიაქტიური თავდასხმებისაგან თავდაცვის ეფექტური საშუალებები. გარდა ამისა, შეიქმნება სპეციალური ანალიტიკური ცენტრები, ე. წ. "წითელი ბრიგადები", რომლებიც მუდმივად იფიქრებენ იმაზე, თუ რა ტაქტიკით შეიძლება იმოქმედონ ტერორისტებმა ამერიკის წინააღმდეგ და თავის რეკომენდაციებს შიდა უსაფრთხოების სამმართველოს წარუდგენენ. დაახლოებით ამგვარი ჯგუფები შეიქმნება დიდი კორპორაციების შიგნითაც, რომელთა მთავარი დანიშნულება ამა თუ იმ დაწესებულების უსაფრთხოების სუსტი წერტილების გამოვლენა იქნება.

გაზეთ "ვაშინგტონ პოსტთან" საუბარში ამერიკის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა განაცხადა, რომ "თუ ტერორისტების სტრატეგიაში რაიმე მუდმივია, ეს არის მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენების მუდმივი ძიება და ჩვენს სუსტ წერტილებზე დარტყმების განხორციელება. როგორც კი ჩვენ გავაძლიერებთ უსაფრთხოებას რომელიმე სფეროში, ისინი მაშინვე მეორე სფეროში გადადიან". ეს განცხადება შეიძლება ბუშის ახალი გეგმის კრიტიკადაც მივიღოთ.

ბრუკინგსის ინსტიტუტი ამერიკის ადმინისტრაციას აფრთხილებს, რომ თავისთავად "შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის" ამოქმედებას, დიდი დანახარჯების გარდა, უამრავი დროც დაჭირდება. თვეებისა და, შესაძლოა, წლების განმავლობაში ამერიკის უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე სპეციალისტები პარალელურად დაკავებულნი იქნებიან როგორც ტერორიზმთან ბრძოლით, ასევე ახალი, გიგანტური დეპარტამენტის აწყობა-ამოქმედებით. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს მნიშვნელოვნად გააუარესებს ამ სპეციალისტების მუშაობის ეფექტურობას.

ამ ნაკლოვანებების გარდა, ბუშის მოხსენებაში ნაკლები ყურადღება მიექცა ამერიკის უსაფრთხოების სისტემის ყველაზე პრობლემურ საკითხს: ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროს შორის მოქმედების კოორდინირებას.

ამერიკის შიდა უსაფრთხოების სტრატეგიას ერთ მნიშვნელოვან დასკვნამდე მივყავართ. უკვე არა მარტო სუსტი და პატარა სახელწიფოები, არამედ მსოფლიოს ერთადერთი ზესახელმწიფოც კი უსაფრთხოებაზე ზრუნვისას საგარეო საფრთხეებთან ერთად დიდ ყურადღებას ანიჭებს ქვეყნის შიგნით არსებულ საფრთხეებს. ამ დასკვნას, თავის მხრივ, ორ მოსაზრებამდე მივყავართ: ჯერ ერთი, შიდა საფრთხეების ზრდა სულაც არ მეტყველებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაზე, არამედ პირიქით, "ცეცხლზე ნავთს ასხამს". და მეორეც, შიდა უსაფრთხოების პრობლემების გამწვავებასთან ერთად სულ უფრო გაძნელდება ადამიანის უფლებების დაცვა და სამოქალაქო საზოგადოების პრინციპების მიყოლა არა მარტო ჩამორჩენილ, არამედ მოწინავე ქვეყნებშიც.

## კავკასიის ამბები

# ყარაბახის პრეზიდენტობას ოთხი კანდიდატი აპირებს

მთიანი ყარაბახის თვითმარქვია რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატების რეგისტრაცია დასრულდა. მხოლოდ ოთხმა კანდიდატმა მოახერხა საჭირო დოკუმენტების დროზე ჩაბარება და წინასაარჩევნო კამპანიაში ოფიციალურად ჩაბმა. ოთხ კანდიდატს შორისაა მთიანი ყარაბახის ახლანდელი პრეზიდენტი არკადი ღუკასიანი. მასთან ერთად არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ ყარაბახის პარლამენტის თავმჯდომარე არტურ თოვმასიანი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ალბერტ ღაზარიანი და "მიასნუწუნის" (ერთობის) ორგანიზაციის ხელმძღვანელი გრიგორი აფანასიანი.

ყარაბახის საარჩევნო კანონის მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატებს მხარდამჭერთა 1500 ხელმოწერა უნდა მოეგროვებინათ. რეგისტრაციის პერიოდის განმავლობაში გაუგებრობა გამოიწვია საკითხმა, ჰქონდათ თუ არა უფლება სომხეთის (და არა ყარაბახის) მოქალაქეებს, მონაწილეობა მიეღოთ ამ არჩევნებში. შეგახსენებთ, რომ სომხეთის ახლანდელი პრეზიდენტი რობერტ კოჩარიანი პრეზიდენტად არჩევამდე სწორედ ყარაბახის, და არა, სომხეთის მოქალაქე იყო.

საპრეზიდენტო არჩევნები მთიან ყარაბახში 11 სექტემბერს გაიმართება.

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის აგების სანქცია აგვისტოში გაიცემა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მენეჯერმა "ბრიტიშ პეტროლეუმიდან" მაიკ ტაუნშენდმა აზერბაიჯანის ეროვნული ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ნავთობსადენის აგების ოფიციალური სანქცია აგვისტოს შუა რიცხვებში გაიცემა. ტაუნშენდმა დაამატა, რომ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰან კორპორეიშნის" შექმნა და კონტრაქტების განაწილება კომპანიებს შორის თავისთავად უკვე ნავთობსადენის აგების სანქციად უნდა ჩაითვალოს.

ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი, თუ რამ გამოიწვია ნავთობსადენის აგების ოფიციალური სანქციის გაცემის დაგვიანება, რომელსაც ივლისის დასაწყისში მოელოდნენ.

ტაუნშენდმა კომენტარი გააკეთა ნავთობსადენთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხზე. მისი თქმით, მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტი 500 მილიონ დოლარს არ შეადგენს, მაგრამ ამ რიცხვს უახლოვდება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის აგება და აზერბაიჯანული ნავთობის გადატანა, როგორც დაგეგმილი იყო, 2005 წლის იანვარში დაიწყება. ნავთობსადენის აგების ღირებულების ბოლო შეფასება ოდნავ აღემატება ერთი წლის წინანდელს და 2.95 მილიარდ დოლარს შეადგენს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მფლობელთა მიერ დადგენილი ტარიფის საფასური დაახლოებით 3.30 დოლარი იქნება ერთი ბარელი ნავთობისათვის.

ტაუნშენდმა ერთი სასიამოვნო ახალი ამბავიც აცნობა აზერბაიჯანის მოსახლეობას – აზერ-ჩირაგ-გიუნეშლის ნავთობის საბადოს რეზერვები უფრო მეტია, ვიდრე ადრე ვარაუდობდნენ და დაახლოებით 5.3 მილიარდ ბარელს აღწევს, რაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის აგებას უფრო მიმზიდველ წამოწყებად ხდის.

# ტექნიკური უნივერსიტეტი ნაადრევად დაბერდა

## „მალე ამ სპეციალობის ხალხი აღარ გვეყოლება", - აცხადებს ერთ-ერთი დეკანი

მანანა მანჯგალაძე

*სკოლის და უმაღლესის დამთავრება საბჭოთა საქართველოელი ყმაწვილის საოჯახო-სავალდებულო მინიმუმი იყო. ხოლო სამეცნიერო ხარისხი ან შემოსავლიანი სამსახური და იერარქიული კიბე – უკვე პროგრამა მაქსიმუმს შეადგენდა. პრესტიჟული სასწავლებლის პრესტიჟული ფაკულტეტი ადრეც ძვირად ფასობდა და დღესაც ასეა. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილებები გაუჩინა ჩვენებურებს, მაგრამ დიპლომის მაგიურ ძალას ძველებური ხიბლი დარჩა.*

ერთ დროს ყველაზე მრავალრიცხოვან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 15 ფაკულტეტი, საბიუჯეტო და ფასიანი განყოფილებები, მასში არსებული ხუთი ინსტიტუტი წელს დაახლოებით 4000-მდე სტუდენტის მიღებას აპირებს. დღის სექტორზე გათვალისწინებულია 1845 აბიტურიენტის მიღება, ხოლო დაუსწრებელზე – 80-ის. 1900-მდე სტუდენტის მიღებაა ნავარაუდევი ფასიან სექტორზეც.

ტექნიკური უნივერსიტეტიც ისევე, როგორც სხვა უმაღლესი სასწავლებლები ცდილობს მინიმუმზე დაიყვანოს დაკარგულ აბიტურიენტთა რაოდენობა. უნივერსიტეტის 15 ფაკულტეტიდან მხოლოდ რამდენიმეზეა მოთხოვნილება. ყველაზე ნაკლები ინტერესი კი, სწორედ საინჟინრო სპეციალობებისადმია.

"ნახევარი საქართველოს აბიტურიენტები იურიდიულ ფაკულტეტზე მიდიან, მეორე ნახევარი - ეკონომიკურზე. არავინ მოდის სამშენებლო, ენერგეტიკის, სამთო-გეოლოგიის ან ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტებზე. მალე ამ სპეციალობის ხალხი აღარ გვეყოლება. შედარებით დიდი კონკურსი გვაქვს მხოლოდ ჰუმანიტარულ-ტექნიკურ, კავშირგაბმულობის, ინფორმატიკის, ტელეკომუნიკაციებისა და მართვის სისტემების და სატრანსპორტო ფაკულტეტებზე", – დანანებით ამბობს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმღები კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, თამაზ კუპატაძე.

მისი აზრით, საქართველოს საზოგადოება დეფორმირებულია და საარსებო სპეციალობებს ყველაზე დიდ საფრთხე ემუქრება, რადგან მალე გაჩნდება ვაკუუმი და პროფესიონალი ინჟინრების შემოყვანა უცხოეთიდან მოხდება: "ისინი იქნებიან მაღალანაზღაურებად მაღალ თანამდებობებზე, ჩვენ კი..."

მაგალითად, გეოდეზიის ფაკულტეტი, რომელსაც დიდი და ტრადიციული სკოლა აქვს, მისაღებ კონტიგენტს 10 კაცამდე ძლივს ავსებს. დიდი კონკურსი მხოლოდ ჰუმანიტარულ სპეციალობებზეა, სადაც 16 ივლისიდან 18 ივლისის ჩათვლით ტესტირება ტარდება. საერთოდ მისაღები გამოცდები კი 20 ივლისიდან იწყება. "ტესტირებით ვადგენთ, ვის არ აქვს ჰუმანიტარული დარგებისადმი მიდრეკილება და მერე ვურჩევთ საინჟინრო ფაკულტეტებზე შეიტანონ საბუთები, იქ, სადაც შედარებით დაბალი კონკურსია", - სრული სერიოზულობით გვითხრა თამაზ კუპატაძემ და არც კი დაუშვა, რომ სტუ-თვის დამახასიათებელ ძველ ტრადიციაზე საუბრობდა.

საქართველო ზღვის ქვეყანააო და ტექნიკური უნივერსიტეტიც წელს პირველად აცხადებს კონკურსს მისთვის ახალ სპეციალობებზე: გემების ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია, გემთწამყვანი და გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა.

უმაღლეს სასწავლებლებს შორის კონკურენციაც თავისებურად ესმით სტუ-ში: "მარტო სახელმწიფო უნივერსიტეტი რომ უშვებდეს იურისტებსა თუ ჟურნალისტებს, მაშინ ეს არაკონკურენტუნარიან გარემოში ცხოვრების მაჩვენებელი იქნებოდა. ჩვენ ვამბობთ, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი დღეს უკეთ ამზადებს სპეციალისტებს. საინჟინრო დარგის მომზადების სტილი ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზეც არის გადასული. ეს კი ნიშნავს ყოველდღიურ უმკაცრეს მოთხოვნებს".

მაგრამ, იმავდროულად აქ ახალგაზრდა პედაგოგების უკიდურეს სიმცირეს უჩივიან: "ტექნიკური უნივერსიტეტი უბრალოდ ბერდება. ყველაზე მაღალი ხელფასი ჩვენთან 60 ლარია. იძულებულები ვართ, ახლგაზრდა პედაგოგი რომ მოვიყვანოთ, სხვა სამსახურიც მოვუნახოთ."

ბოლო წლების გამოცდილება აჩვენებს, რომ ჩვენს საზოგადოებას შეუძლია, ნებისმიერი საკითხი პოლიტიკურ დონეზე აიყვანოს. ამიტომ "თუკი წინათ ჩვენ მილიცია გვიცავდა და ეზოში ვერავინ გაივლიდა, ახლა პირიქით - საზოგადოებასთან უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ახლოს. გაუმჯობესებული იქნება საჯაროობა და არაფერი იქნება გასაიდუმლოებული."

შესაძლოა, ამის გამო აბიტურიენტების საბუთებს თავად სტუდენტები იღებენ. თანაც, ამ საქმიანობაში გასამრჯელოსაც მიიღებენ, 60-80 ლარს. სტუდენტისათვის ზაფხულში ეს კარგი ფულია. ამ ფულს კი - 20 ლარს აბიტურიენტი საბუთების შემოტანის დროს იხდის.

უფასო სწავლებას დიდი ხანია ფასი დაედო და რატომ ჰქვია უფასო, გაუგებარია. უფასო განყოფილებაზე მოხვედრისას ხშირად იმაზე მეტ ფულს ხარჯავენ, ვიდრე ფასიან სექტორზე სწავლების განმავლობაში. იაფი არც ის არის. ყოველწლიურად 800 ან 1000 დოლარი ღირს. მაგალითად, "უფასო" იურიდიულზე "მოწყობა" შარშან 3000-3500 დოლარი ღირდა. მართალია, თსუ-ის იმავე ფაკულტეტის ნიხრი რამდენჯერმე მეტია, მაგრამ დასახელებული თანხა იმავე ფასიანი სექტორის 3 წლის სამყოფი ხომ არის?

*სახელმწიფო უნივერსიტეტს, სამედიცინო ინსტიტუტს და ტექნიკურ უნივერსიტეტს ახსოვს ის დრო, როცა ერთ ადგილზე 10 ან თუნდაც 15 კაცი მოდიოდა, როცა მისაღები გამოცდები ლამის სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლა იყო და "საბალელშჩიკოდ" მთელი სანათესაო დადიოდა. დღეს კი, მთავარია არ ჩაიჭრა, ბოლომდე გახვიდე და თუნდაც ქულების მინიმუმი დააგროვო. შეიძლება განმეორებითი გამოცდაც დაგინიშნონ: ოღონდ მიდი, ოღონდ ფული შეიტანე. ახლა როლები შეიცვალა. ადრე თუ სტუდენტობა ძნელი მისაღწევი იყო, დღეს უკვე უმაღლეს სასწავლებლებს აქვთ გაშმაგებული ბრძოლა თითოეული აბიტურიენტისათვის.*



მშობლები და აბიტურიენტები



ლევან ხერხეულიძის ფოტოები

# პოლიტიკოსების გარეშე კონფლიქტები მოგვარებადია

ეკატერინე ბახუტაშვილი

"სახელმწიფო არ არის დაინტერესებული, კონფლიქტების მოგვარებაში სახალხო დიპლომატია ჩართოს, რადგან იგი ამ პროცესს ვერ გააკონტროლებს. ხალხს მშვიდობა სურს. პოლიტიკოსები რომ არ იყვნენ, კონფლიქტები დიდი ხნის დარეგულირებული იქნება", – განაცხადა კავშირ "ქალთა ინიციატივა თანასწორობისათვის" პრეზიდენტმა ლელა გაფრინდაშვილმა სასტუმრო "თორში" გამართულ სემინარზე, რომელიც კონფლიქტების მოგვარებაში სახალხო დიპლომატიის გამოყენების და ქალთა როლის გაზრდის საკითხებს მიეძღვნა. იგი აფხაზეთის ქალთა ასოციაციის "საბინების" ინიციატივით გაიმართა. "საქართველოში მომხდარი ორივე კონფლიქტი პოლიტიზირებული იყო და მათი საფუძველი ეთნოკონფლიქტი არ ყოფილა", – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ლელა გაფრინდაშვილმა და დასძინა: "მათ წარმოშობაში, რა თქმა უნდა, გარე ძალები მონაწილეობდნენ, მაგრამ ქვეყნის შიგნითაც იყვნენ ძალები, რომლებსაც აინტერესებდათ კონფლიქტების წარმოქმნა. უკვე ვიცით, რომ ამ ტერიტორიებზე არსებობს გარკვეული ბიზნესინტერესები და მასში ჩართულია შავი სამყარო. ამდენად, პოლიტიკოსები არ არიან დაინტერესებულნი კონფლიქტების მოგვარებით, რადგან ამღვრეული წყალი უფრო ხელსაყრელია მათთვის. მე შევხვედრივარ აფხაზებს და ვიცი, ხალხი პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით სხვა ტენდენციას გამოხატავს. ისინი მოდიან დიალოგზე, როდესაც კონფლიქტის მოსაგვარებლად კონკრეტულ გზას სთავაზობ. მიმაჩნია, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირება ყველაზე ეფექტური იქნება სახალხო დიპლომატიით და იგი არ გამოიწვევს პრობლემის პოლიტიზირებას".

სემინარში საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო წარმომადგენლებთან ერთად გალში და გალის რაიონის სოფლებში მცხოვრები ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას. ჩვენ ერთ-ერთ მათგანსაც გავესაუბრეთ.

რაულ ხონელიძე არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი არ არის და მსგავს ღონისძიებაში პირველად მონაწილეობდა.

"ეს კონფლიქტი, როგორც ყველა ოჯახს, ჩემსასაც შეეხო. ოჯახის წევრებიდან არავინ დამღუპვია, მაგრამ ნათესავებსა და მეზობლებში იყო ასეთი ფაქტები. გალში უმრავლესობას ქართველები შევადგენთ. ქალაქში მაინცდამაინც ხშირად არ დავდივართ. ძირითადად სახლში ვართ და სოფლის მეურნეობას ვეწევით. ამით ვცხოვრობთ. აფხაზებთან ურთიერთობა მაინცდამაინც არ გვაქვს, ძირითადად "გამარჯობით" შემოვიფარგლებით. იქ დარჩენილებს იმედი გვაქვს, რომ კვლავ დაბრუნდებიან აფხაზეთიდან წასულები. ჩვენი მომავალი მხოლოდ საქართველოსთან ერთად წარმოგვიდგენია", - გვითხრა მან.

# როგორ გვინახავენ ტყეს მეტყევე „მამები"

თამარ მაისურაძე

*მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ვიღაც დაინტერესებულა, თუ რამდენი ჰექტარი ტყეა საქართველოში. მეტყევეებს უპასუხიათ, 3 მილიონიო. ერთი ჰექტარი 100 დოლარად არ გაიყიდებაო? – უფრო დაინტერესებულა ის ვიღაც ერთი...*

ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში ტყე პერმანენტულად იჩეხება. რამდენიმე წლის წინ საქართველოს ტერიტორიის 40 პროცენტი ტყეს ეკავა. ეს ციფრი რამდენით შემცირდა, ვერ გეტყვით... ტყის ჩეხვასთან ერთად, მის გადარჩენაზეც გამუდმებით ლაპარაკობენ. თუმცა, დღემდე არაფერი შეცვლილა. საქართველოს "მწვანეთა" პარტია აცხადებს, რომ ჩვენ ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე ვდგავართ. "საქართველოს ტყე ორი ძირითადი მიზეზის გამო ნადგურდება: ენერგოკრიზისი, რომელიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, ხელოვნურად შექმნა ჩვენმა ხელისუფლებამ და კორუფცია, რომელიც დაკავშირებულია ენერგეტიკაში თანხების მითვისებასთან, პრივატიზაციასთან და ჩვენი ენერგორესურსების საზღვარგარეთ გაყიდვასთან. ამას თან სდევს ნავთის ბიზნესის განვითარება და ბაზრის შექმნა საქართველოში. ყველაფერმა ამან დიდი პრობლემის წინაშე დააყენა მოსახლეობა და მანაც დაიწყო ტყის ჩეხვა", – ამბობს "მწვანეთა" პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე. იგი თვლის, რომ ტყის ექსპორტის საკითხი ცალკე თემაა. "საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელიც შეძლებს, მთელი მსოფლიო ტყის ნედლეულით მოამარაგოს. თურქეთი, ჩინეთი, ისრაელი, ესპანეთი, იტალია, გერმანია, ტაილანდი, საფრანგეთი, ირანი, საბერძნეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, კვიპროსი, ინგლისი, სომხეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ავსტრია, ახალი ზელანდია, პოლონეთი, უკრაინა – ეს ის ქვეყნებია, რომლებშიც საქართველოს ტყის ექსპორტი მიმდინარეობს", – ამბობს გაჩეჩილაძე და ზემოთქმულში საქართველოს პარლამენტარებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას ადანაშაულებს. "ასეთი რამ ხელისუფლების გარეშე არ ხდება. ეს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის გადაგდებული ლუკმააო," – ამბობს იგი.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში წელიწადში 400-500 ათასი კბ.მ ხე-ტყის მოთხოვნილებააო. სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ინფორმაციით, რეალურად, 5-6 მილიონი კბ.მ ხე-ტყე იჩეხება. როგორც ჩანს, იმ სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, ვინც ამ სფეროს კურირებს, ინფორმაცია ტყის უკანონო ჩეხვის შესახებ ახალი არ არის. რატომღაც ახლა გახდა ამ პრობლემაზე ლაპარაკი პოპულარული. რატომღაც ახლა დაიწყო მტყუან-მართლის გარჩევა და იმ დამნაშავეთა ძებნა, რომლებიც ბოლო 10 წლის მანძილზე ქართული ფლორით კარგად ითბობდნენ ხელს.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია უნდა გამართულიყო ჟურნალისტის სახლში, სადაც სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელი გივი ჯაფარიძე იყო მიწვეული. ჯაფარიძე პრესკონფერენციაზე არ მივიდა - როგორც მოგვიანებით გაირკვა, შეუძლოდ ყოფილა. პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნა ჩვენში არავის უკვირს. როგორც სატყეო დეპარტამენტის დებულებაში წერია, "ხშირად ჩვენი საზოგადოება სატყეო მეურნეობის დარგს სატყეო სექტორთან, ანუ ხე-ტყის ბიზნესთან აიგივებს. ხე-ტყის მოჭრა, გადაზიდვა, მისი გადამუშავება და რეალიზაცია, ხე-ტყის ექსპორტი – ყველაფერი ეს რეალურად არსებობს, მაგრამ არ შედის სატყეო დეპარტამენტის ფუნქციებში."

შეიძლება ჯაფარიძე სხვამ შეცვალოს, მაგრამ შეიცვლება თუ არა არსებული სიტუაცია? ეშველება თუ არა ამ პრობლემას და გადარჩება საქართველოს ტყე? გამოსავალს თავად მეტყევეები გვთავაზობენ. სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ტყის დაცვის ლაბორატორიის გამგეს ბიძინა თავაძეს თავისი მოსაზრება აქვს: "უნდა დავიწყოთ იქიდან, თუ როგორია მოსახლეობის მოთხოვნილება შეშაზე და რა რესურსები აქვს ტყეს. დღეს ამას დაზუსტებით ვერავინ იტყვის. ამიტომაც დგას ყველაფერი თავდაყირა. ისიც სათქმელია, რომ მეტყევე, რომლის ხელფასი 30 ლარია, ტყეს ვერ შეინახავს".

# მანქანებიდან ვაჭრობა აიკრძალა

ქეთი ქადაგიშვილი

გუშინ ცენტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიაზე გარევაჭრობა აღდგა. ორი დღის წინათ, მერიის განკარგულებით, დინამო სტადიონთან, წინამძღვრიშვილისა და აბასთუმნის ქუჩებზე ავტომანქანებიდან საბითუმო ვაჭრობა აიკრძალა და დასუფთავების მიზნით, გარევაჭრობა დროებით შეჩერდა. როგორც სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციაში გვითხრეს, ავტომანქანებიდან ვაჭრობის აკრძალვა ცენტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიას მნიშვნელოვნად წაადგება. ავტომანქანებიდან მოვაჭრეები ძალიან აფერხებენ ქუჩებზე მოძრაობას და აქაურობას აბინძურებენ. ქალაქის ხელმძღვანელობას სურს, ის ადგილები, სადაც მანქანებიდან ვაჭრობენ, ბაზარში მიმსვლელთა ავტომანქანების სადგომად გამოიყენოს.

ამ აკრძალვების მიუხედავად, დღეს ავტომანქანებიდან ვაჭრობა მხოლოდ დინამო სტადიონთან შეწყდა, წინამძღვრიშვილისა და აბასთუმნის ქუჩებზე კი კვლავ გრძელდება. რაიონის გამგეობაში გვითხრეს, რომ ავტომანქანებიდან ვაჭრობა თანდათან აიკრძალება. "ამ პრობლემას ერთ დღეში ვერ მოვაგვარებთ, დინამო სტადიონთან ხომ ავკრძალეთ, დღეს ქალაქის პოლიციასთან ერთად წინამძღვრიშვილისა და აბასთუმნის ქუჩებსაც მივხედავთ", – აცხადებს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლის მოადგილე, ჯონი გურგენაშვილი.

ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებულ სანიტარულ ღონისძიებასაც შედეგი მხოლოდ ერთი დღით ჰქონდა. გარევაჭრობის ადგილები მეორე დღესვე ისევ ძველებურად დაბინძურდა. დასუფთავების შემდეგ მალფუჭებადი პროდუქტი საგრძნობლად შემცირდა, თუმცა, როგორც სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია ვარაუდობს, უახლოეს დღეებში, გარემოვაჭრეები მალფუჭებად პროდუქტს კვლავაც გამოფენენ.

სანიტარული ღონისძიების დროს ინსპექციამ ბოლო დღეებში გარევაჭრობიდან 637 კილოგრამი ყველი, 475 დაკლული ფრინველის ხორცი, 50 კილოგრამი შებოლილი თევზი "სიგა", 40 ცალი ხორციანი ღვეზელი, 11 ცალი კრემიანი ნამცხვარი, ორი ცალი ძეხვი ამოიღო.

# გალელ ბავშვებს ქართული დაავიწყდებათ

დალი კუპრავა

გუშინ სახალხო დამცველის ოფისში, აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციების საბჭოს ინიციატივით, ჩატარდა კონფერენცია, რომელსაც ჟიული შარტავას სახელობის დარბაზში ახალგაზრდობის ცენტრი მასპინძლობდა. კონფერენცია მიეძღვნა გალის რაიონის სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხს.

როგორც გამოიკვეთა, გალში დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია, ქართულ ენას მშობლიურს ვუწოდებთ თუ სახელმწიფოს - რეალურად ის არც ერთი სტატუსის მატარებელი არ არის. პრობლემა ის არის, რომ იქ, არამცთუ აფხაზურ და რუსულ სკოლებში, არამედ ქართულ სკოლებშიც გაბედულ მასწავლებლებს არალეგალურად უწევთ ქართულის სწავლება.

გაიხსენეს მაგალითი, როცა გაზაფხულზე ერთ-ერთ სკოლაში მეთერთმეტეკლასელებმა მოისურვეს, გამოსაშვები სპექტაკლი დაედგათ. მაგრამ რომელ ენაზე უნდა ესაუბრათ, დიდხანს ვერ გადაწყვიტეს: ქართულად ვერ დადგამდნენ, რუსულად არ უნდოდათ, აფხაზური არ იცოდნენ. ბოლოს მასწავლებელმა პიესა მეგრულად თარგმნა. თეატრალური საღამო ჩატარდა, მაგრამ მეორე დღიდან მასწავლებელი სკოლაში აღარ მისულა.

"მე ქართველი ვარ, სოხუმში ვცხოვრობდი. ომის დროს ცხრა წლის ვიყავი. მას შემდეგ ვოლგოგრადში ვცხოვრობ დედ-მამასთან და დებთან ერთად. დედა კვირაში ერთხელ ქართულის გაკვეთილებს გვიტარებს, რომ წერა-კითხვა არ დაგვავიწყდეს. სახლში მეგრულად ვლაპარაკობთ", - "24 საათს" რუსულად ესაუბრა თემურ ქობალია, რომელიც ამჯერად თბილისში სოხუმიდან ჩამოვიდა. იქ კი მეგობარ ჟურნალისტთან სტუმრობდა. კონფერენციას ის არაოფიციალურად, მეგობრის მოწვევით ესწრებოდა. თემური რუსეთის მოქალაქეა, მაგრამ იმედი აქვს, რომ დადგება დრო და საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს. მისთვის იქ რუსული პასპორტით ცხოვრება იოლია, თანაც, აფხაზეთში რომ ქართული პასპორტით ჩავიდე, საზღვარზევე თავზე გადამახევენო, თქვა მან. უკმაყოფილო იყო: როგორ შეიძლება, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას, ჟურნალისტმა მოაცდინოს და გარეთ გაიყვანოს აფხაზეთის განათლების მინისტრი, ან კონფერენციის რომელიმე მონაწილე.

თემურ ქობალიამ "24 საათს" უთხრა, რომ მას გვარის გამხელა ლოთი ქობალიას გამო რცხვენია, თორემ ვოლგოგრადში ქართველებს პატივს სცემენ და თანამდებობასაც სთავაზობენ. სომხებთან და აზერბაიჯანელებთან უფრო ცუდი დამოკიდებულება ჰქონიათ, რაც, შესაძლოა, მათი ბოლოდროინდელი მომრავლებით აიხსნას. თურმე სომხეთშიც ჩვენებური კლანური მმართველობა ყოფილა და ამიტომ გამორბიანო, ფიქრობს ოცი წლის სოხუმელი.

კონფერენციაზე ენის პალატის თავმჯდომარემ ლევან ღვინჯილიამ დამსწრეებს იმედი გადაუწურა. მისი აზრით, როგორ შეიძლება გადაწყდეს გალის სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხი, როცა აფხაზეთის რეალური (რაც უნდა თვითგამოცხადებული და თვითმარქვია ვეძახოთ) ხელისუფლება საქართველოს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ჯდება, როგორც მეზობელი სახელმწიფო და არა როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ამგვარი მოლაპარაკებები, სადაც უნდა ჩაატარო ის, შედეგს არ იძლევა. ღვინჯილიას მხედველობაში ჰქონდა ირლანდიური შეხვედრა, რომელიც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განათლების მინისტრს ბესლან დბარსა და ალეკო კარტოზიას ამ დღეებში ჰქონდათ.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელმა ვალენტინა ცოევამ არ უპასუხა შეკითხვას: "ირღვევა თუ არა აფხაზეთში ეროვნული უმცირესობის უფლება იმით, რომ მათ არ აძლევენ მშობლიურ ენაზე სწავლის საშუალებას, როდესაც ეს შესაძლებლობა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს გარანტირებული აქვთ". ცოევამ თქვა, რომ, გაეროს ეგიდით, საბავშვო ჟურნალი "თეთრი წერო" ქართულადაც გამოდის(?!).

კონფერენციის მონაწილეები იმ სავალალო დასკვნამდე მივიდნენ, რომ, ოფიციალურად, გალში ქართული ენის სწავლების საკითხი პოლიტიკური საკითხის მოგვარებამდე ვერ გადაწყდება. ამიტომ, ბავშვებს ენა რომ არ დაავიწყდეთ, იქნებ არალეგალურ-შემპარავ პოლიტიკაზე გადასვლა სჯობდესო; როგორიცაა, მაგალითად, ზაფხულში გალელი ბავშვების დასასვენებლად "საქართველოში ჩამოყვანა", ან გალელ კურსდამთავრებულთათვის თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში დამატებითი ადგილების გამოყოფა...

კონფერენცია დიდხანს მსჯელობდა იმ გზებსა და საშუალებებზე, რომელმაც საქართველო მორიგ "იავნანამ რა ქნას"-ავით უნდა გადაარჩინოს.

კონფერენციის დასკვნით ანგარიშს ახალგაზრდობის ცენტრი გამოაქვეყნებს.

# ქართველი რაზმაძე ჩეჩენი პაიკაევი აღმოჩნდა

უშიშროების სამინისტრომ კიდევ ერთი ოპერაცია ჩაატარა. ბათუმში, სარფის საბაჟოზე დააკავეს ჩეჩენი აიუბ პაიკაევი.

შეგახსენებთ, რომ პაიკაევმა რამდენიმე თვის წინ იარაღის უკანონო ვაჭრობაში ამხილა თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი ტრისტან წითელაშვილი. მან ყოფილი პარტნიორი და წითელაშვილთან ერთად წარმოებული შავი ბიზნესი მას შემდეგ გაშიფრა, როცა პირადი პრობლემები შეექმნა. საქმე ისაა, რომ, როგორც პაიკაევმა განაცხადა, წითელაშვილმა მას ცხინვალიდან ჩამოტანილი იარაღის საზღაური არ გადაუხადა. სხვათა შორის, პაიკაევისა და მისი ჩეჩენი პარტნიორებისთვის გადასახდელი თანხა სოლიდური რაოდენობისა გახლდათ. სწორედ იარაღის ბიზნესი გახდა პაიკაევისა და მისი თანამემამულე ბოევიკების დაპირისპირების მიზეზი. ამის გამო, პაიკაევი ცხინვალში იმალებოდა, საიდანაც ჩეჩნებმა პანკისის ხეობაში გაიტაცეს და შარიათის კანონით გაასამართლეს: გაროზგილს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პაიკაევს თავი მოჰკვეთეს.

პანკისის ხეობიდან როგორლაც გამოქცეული პაიკაევი უშიშროების სამინისტროში მივიდა და გამტაცებლების შესახებ კანონდამცველებს დეტალური ჩვენება მისცა. იგი კარგა ხანს თბილისს აფარებდა თავს, ისე, რომ მისი უსაფრთხოება არავის დაუცავს.

რამდენიმე დღის წინ აიუბ პაიკაევი ბათუმში, სარფის საბაჟოზე დააკავეს. იგი თურქეთში მიემგზავრებოდა, საიდანაც ევროპაში აპირებდა გადასვლას. უფრო ზუსტად, მებაჟეების მიერ დაკავებული პიროვნება ირაკლი რაზმაძე, რომლის პასპორტმაც სერიოზული ეჭვები აღძრა, მოგვიანებით პაიკაევი აღმოჩნდა.

პაიკაევი ახლა აჭარის უშიშროების სამინისტროს იზოლატორში იმყოფება, სადაც მას სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ბრალდება წაუყენეს. აიუბ პაიკაევს აჭარის სასამართლომ სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

გარდა დასახელებული ბრალდებებისა, უშიშროების სამინისტრო პაიკაევის საქმიანობასთან დაკავშირებულ ოპერატიულ ინფორმაციებზეც მუშაობს. სწორედ ამიტომაც, არ არის გამორიცხული, რომ ჩეჩენი პაიკაევისადმი წაყენებულ ბრალდებები დამძიმდეს, რადგან უშიშროების სამინისტრო უკვე ავრცელებს ვერსიებს, რომლის მიხედვითაც პაიკაევი, პანკისის ხეობას შეფარებულ ჩეჩენ ბოევიკებთან ერთად, კრიმინალურ ბიზნესში იყო ჩაბმული. მისი საეჭვო საქმიანობიდან ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კონკრეტდება – იარაღით უკანონო ვაჭრობა. სავარაუდოდ, პაიკაევი შეიძლება თბილისში, უშიშროების სამინისტროს იზოლატორში გადმოიყვანონ.



პაიკაევის ყალბი პასპორტი

# დეკუშევი პანკისიდან გამოიტყუეს

მოსკოვი განსაკუთრებით კმაყოფილია ქართველ სამართალდამცველთა მხარდაჭერით, რუსეთის სამართალდამცველი ორგანოების მიერ ტერორისტად გამოცხადებული ადამ დეკუშევის დაკავებისა და რუსეთში ექსტრადიციის გამო. თუმცა, რუსი კანონდამცველები ამით არ კმაყოფილდებიან და ქართველ კოლეგებს შეთანხმებულად დაწყებული ანტიტერორისტული ოპერაციების გაგრძელებას სთხოვენ.

რუსეთის სპეცსამსახურები პანკისის ხეობაში ჩეჩენ-ტერორისტთა კვალს კვლავ ეძებენ. რუსეთის პროკურატურამ ქართველ ძალოვანებს ახალი მოთხოვნა გამოუგზავნა. მოსკოვი თბილისისგან მორიგი, ამჯერად, მთავარი ტერორისტის დაკავებას ითხოვს - ადამ დეკუშევის დაჯგუფების უფროსის აჩემაზ გოჩიაევის გადაცემას. რუსეთის სპეცსამსახურების მონაცემებით, ყარაჩაელ ბოევიკთა ლიდერი პანკისის ხეობას აფარებს თავს.

აჩემაზ გოჩიაევი შამილ ბასაევის უახლოესი მეგობარი და ხატაბის ნდობით აღჭურვილი პირი იყო. სწორედ მან შექმნა ყარაჩაიში 1999 წელს ბოევიკთა პირველი დაჯგუფება, რომლის წევრიც იყო ადამ დეკუშევი. გოჩიაევის ჯგუფში ძირითადად ყარაჩაელი ვაჰაბისტები გაერთიანდნენ. ჯგუფმა სამხედრო მომზადება ჩეჩნეთის საწვრთნელ ბაზაზე გაიარა. ხატაბმა სწორედ ამ დაჯგუფებას დაავალა მოსკოვში, ვოლგოდონსკსა და ბუინაკსკში აფეთქებების მოწყობა.

დასახელებული ოპერაციების ჩასატარებლად დაჯგუფების წევრებმა მომზადება შატოის ჩეჩნურ ბანაკში გაიარეს. წვრთნებს პირადად ხატაბი ხელმძღვანელობდა. ჯგუფმა 1999 წლის 4 სექტემბერს დაიწყო ტერაქტების სერიალი და ორ კვირაში რამდენიმე აფეთქება განახორციელა. აფეთქებებისას დაიღუპა 293 ადამიანი.

ყარაჩაელმა ბოევიკებმა პიატიგორსკში მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის დროსაც ისახელეს თავი. ჯგუფის 16 წევრი პიატიგორსკში სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორობის, შეიარაღებული დაჯგუფების შექმნისა და ჩეჩნურ ფორმირებებთან კავშირის გამო გაასამართლეს.

ამჟამად რუსეთის საპყრობილეში გოჩიაევის ჯგუფის 5 წევრია დაპატიმრებული, რომლებიც ბრალდებულნი არიან მოსკოვის, ვოლგოდონსკისა და ბუინაკსკის ტერაქტების მოწყობაში. დაკავებისას დაიღუპა ერთი ყარაჩაელი ტერორისტი, რამდენიმეზე კი ფედერალური ძებნაა გამოცხადებული.

ძებნილთა შორის არიან აჩემაზ გოჩიაევი და რუსი სამართალდამცველების მიერ რამდენიმე თვის წინ ადამ დეკუშევთან ერთად მოთხოვნილი იუსუფ კრიმშამხალოვი და ტიმურ ბატჩაევი. ძებნილთა ადგილსამყოფელის შესახებ რუსეთის სპეცსამსახურები ინფორმაციებს დღეგამოშვებით მაინც აძლევდნენ ქართველ კოლეგებს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსეთის ოპერატიულ ინფორმაციებს ადამ დეკუშევის, იგივე აბდულ ხალილოვის შესახებ საქართველოს უშიშროების სამინისტრო კარგა ხანია ამუშავებდა. ქართველმა ძალოვანებმა დეკუშევი ხეობაში სპეციალურად არ დააკავეს, ხელოვნურად შექმნილი პირობების გამოყენებით იგი პანკისის ხეობიდან გამოიყვანეს და შემდეგ ურეკში დააკავეს იმ დროს, როცა თურქეთში აპირებდა გადასვლას.

უკვე დაზუსტებულია, რომ ადამ დეკუშევის ექსტრადიცია მისი დაკავების მეორე დილითვე განხორციელდა და რომ იგი "ლეფორტოვოს" ციხეში იმყოფება, სადაც აღიარებით ჩვენებებს აძლევს რუს სამართალდამცველებს. თუმცა, საქართველოს უშიშროების სამინისტრო დეკუშევთან დაკავშირებით დუმილს ამჯობინებს. ამ კატეგორიული დუმილის მიზეზად არაოფიციალურად ჩეჩნური ინტერესი სახელდება. არსებული ინფორმაციით, დეკუშევის პანკისიდან ურეკში გადაყვანისა და იქ დაკავების ოპერაცია სპეციალურად დაიგეგმა, რათა მისი ხეობაში დაკავებით ჩეჩნურ დაჯგუფებებთან კონფლიქტური სიტუაცია არ შექმნილიყო. მით უმეტეს, რომ ქართველ ძალოვანებს დეკუშევის დაკავების საქმეში სწორედ ჩეჩენი და ქისტი ბოევიკები დაეხმარნენ. როგორც ამბობენ, ამავე მიზეზის გამო დუმს უშიშროების სამინისტრო დეკუშევის ექსტრადიციის თაობაზე.

# ნარჩემაშვილი ძველ გაკვეთილს აბარებს

სოფიკო ჩხაიძე

კობა ნარჩემაშვილმა კიდევ ერთხელ გაიმეორა კარგად დაზეპირებული გაკვეთილი, რომლის ჩაბარებაც მას რამდენიმე დღეში, აღმასრულებელი ხელისუფლების ექვსი თვის შედეგებისთვის მიძღვნილ გაფართოებულ მთავრობის სხდომაზე მოუწევს. შს მინისტრმა გუშინ მის სტრუქტურაში დიდი წმენდის მოლოდინი გააცრუა, რამდენიმე რაიონის პოლიციის უფროსის გათავისუფლების შესახებ ისე, სხვათა შორის გააკეთა განცხადება და ძირითადად იმ მიღწევებზე ისაუბრა, რასაც შს ორგანოებში მისი გამინისტრებიდან დღემდე ჰქონია ადგილი და რომელთა შესახებაც თავად მინისტრისგანვე უკვე ყველამ ყველაფერი იცის. კერძოდ:

ვიცით, რომ ახალდანიშნულმა ნარჩემაშვილმა განსაკუთრებული აქცენტი დანაშაულის აღრიცხვაზე გააკეთა, რის გამოც იკლო, სტატისტიკის შესალამაზებლად და თუ სხვა მიზნებით, დანაშაულის დაფარვის ფაქტებმა;

ვიცით, რომ შს მინისტრი დანაშაულის რიცხობრივ ზრდას სწორედ აღრიცხვიანობის "გათეთრებას" მიაწერს და არა კრიმინალური ვითარების გამწვავებას;

ვიცით, რომ ნარჩემაშვილი ამაყობს კიდეც იმით, რომ მომხდარი დანაშაულის გახსნის პროცენტულმა მაჩვენებელმა დაიწია და თვლის, რომ სწორედ ახლა ასახავს სტატისტიკა რეალობას;

ვიცით, რომ, უკვე დეკემბრიდან მოყოლებული, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძებნილთა დაკავებას და რომ ამ მხრივ შარშანდელთან შედარებით ბევრად უკეთესი შედეგებია.

ის, რაც აქამდე არ ვიცოდით, ციფრები გახლავთ. ანუ ის, რომ წელს, შარშანდელ პირველ ექვს თვესთან შედარებით, 821-ით მეტი დანაშაული აღირიცხა და რომ აქედან 577 ქურდობაა, რომელსაც სამართალდამცველები აქამდე ყველაზე წარმატებით მალავდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ შარშანაც დაახლოებით ასეთი იყო რეალური მდგომარეობა და უკეთესი სტატისტიკა სწორედ გაყალბების გზით მიიღწეოდა.


კობა ნარჩემაშვილი და გიორგი შერვაშიძე

ბესო გულაშვილის ფოტო

წელს, იანვრიდან ივნისის ჩათვლით, სულ 8791 დანაშაული მომხდარა, აქედან 5170 – მძიმე. უკვე გახსნილია 3966 დანაშაული. ანუ, თუ ნარჩემაშვილს დავუჯერებთ, დანაშაულის აღრიცხვიანობის გაუმჯობესებას საქმეთა გახსნის მაჩვენებლისთვის ბევრი ვერაფერი დაუკლია. მაგრამ, რატომღაც, საქმეთა გახსნის რეალურ ასახვად ის ციფრი უფრო გვეჩვენება, რომელიც უცხოელთა წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულის გახსნის მაჩვენებლადაა მიჩნეული. იქედან გამომდინარე, რომ უცხოელებზე ძალადობის დამალვა მართლაც ვერ ხერხდება, გახსნის მაჩვენებელი აქ საკმაოდ დაბალია — 37 დანაშაულიდან 19, ანუ ნახევარზე ერთით მეტია გახსნილი.

რაც შეეხება დანაპირებ საკადრო ცვლილებებს, შს მინისტრის რისხვა ამ ჯერზე მხოლოდ რაიონული პოლიციის უფროსებს დაატყდათ თავს: გორის, ხაშურის, კასპის, ახალგორის, მესტიისა და ოზურგეთის პოლიციის უფროსები თანამდებობებს დაემშვიდობნენ, სასტიკი საყვედური აქვს გამოცხადებული ფოთის პოლიციის უფროსს, მოსალოდნელია პერეტრუბაციები კახეთში. ნელ-ნელა ჩამოქვეითებულ და ახლა სულ გათავისუფლებულ უშანგი მგელაძეს, თამაზ ხარატიშვილს, გიორგი კოლუაშვილს, ნოდარ კასრაძეს, გურამ გულბანს, ეროდი გორდელაძეს, შოთა ალასანიას ნარჩემაშვილი კრიმინალური მდგომარეობის გამწვავებას ედავება. იგივე პრეტენზია აქვს რამდენიმე სამხარეო პოლიციის უფროსთან, თუმცა, ვითარების გამოსასწორებლად მათ მცირე დრო კიდევ მისცა. იმავე შიდა ქართლის პოლიციის უფროსს, რომელსაც სამი ქვეშევრდომი გამოაცალა ხელიდან, ნარჩემაშვილი ძველ ღვაწლს არ უვიწყებს და ბოლო ხანების მცირე ჩავარდნის გამოსასწორებლად დროს აძლევს. **"გათავისუფლება თვითმიზანი არ არის, არც იმას აქვს მნიშვნელობა, თანამდებობის პირი ჩემი დანიშნულია, თუ ჩემამდე. პროფესიონალებზე ასე ხელაღებით უარს ვერ ვიტყვით. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საკადრო ცვლილებები არ გაგრძელდება"**, — უკვე მერამდენედ იმეორებს კობა ნარჩემაშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, ეტაპობრივ მუშაობას ამჯობინებს და მისი რისხვა იერარქიულ კიბეზე ნელ-ნელა მიიწევს ზემოთ. როდის მიადგება კობა ნარჩემაშვილი მსხვილ ჩინოსნებს, ჯერ უცნობია. ჯერჯერობით მარტო იმის თქმა შეიძლება, რომ მთავრობის სხდომაზე ის კარგად მომზადებული წარდგება. მთავარია, რომ მოხსენება, უკვე გავლილი გაკვეთილივით, სიძველის გამო არ დაუწუნონ.

## „ვითას" პრეზიდენტი გაქრა

11 ივლისის შემდეგ საეჭვოდ გაქრა საკალათბურთო კლუბ "ვითას" პრეზიდენტი, ბიზნესმენი თემურ დათიკაშვილი. ხუთშაბათს საღამოს იგი თავის მეგობრებს დაშორდა, დილის 5 საათზე კი კაზინოდან გამოსული დაინახეს, მას შემდეგ იგი არავის უნახავს. არსად არის მისი მანქანაც. დათიკაშვილის გაქრობით შეშფოთებული მეგობრები და ოჯახის წევრები მისი გაუჩინარების თაობაზე ჯერჯერობით არ აცნობებენ სამართალდამცველ ორგანოებს. ყოველ შემთხვევაში, შს სამინისტრო უარყოფს რაიმე ინფორმაციის ქონას დათიკაშვილის გაქრობის თაობაზე. რაიმე ვერსიების გამოთქმისგან დათიკაშვილის ახლობლები თავს იკავებენ. ისინი ამბობენ, რომ ეჭვი არავისზე და არაფერზე აქვთ. მათ მხოლოდ ის ფაქტი აეჭვებთ, რომ დათიკაშვილი არსად აპირებდა წასვლას, ხოლო გადაუდებელი გარემოებების გამოჩენის შემთხვევაში, სასწრაფოდ გამგზავრების შესახებ ოჯახის წევრებს მაინც აცნობებდა.

არსებობს ეჭვი, რომ თემურ დათიკაშვილი გატაცებულია. მისი ახლობლები ამ ეჭვს ვერც უარყოფენ და ვერც ადასტურებენ.

ჯერჯერობით ძნელია, დათიკაშვილის გაუჩინარების დაკავშირება პიტერ შოუს გატაცებასთან, თუმცა, ფაქტია, რომ თემურ დათიკაშვილი ბანკ "ვითას" დამაარსებელი გახლდათ. როგორც ცნობილია, ეს ბანკი პიტერ შოუს მიერ კრედიტის ვერდაბრუნების გამო გაკოტრებულ ბანკთა სიაში აღმოჩნდა.

## შოუს გატაცება - აქცია ხელისუფლებისა და ძალოვანთა წინააღმდეგ

პიტერ შოუს გატაცების თემას გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე კიდევ ერთხელ დაუბრუნდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი. მისი თქმით, ბრიტანეთის ქვეშევრდომის, "აგრობიზნესბანკის" დირექტორის პიტერ შოუს გამტაცებელთა ვინაობა სამართალდამცველთათვის ცნობილია. თუმცა, მოვლენების განვითარებას და შოუს გათავისუფლებას აბრკოლებს თავად გატაცებულის უსაფრთხოებაზე ზრუნვა. მიუხედავად ამისა, ნარჩემაშვილს იმედი აქვს, რომ ბრიტანეთის მოქალაქეს უახლოეს მომავალში გაათავისუფლებენ.

შს მინისტრის თქმით, არ არის გამორიცხული, რომ შოუ მხოლოდ ფულის გამოძალვის მიზნით არ გაუტაცნიათ. ნარჩემაშვილი ფიქრობს, რომ შესაძლოა, გამტაცებელთა მიზანს საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაცია და "გარკვეულწილად ძალოვანი მინისტრებისათვის პრობლემების შექმნაც" წარმოადგენდა. ნარჩემაშვილს ასეთი ეჭვების გამოთქმის საფუძველს დამნაშავეთა ჯგუფის შემადგენლობაც აძლევს. როგორც ცნობილია, შს და უშიშროების მინისტრები საჯაროდ აცხადებენ, რომ გატაცება სპეცსამსახურების ყოფილი ან ახლანდელი თანამშრომლების მიერაა ორგანიზებული და განხორციელებული.

## გიორგი წურწუმია ოჯახურ უსიამოვნებას ემსხვერპლა

გუშინწინ საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს არასამთავრობო ორგანიზაციის – "ჩეჩნურ-კავკასიური კომიტეტის" თავმჯდომარე გიორგი წურწუმია. მას დანა გულში ჰქონდა დარტყმული. წურწუმიას მკვლელობა, გარკვეულწილად, მის ჩეჩნებთან ურთიერთობას დაუკავშირდა, გარდა ამისა, მრავალმნიშვნელოვანი მინიშნებები გაკეთდა პანკისის ხეობაში წურწუმიას ხშირ ვიზიტებზე. როგორც საბოლოოდ გაირკვა, პოლიციას მკვლელობაში ეჭვმიტანილის სტატუსით, წურწუმიას არაოფიციალური ცოლი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 26 წლის ანჟელა კადახაშვილი დაუკავებია.

ერთადერთი ვერსიის თანახმად, ცოლ-ქმარს, რომლებიც ზომაზე მეტად იყვნენ შეზარხოშებულნი, ჩხუბი მოუვიდათ და ქალმა დანა იხმარა. ეს ვერსია მეზობლების ჩვენებებს ეყრდნობა, რომლებსაც წურწუმიას სახლიდან ცოლ-ქმრის ჩხუბის ხმა ესმოდათ, თუმცა, იმის გამო, რომ ბოლო ერთი კვირის მანძილზე ამ ხმაურს უკვე მიჩვეულნი იყვნენ, ჩარევა არც უცდიათ. ისინი ბინაში მხოლოდ მაშინ შეცვივდნენ, როცა ქალის განწირული ყვირილი მოესმათ. ბინაში შესულებს წურწუმია უკვე მკვდარი დახვდათ. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას ანჟელა კარადახაშვილი თითქმის უგონო მდგომარეობაში მყოფი დახვდა. მისი დაკითხვა მეორე დღის საღამომდე ვერ შეძლეს. გუშინ კი იგი მკვლელობას არ აღიარებდა, თუმცა, ვერც იმას ამბობდა, რა მოხდა მათ სახლში.

### უცხოეთის ამბები

## ჰოლივუდში ტერაქტი მზადდება

ამერიკის შტატ კალიფორნიაში ძლიერდება იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც შეიძლება ტერორისტთა სამიზნე გახდეს. Disney land-ის პარკში იზრდება პოლიციელთა რიცხვი. რეიდები ტარდება ხიდზე, რომელიც სან-ფრანცისკოს "ოქროს კარიბჭეს" უერთდება. პოლიციის თანამშრომლები ავტომანქანებს ჩხრეკენ. ჰოლივუდის კინოსტუდიებსა და კალიფორნიის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში სადღეღამისო დაზვერვა მიმდინარეობს.

ამერიკის მთავრობა ეჭვობს, რომ "ალ ქაიდას" ბოევიკები მორიგ ტერაქტს ამზადებენ. მოსალოდნელ საფრთხეს კი ესპანეთში დაპატიმრებული 3 ეჭვმიტანილი ბადებს. ისინი, სავარაუდოდ, "ალ ქაიდას" ტერორისტული დაჯგუფების წევრები არიან. დაპატიმრებული ორი ესპანელისა და ერთი სირიელის ბინის ჩხრეკისას პოლიციამ ვიდეოჩანაწერი აღმოაჩინა. ვიდეოფირზე თავისუფლების ქანდაკება, ჩიკაგოს ცათამბჯენები და სხვა შენობებია აღბეჭდილი. სან-ფრანცისკოს "ოქროს კარიბჭე" კი განსაკუთრებული გულმოდგინეობით, დეტალურად არის გადაღებული.

ვიდეო კოლაჟი 11 საქტემბერს აფეთქებული შენობების კადრებით ბოლოვდება. ამერიკელი სამართალდამცველები ნაპოვნ მასალას ტერორიზმის ტალღას უკავშირებენ.

მათი აზრით, აღმოჩენილი ფირი ნამდვილად არ ჰგავს ჩვეულებრივი ტურისტის ვიდეოჩანაწერს.

## უკვდავების წამალი

დიდ ბრიტანეთში კანიბალიზმის ფაქტი დაფიქსირდა. 17 წლის ბიჭმა 70 წლის ქვრივი ქალი მოკლა, შემდეგ კი მისი სისხლი დალია. ახალგაზრდა კანიბალი იმდენად იყო შეპყრობილი მარადიული ცხოვრების სურვილით, რომ უკვდავების წამლად მოხუცი ქალის სისხლი გამოიყენა.

პროკურატურის თანამშრომელთა განცხადებით, 17 წლის კანიბალს გამუდმებით აწუხებდა ორი კითხვა: პირველი, როგორ გადაქცეულიყო ვამპირად? და მეორე, როგორ გამხდარიყო უკვდავი? მისი აზრით, ამისათვის მსხვერპლშეწირვა იყო საჭირო. იგი ასეც მოიქცა: რიტუალური მკვლელობის მიზნით, მეზობლის ბინაში შეიპარა, იქ მობინადრე მოხუცი ქვრივი მოკლა და მისი სისხლი დალია.

პროკურატურის მონაცემებით, მოკლულს სხეულზე 22 იარა აღმოაჩნდა. გვამი მთლიანად სისხლით იყო მოსვრილი. ბრალდებულის დაპატიმრება მკვლელობიდან ერთ თვეში მოხერხდა. პოლიციის განყოფილებაში გერმანელი სტუდენტი მივიდა, რომელმაც პოლიციის თანამშრომლებს შესჩივლა, რომ მისი თანაკურსელი გამუდმებით აიძულებდა ყელიდან სისხლის გამოწოვას და არწმუნებდა, რომ ისიც მასავით ვამპირი გახდებოდა.

## რუსი რობინ ჰუდები

ორგანიზაცია "ავღანეთის და ჩეჩნეთის ვეტერანები"-ის ხუთი წევრი სანკტ-პეტერბურგში დააპატიმრეს. მათ ადამიანთა გატაცება, ქურდობა და ფულის გამოძალვა ბრალდებათ. სანკტ-პეტერბურგის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაპატიმრებულებს სამიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდათ. "შესანიშნავი ხუთეულის" განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მათი სამიზნე მარტო ულირსი ხალხი იყო. ვეტერანები თავდასხმას, ქურდობასა და გამოძალვას მხოლოდ ნარკოტიკებით მოვაჭრეებზე ან თავად ნარკომანებზე ახდენდნენ. მოსამართლეთა თქმით, ეს ჩადენილ დანაშაულებს არ ამსუბუქებს, თუმცა მაინც გაითვალისწინეს ვეტერან-პატიმართა სამხედრო ღვაწლი და ხუთივეს პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს.

# რა უნდა იღონონ ქართველებმა, საქართველო რომ არ დაიბომბოს?

## ყოველკვირეული "ვერსიის" მთავარი რედაქტორის რუსტამ არიფჯანოვის ვერსია

პირველი გვერდიდან

**"24 საათი": კავკასიის რეგიონში საქართველო-რუსეთის სპეცსამსახურების გააქტიურების პარალელურად დაიწყო ტერორისტთა ექსტრადიცია, ვინ იქნება შემდეგი და რა პოზიცია გამოძრავებდათ, როცა პანკისის ხეობას თითქმის მთელი ნომერი მიუძღვენით, რითიც აქაც და საქართველოშიც ყველა აფორიაქდა?**

-მე შემთხვევით არ ვითხოვ, "მოგვეცით გოჩიაევი." არც ისე დიდი ხნის წინათ, შეიძლება ითქვას, რომ სულ ახლახან, რუსეთის სპეცსამსახურებისათვის ცნობილი შეიქნა, სად, ვის სახლში და ზუსტად რა ადგილას იმალება მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქების ორგანიზატორი აჩემეზ გოჩიაევი - თავგადაკლული ვაჰაბიტი, გამოცდილი დივერსანტი, მკვლელი და ასობით მშვიდობიანი მოსკოველის ღამით ცაში ამწევი, რუსეთის ნომერი პირველი მტერი, გადმოგვეცით იგი! სწორედ გოჩიაევის ყარაჩაელთა რაზმი გახდა ჰატაბის გვარდია, სწორედ გოჩიაევის ხალხი ამზადებდა ყარაჩაევო-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის ამბოხებას, რისთვისაც მათ დღეს პიატიგორსკში ასამართლებენ. გოჩიაევი კი პანკისს აფარებს თავს და ახალ ტერაქტებს, ახალ აფეთქებებს გეგმავს. არა მხოლოდ რუსეთში, საქართველოშიც. მე ძალიან მიყვარს საქართველო, მიყვარს ჩემი თბილისელი მეგობრები, ამიტომ ჩემი პოზიცია მიზნად ისახავდა მხოლოდ ერთს - ჩემი ქართველების გაფრთხილებას. საქართველოსათვის რაღაც საშინელებას ამზადებენ და ვიღაცას გადაწყვეტილი აქვს ორი მეზობელი ხალხის სამკვდროდ გადაკიდება. ვიღაცა შეგნებულად აქეზებს რუსეთს საქართველოში მკვეთრი ნაბიჯებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ რუშაილოს ვიზიტი თბილისში უშედეგოდ დასრულდა. თბილისში მისი ყოფნის შემდეგ ორი ქვეყნის ურთიერთობა უფრო დამძიმდა. შეიძლება, რუშაილოს არგუმენტები არ ეყო? ან არ "გაახსენდა", რომ გოჩიაევი არც ჩეჩენია და არც ქისტი და მას პანკისში არაფერი ესაქმება. იგი საფრთხეა საქართველოსათვის. დღის წესრიგიდან არ მოხსნილა ამერიკული ანტიტერორისტული მოდელი, რაც საქართველოსათვის დამღუპველი იქნება. რუშაილო ვერ იქნებოდა ქართველებთან კარგი მომლაპარაკებელი და ობიექტური, რადგანაც იგი ბერეზოვსკის მეგობარი, პროტეჟე და მისი კაცია. საეჭვოდ გამოიყურება რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების გამწვავებაში ბადრი პატარკაციშვილიც. უცნაური დამთხვევაა, რომ პატარკაციშვილს აქვს უფლება, რაც უნდა ის უჩურჩულოს ყურში შევარდნაძეს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ პირველ რიგში პატარკაციშვილს არ აძლევს ხელს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დათბობა. როგორც კი ამ დათბობას ადგილი ექნება, პატარკაციშვილს უმალ დაიჭერენ. უცნაურია, რომ შევარდნაძე მას ენდობა. ჩემს გაზეთში მე ვსვამ ერთ ლოგიკურ შეკითხვას: ნუთუ ეს ადამიანები აკეთებენ ყველაფერს საიმისოდ, რომ რუსეთმა საქართველოსთან სასტიკი ომი წამოიწყოს? ამიტომ, ეს რომ ასე არ მოხდეს, მოგვეცით გოჩიაევი!

**"24 საათი": რუსტამ, არ ფიქრობთ, რომ შევარდნაძესაც შეუძლია, ზუსტად ასეთი კატეგორიულობით მოსთხოვოს რუსეთს – "მაშინ გადმოგვეცით გიორგაძე!"**


რუსტამ არიფჯანოვი

- ეს სხვა საქმეა. გიორგაძე დღეს ლიბანშია. გოჩიაევი, იუსუფ კრიმშამხალოვი და მათი ძმანნი – საქართველოში იმალებიან. როცა ერთი წლის წინ "სოვერშენნო სეკრეტნომ" გიორგაძეზე გადაცემა გააკეთა, ჩვენი კორესპონდენტები ლიბანში გაფრინდნენ და იქ შეხვდნენ მას. გიორგაძეს მოსკოვში საცხოვრებელი სახლები არ აუფეთქებია.

**"24 საათი": მაგრამ მას საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმაში ედება ბრალი და თანაც, როგორც ამტკიცებენ, რუსეთშიც ხშირად ჩამოდის.**

- ეს უკვე ორი ქვეყნის პოლიტიკოსების გადასაწყვეტი პრობლემაა. გოჩიაევი წმინდა წყლის ბანდიტია, სისხლის სამართლის დამნაშავეა. გიორგაძე კი შევარდნაძის მარჯვენა ხელი იყო და გორგასლის სახელობის ორდენითაცაა დაჯილდოებული. სხვათა შორის, გიორგაძემ დიდი როლი ითამაშა ასლან აბაშიძისა და შევარდნაძის გაუცხოებაშიც. ვიმეორებ, გიორგაძის შემთხვევაში პოლიტიკური წრეები უნდა გაერკვნენ. მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებაში გოჩიაევისა და მისი თანამებრძოლების ბრალეულობა ერთი წლის წინათ კი არა, სულ ახლახან დადასტურდა, ამიტომ რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოსაგან მეტ ოპერატიულობას მოითხოვენ. სისხლის სამართლის ამ დამნაშავეთა რუსეთისათვის გადმოცემა ქართველების მხრიდან ნორმალური ნაბიჯი იქნებოდა. პანკისში საერთაშორისო ტერორისტთა კრაზანების ბუდე უნდა მოიშალოს.

**"24 საათი": არ გეჩვენებათ, რომ საქართველოს ხელისუფლება არ წავა რუსეთის ასეთ კატეგორიულ მოთხოვნებზე? დაიჭერს და გადასცემს მათ, ვისაც საჭიროდ ჩათვლის. რა შეიძლება მოჰყვეს მოვლენების ასე განვითარებას?**

- გოჩვიაევის გადმოცემით საქართველოში სამოქალაქო ომი არ დაიწყება, მაგრამ დღეს სერიოზულად უნდა განიხილონ საქართველოში მოვლენების განვითარების სამი პირობა: ქართულმა სპეცსამსახურებმა მოლაპარაკება უნდა გამართონ ქისტურ საზოგადოებასთან და როგორც დოგუშევი ჩაგვაბარეს, დანარჩენებიც ისე უნდა გადმოგვცენ .მეორე შემთხვევაში, თუ საქართველოს პრეზიდენტს არ ყოფნის პანკისის პრობლემის გადაჭრის პოლიტიკური ნება, დახმარებისათვის რუსეთს უნდა მიმართოს. რუსეთისა და საქართველოს ერთობლივი სპეცოპერაცია ქართულ მოსახლეობას დიდი საფრთხეს აცილებდა.და მესამე - ყველაზე საშიში, რაც პირადად მე სერიოზულად მაფიქრებს და რასაც არავის არ ვუსურვებ: ეს არის იმის პირდაპირი საშიშროება, რომ აშშ საქართველოზე განხორციელებული ზეწოლით ავღანეთის მოდელს აამოქმედებს. დაბომბვას დაიწყებს. საბედნიეროდ, ეს რუსეთს არ აძლევს ხელს და დღეს მსოფლიო არენაზე რუსეთის გაზრდილი საერთაშორისო ავტორიტეტი აშშ-ს ხელს შეუშლის ამ მიზნის აღსრულებაში. მინდა, ქართველმა ხალხმა დაიჯეროს ერთი რამ: რუსეთს დღეს გოჩიაევი იმისათვის სჭირდება, რომ საქართველოს დაბომბვა თავიდან აიცილოს. ამ რეალურმა შიშმა გვაიძულა, ჩვენს გაზეთში ასეთი სტატიებით გამოვსულიყავით.

**"24 საათი": კი მაგრამ, გაზეთი "ვერსია" რუსეთში ყველაზე პირველი წერდა, რომ მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებაში რუსეთის სპეცსამსახურების ხელი ურევია...**

- ჩვენ რიაზანის სწავლებების სერიოზული ჟურნალისტური გამოძიება ჩავატარეთ და მიკვლეულმა მასალებმა დაგვარწმუნეს, რომ ამ ფაქტში, ისევე, როგორც უდანაშაულო ადამიანების აფეთქებაში, ჩეჩნების ხელი ურევია. ახლა ეს ჩვენთვის თითქმის ფაქტია! თუ ამაში საქართველოს სპეცსამსახურებს დღეს ეჭვი ეპარებათ, მოითხოვონ რუსეთისაგან დამამტკიცებელი საბუთები და მიიღებენ, თუმცა, ვფიქრობ, მათ ყველაფერი კარგად იციან.

# ალექსეი მიტროფანოვი პანკისში ომს და საქართველოში ახალი პრეზიდენტის ჩამოყვანას აპირებს

პირველი გვერდიდან

-ჩვენ არ ვაცნობიერებთ მთავარს, რომ დღეს ჩეჩნეთსა და პანსკისში რუსეთს ამერიკა ებრძვის და აფინანსებს საერთაშორისო ტერორიზმს. დღეს ხომ ყველასათვის ნათელია, რომ სწორედ საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი პანკისის ხეობაში საერთაშორისო ტერორისტების შეყვანა და იქ მათი საწვრთნელი ბანაკების აღჭურვა? ხომ დღესავით ნათელია, რომ სწორედ საქართველოდან ელოდება რუსეთის სამხრეთ რეგიონს კავკასიური ხანძარი და ამის ორგანიზატორიც შევარდნაძეა. მე ქართველი ხალხის საწინააღმდეგო არასოდეს არაფერი მქონია, და მინდა იცოდეს ხალხმა, რომ რუსეთის ნომერი პირველი მტერი დღეს შევარდნაძეა.არის ფორმალური მომენტები და არსებობს რეალური პოლიტიკური სიტუაცია: საქართველო და რუსეთი არათანაბარუფლებიანი სახელმწიფოებია - რუსეთი უდიდესი ბირთვული რესურსების მქონე დერჟავაა, მას საქართველო წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. არც ადექვატური პასუხების გამოძებნა შეუძლია შეკითხვაზე, თუ რა ესაქმებათ ამერიკელ ინსტრუქტორებს პანკისის ხეობაში? საქართველო დიდი რუსეთისა და დსთ-ს ორგანული, შემადგენელი ნაწილია და მოსკოვი არასოდეს დაუშვებს არანაირი ფორმით არც საქართველოს დაყოფა-დაქუცმაცებასა და არც იქ ამერიკელების თარეშს. არც აფხაზეთის დაყოფას დავუშვებთ, რადგანაც აფხაზეთი ჩვენია, როგორ უნდა გავყოთ საკუთარი სახლი? მოვიდა ამერიკელი და მეუბნება, ერთი ოთახი ჩემია შენს სახლში, დამითმეო. ჩვენ რომ დღეს მაიამი გავუყოთ ამერიკელებს, მოეწონებათ? კუბაც სუვერენული სახელმწიფო იყო. არ დაუშვეს იქ 1962-ში ჩვენი სამხედრო კონტიგენტი, რისთვისაც კარიბის კრიზისი მოგვიწყვეს. იგივე ისტორია მეორდება საქართველოს სახითაც. ჩვენი ინფორმაციით, ამერიკა აპირებს საქართველოში ნაციონალურ-ეთნიკური ჯგუფების შეტაკების პროცესის პროვოცირებას და ერთადერთი, რასაც აშშ საქართველოში განახორციელებს, ეს იქნება საერთაშორისო ტერორისტებთან ბრძოლის შირმით საქართველოში იუგოსლავიის მაგალითის ამოქმედება. გაიხსენეთ, რა ჩაიდინეს იქ ამერიკელებმა, ჯერ აჭმევდნენ ალბანელ სეპარატისტებს, მერე გაყვეს იუგოსლავია და მაკედონია.ზუსტად იგივე მოდელია ჩაფიქრებული კავკასიაშიც.

**-არ ითვალისწინებთ იმას,რომ კავკასიის ხალხებს ერთმანეთში ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და უდანაშაულო ჩეჩენი მოსახლეობის შეფარება საქართველოს ტერიტორიაზე ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარეობდა?**

-ჩეჩნებთან კარგი ურთიერთობები დღეს თქვენ აღარ გაქვთ და არც გექნებათ, რადგანაც შევარდნაძემ ეს ხალხი უკვე გაყიდა. ჩეჩნებთან საერთო ენას მხოლოდ ამერიკელები გამონახავენ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც მათ უნდათ და არა რუსეთსა და საქართველოს. სწორედ ამ ბერკეტით რუსეთის სამხრეთიდან დაიწყება ჩვენი სახელმწიფოებრივი დაშლის პროცესი, რასაც დღეს ედუარდ შევარდნაძესთან ერთად ვლადიმირ პუტინიც ხელს უწყობს.

**-რუსეთი პირველი ყვიროდა, რომ პანკისში საერთაშორისო ტერორისტები არიან. თუ ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი ქართული არმია იქ წესრიგს დაამყარებს, რა უნდა გქონდეთ ამის საწინააღმდეგო?**

-რუსეთის პროტესტი იმას შეეხება, რომ პანკისში ამერიკელები არ უნდა დათარეშობდნენ. პანკისი რუსეთის პრობლემაა და ჩვენ მოვუვლით.

**-ისევე, როგორც ჩეჩნეთში უვლით?**

-თქვენ შეგიძლიათ ერთ მარტივ შეკითხვას უპასუხოთ: რა საჭიროა ტერორისტებთან მებრძოლი ბატალიონის მოსამზადებლად 70 ამერიკელი ისნტრუქტორი? ღამეები არ ძინავს ბუშს პანკისის გამო? აქ მთავარი პრობლემა ის არის, რომ ამერიკას ჩაფიქრებული აქვს ყოფილი საბჭოთა ტერიტორიების სერიოზული ექსპანსია და დსთ-ს პრეზიდენტთა ხელშეწყობით ამ გეგმას ანხორციელებს კიდეც. მაგრამ მე შემიძლია ამ პრობლემის მარტივი გადაწყვეტა - მთავარია კავკასიიდან შევარდნაძის მოშორება და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. მე შემიძლია ვასწავლო ქართველებს, რა უნდა გააკეთონ შევარდნაძის თავიდან მოსაცილებლად.

**-თქვენ, რუს პარლამენტარს გაქვთ მეზობელ ქვეყანაში ხელისუფლების ჩამოგდების გეგმა და ამაზე სერიოზულად, ხმამაღლა ლაპარაკობთ?**

-რატომაც არა! შევარდნაძე როგორც ჩამოვიყვანეთ საქართველოში, ისე წავიყვანთ. მაშინაც მეზობლები ვიყავით, როცა გამსახურდია ჩამოვაგდეთ და შევარდნაძე ჩამოვიყვანეთ. ცნობილია ქვეყნის მეთაურის ჩამოგდების ოთხასგვერდიანი ინსტრუქცია, სადაც ორასი მეთოდია მოყვანილი. ზოგს გავახმოვანებდი: ლიდერი ავადაა, აგარაკზე დაყოვნდა, სადღაც მიემგზავრება, ეს ელემენტარულია.მე ის კაცი ვარ, ვინც მშვენივრად იცის, როგორ მოხდა შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანა, ვინ იყო ამ საქმით დაკავებული, ვინ აფინანსებდა მთელ ამ პროცესს, რომელი რუსი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე თანაუგრძნობდა.

**-რადგან ამ ხალხის გვარებს არ გვისახელებთ, იქნებ ის მაინც გვითხრათ, შევარდნაძის შეცვლას ვისით აპირებთ?**

-თუ საჭირო გახდება, ჩამოვიყვანთ იგორ გიორგაძეს. მე ვიცი, იგი სადაც იმყოფება. მე მისი ტელეფონიც მაქვს. როგორც ამერიკელებმა ამოთხარეს სადღაც ხალათიანი კარზაი, თვითმფრინავში ჩასვეს და ჩაიყვანეს, ისე მოვიქცევით. სად ნახეს ახალი ლიდერი? სადღაც ვენაში. საქართველოს მაგალითზე კავკასიური ქორწილის მოდელი შეიძლება ავამოქმედოთ, როცა პატარძალს და სიძეს არაფერს ეკითხებიან. როგორც ჩანს, ბორის პასტუხოვის თანამებრძოლ რუს და ქართველ პოლიტიკოსებს დაავიწყდათ, რომ არსებობდა

**-როგორ შეიგიძლიათ ასე მშვიდად და ღიმილით ილაპარაკოთ ვიღაცის დაბომბვაზე, თქვენ ხომ იცით, რომ იქ მშვიდობიანი მოსახლეობაც ცხოვრობს?**

-ავღანეთშიც იღუპებიან ქალები და ბავშვები!

**-იქნებ, ამერიკამ უფრო რბილი**

წერეთელი იქნება თუ გიორგაძე - ოღონდაც შევარდნაძე არ იყოს. შევარდნაძემ ნახევარი საქართველო გააქცია, ნახევარიც ციხეში ჩასვა. სტავროპოლის მხარეში გაქცეულებს მე თვითონ შევხვედრივარ, ეს კაცი კი არა, კატასტროფაა.

**-გიორგაძე არ არის კატასტროფა?**

- მომეცით მილიონი დოლარი ქართველებმა და გეტყვით, სად იმყოფება გიორგაძე და თქვენვე დაუსვით ეს შეკითხვა. მე თუ მკითხავთ, დღეს საქართველოს პრეზიდენტად ზურაბ წერეთელი ნამდვილად გამოდგებოდა. ქვეყანას ააშენებდა და კარგი ცხოვრებაც გექნებოდათ.


მიტროფანოვი, ჟირინოვსკის უახლოესი თანამოაზრე და თანამებრძოლი, ბელადს დროსტარებაშიც არ ჩამორჩება
"Комсомольская Правда"

ასეთი ოპერაციების საბჭოთა სკოლა - "ფიგურული პოლიტიკის საბჭოთა სკოლა".

**-რუსეთს ხელს არ შეუშლის ის, რომ გიორგაძე საერთაშორისო ძებნაშია?**

-ეს სულაც არ არის პოლიტიკოსების საქმე. ეს არ არის ორი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადასაწყვეტი. ამ საქმეს სამხედროები მიხედავენ.

**-გიორგაძის თბილისში ჩაყვანამდე რუსეთი პანკისის ხეობის პრობლემის გადაწყვეტას აპირებს?**

-ჩემის აზრით, პანკისის ხეობა საერთოდ უნდა მოვსპოთ. რითი და ვაკუუმური ბომბით! იმ ბომბით, რასაც თქვენი საყვარელი ამერიკელები იყენებდნენ ავღანეთში.შვიდი ათასი ბოევიკი იმალება დღეს პანკისის ხეობაში, საქართველოს ხელისუფლება კი ჩუმადაა და ამერიკელებს ელოდება. ამერიკელები, გგონიათ, სხვა რამეს იზამენ? ვაკუუმური ბომბის გამოყენების შემთხვევაში ცოცხალი არავინ რჩება.

**მეთოდით იმოქმედოს და პანკისში ვაკუუმური ბომბი არ აგვიფეთქოს?**

-მეორე ვარიანტია შორი ავიაციის ორი პოლკის გამოყენება. როცა პარლამენტში პანკისის ხეობის პრობლემას და ამ საქმეში შევარდნაძის პასუხისმგებლობის საკითხს ვიხილავდით, სამხედროები სწორედ იმიტომ მოვიწვიეთ, რომ მათგან გაგვეგო, თუ რისი გაკეთება შეუძლია დღეს რუსეთს პანკისის ხეობაში. მე არ მაინტერესებს სამხედროს აზრი საქართველოს პოლიტიკურ პრობლემებზე. სამხედრო ტექნოლოგებმა გაგვცეს პასუხი, თუ რისი გაკეთება შეიძლება დღეს საქართველოში. რუსეთის შორი ავიაციის ორი პოლკი სერიოზული რესურსია.

**-რაზე შეთანხმდით სამხედრო ტექნოლოგებთან ერთად?**

-რაზე შევთანხმდით - ეს მალე გამოჩნდება. ამ პრობლემას ერთი რამე უშველიდა - გააპროტესტოს ვინმემ ამერიკელების ექსპანსია და რუსეთი უსაჩუქროდ არ დაგტოვებთ - თუ გიორგაძე არ გინდათ, ჩამოგიყვანთ საუკეთესო ქართველს - ზურაბ წერეთელს. რა მნიშვნელობა აქვს,



www.24hours.ge 24 B

# რატომ უარყოფენ ამერიკელები სოციალიზმს? იმიტომ, რომ მათ სურთ კომუნიზმი!

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლით გატაცებული ბუშის ადმინისტრაციას მხედველობიდან გამორჩა მეორე საფრთხე - კომუნიზმი. მან, დამშვიდებულმა საბჭოთა კავშირის დაშლითა და ისტორიის სანაგვეზე გამწესებით, ვერც კი შენიშნა, როგორ იკიდებს ფეხს კომუნიზმის იდეები უბრალო ამერიკელების გონებაში. ამ იდეების გავრცელება თანდათან მეტ მასშტაბებს იძენს, რადგან პარალელურად მიმდინარეობს კაპიტალიზმის ნაკლოვანებების გაშიშვლება ერთიმეორეზე ხმაურიანი სკანდალების წყალობით. როგორც აღმოჩნდა, ამერიკელი ოლიგარქები რუს ოლიგარქებზე უფრო ოსტატურად ძარცვავენ იანკებს (რიგით ამერიკელებს).

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ კომუნიზმი ამერიკაში? მეტისმეტი ხომ არ მომდის? სრულიადაც არა, თუ საზოგადოებრივი აზრის ეროვნული გამოკითხვის შედეგებს დავუჯერებთ. გამოკითხვა ჩატარდა ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტის შეკვეთით. შედეგები ასეთია: ამერიკელების ორი მესამედი ან კომუნისტია, ან თანაუგრძნობს მის იდეებს - ანუ ან "წითელია", ან - "ვარდისფერი". თვითონ განსაჯეთ. რესპონდენტებს დაუსვეს შემდეგი შეკითხვა: "შეიცავს თუ არა აშშ-ს კონსტიტუცია დებულებას: "თითოეულისაგან - შესაძლებლობის მიხედვით, თითოეულს - მოთხოვნილების მიხედვით?" გამოკითხულთა 35 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 34 პროცენტმა განაცხადა, რომ არ იციან ან არ არიან დარწმუნებულნი. თუმცა, აღიარებენ, რომ სრულიად სამართლიანი და კეთილშობილური პრინციპია.

აი, როგორი კომუნისტური სული ტრიალებს ამერიკაში!

ყველაფერი, როგორც ცნობილია, შედარებითია. კინოფილმ "უოლ-სტრიტში" მთავარი გმირი, რომელსაც თამაშობს მსახიობი მაიკლ დუგლასი, ამბობს ფრაზას: "სიხარბე - ეს დიდებულია!" ("Greed is great!"). ეს არის ამერიკული ბიზნესის კრედო. მასთან შედარებით მარქსის "თითოეულისაგან - შესაძლებლობის მიხედვით, თითოეულს - მოთხოვნილების მიხედვით" ბევრად უფრო მიმზიდველად გამოიყურება და გაცილებით ახლოა ამერიკულ ოცნებასთან.

წარმომიდგენია, როგორ ბრუნავს ახლა საფლავში სენატორი ჯო მაკარტი! ეს ჩვენი ჯო ხომ სულაც არ იყო შორს ჭეშმარიტებისაგან, როდესაც ეჭვობდა, რომ ყოველ ამერიკელში პატარა კომუნისტი იმალება!

*მინეაპოლისი, ივლისი, 2002*




*უკან კომუნიზმისკენ.*

ლევან კიკალიშვილის კოლაჟი

# როგორ შენდებოდა მოდის იმპერია

B2



*ჯიორჯო არმანი და სოფი ლორენი*

REUTERS

# როგორ შენდებოდა მოდის იმპერია

## საჩუქარი რომს - ახალი ბუტიკი არმანისგან

თამარ ბაბუაძე

არ არის აუცილებელი, ჯორჯო არმანის რომელიმე ბუტიკში იყოთ ნამყოფი. ისიც საკმარისია, ინტერნეტში მისამართს http://www.giorgioarmani.com ეწვიოთ და თვადაც დარწმუნდებით – ჯორჯო არმანი სტუმართმოყვარე კაცია. აქსესუარების, კოსმეტიკის და ტანსაცმლის შექმნასთან ერთად, მან შეუდარებელი დახვედრაც იცის. ისევე, როგორც მისი თითოეული მოდელი, არმანის ოფიციალური ინტერნეტ-საიტიც დახვეწილობით გამოირჩევა.

იტალიური გირჩევნიათ, ინგლისური, თუ იაპონური? ჯორჯო არმანი სამივე ენაზე თანაბარი ხელგაშლილობით მოგემსახურებათ. პირველივე გვერდი სულ სხვა სამყაროში ამოგაყოფინებთ თავს. ფიქრობთ, რომ ნაცრისფერი მართლაც ნაცრისფერი და ულიმღამო ფერია? არმანი აზრს შეგაცვლევინებთ – მისი საიტის "სადარბაზო" ნაცრისფერის გარდამავალ ტონალობაშია აწყობილი, რაც თვალს საოცრად ამშვიდებს. თუმცა, ნამდვილი არმანი შემდეგ და შემდეგ გამოჩნდება. შეგიძლიათ, ცალ-ცალკე გამოიკვლიოთ მისი თითოეული ხაზი: "ჯორჯო არმანი", "არმანი კოლეციონი", "ემპორიო არმანი", "არმანი ჯინს", "არმანი იქსჩეინჯ", "არმანი პარფიუმს", "არმანი კოსმეტიკს", "არმანი კაზა", "არმანი ვია მანცონი". ამ მიმართულებებს არმანისეული და, რაც მთავარია, აშკარად იტალიური ტიპის ქალი და მამაკაცი მოდელები გაგაცნობენ. წინწასული ტექნიკის, კერძოდ კი, Flash Media-ს ანიმაციის წყალობით, არმანის მოდელები ჩვენს თვალწინ ცვლიან ერთმანეთს და გვარწმუნებენ, რომ ჯორჯო არმანის, კარგი მასპინძლობის გარდა, ფანტასტიკური მოდელების შექმნაც შეუძლია.

ნაცრისფერის, კრემისფერის გარდამავალი ტონალობები ერთმანეთს ცვლიან და ამ "მშვიდ", თითქოს მკაცრ, მაგრამ დახვეწილ ფონზე შეგიძლიათ, დიზაინერის ბიოგრაფიას, ახალ ამბებს, კორპორაციულ მონაცემებს, პრეს რელიზებს, მაღაზიების მისამართებს და, რაც მთავარია, მის ახალ კოლექციებს გაეცნოთ. ისე, აუცილებლად შენიშნავთ, რომ ეს ყოველივე ოდნავ ეგოცენტრულად გამოიყურება – არმანი ვარსკვლავებთან ერთად, არმანი პრესის ფურცლებზე, არმანის დიადი საქმეები, რომლებიც გაზეთების პირველ გვერდებზე გაიტანეს, არმანი ახლო პლანით, წინიდან, გვერდიდან... პრესაშიც ხშირად წერენ, რომ არმანისთანა თვითკმაყოფილი კაცის ნახვა თითქმის შეუძლებელია, რომ მას ცივი გამოხედვა აქვს და თუ მასთან საუბარი მაინც გაბედეს, ასეთ თავხედებს ყოველთვის სნობური გამოხდომებით აფრთხობს. მაგრამ რას ვიზამთ, ბოლოსდაბოლოს, საუბარია ჯორჯო არმანიზე – მსოფლიოს მოდის ერთ-ერთ წამყვან ფიგურაზე და ასეთ ნიჭიერებს და შემოქმედებს კი ეგოცენტრიზმი ნამდვილად ეპატიებათ...

ხანდახან მაინც ღირს ვირტუალურიდან რეალურ სამყაროში გადმოსვლა. მით უფრო, როცა ჯორჯო არმანი სრულიად რეალურ სამყაროში – რომის შუაგულში ახალ ბუტიკს ხსნის. ჯინსის პირველი მაღაზია რომში მან 1997 წელს გახსნა. მეორეს პრეზენტაცია კი, 16 ივლისს შედგა. რომის ნაღები საზოგადოება სწორედ ამ ბუტიკში შეიკრიბა. საღამოს მთავარ გმირს მისი ყველაზე დიდი თაყვანისმცემელი, სოფი ლორენი არ შორდებოდა. ქალი, რომელიც არ ბერდება, არმანისთან ერთად, სიამოვნებით პოზიორობდა ფოტოგრაფების წინაშე.

არმანის საერთოდ სჩვევია ფსონის დადება ცნობილ ადამიანებზე. მან სულ თავიდანვე ზუსტად გათვალა, რომ მოდის გადაჭედილ ბაზარზე თავის დამკვიდრების ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი, ნიჭთან ერთად, ცნობილი ადამიანებით სპეკულირებაც (ოღონდ კარგი გაგებით) იყო. და არმანი გახდა ერთ-ერთი პირველი დიზაინერი, რომელმაც აქტიურად დაიწყო ვარსკვლავების ჩაცმა. ფაქტობრივად, 80-იან წლებში მისი პოპულარობის ზენიტში აჭრა სწორედ ამ სტრატეგიამ განაპირობა. 1982 წელს ის ჟურნალ Time-ის გარეკანზე მოხვდა და მოდის მთელმა სამყარომ მას შურით სავსე თვალები მიაპყრო – 1940-იანი წლების, ანუ კრისტიან დიორის შემდეგ, არმანის გარდა ამხელა პატივი არავის ღირსებია. მაშინ, თურმე, ვალენტინომ ვერაფრით გაიგო, თუ რატომ დააყენეს არმანი მის წინ. ეს შურიანი გამოხედვა არმანიმ, ალბათ, მაშინაც იგრძნო, როცა მისი ნამუშევრები ნიუ იორკში, გუგენჰეიმის მუზეუმში გამოფინეს. ამ შემთხვევაშიც ის ერთადერთი დიზაინერი აღმოჩნდა, რომელიც გუგენჰეიმში მოხვდა.



ჯორჯო არმანი და კლაუდია კარდინალე



მილანი. არმანის კოლექციის ჩვენება

REUTERS





მოსკოვი. რუს მოდელთან



მოსკოვი.



ჯორჯო არმანი და რასელ კროუ

თუმცა, სანამ სოფი ლორენს მოხიბლავდა, არმანის მიერ გადაგდებულ ანკესზე პირველად ლოს ანჯელესის საკალათბურთო გუნდის, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" "ჩამცმელი" მწვრთნელი, პეტ რილი წამოეგო. სწორედ ეს კალათბურთელი შემოსა არმანიმ პირველად. პარალელურად, არმანიმ ბედი კინოსაც დაუკავშირა და 1980 წელს გადაღებულ "ამერიკელ ჟიგალოში" რიჩარდ გირის გმირის მთელი გარდერობი შექმნა. ამ დებიუტს ფეხდაფეხ მოჰყვა ვარსკვლავების მთელი წყება. 80-იანი წლებიდან დაწყებული უოლ-სტრიტისა და ბევერლი ჰილსის ცნობილი სახეები არმანის კოსტუმებს იცვამენ, რადგან იციან, რომ არმანის ნახელავი თვითრწმენის წამალი და საზოგადოებაში პატივისცემის მოპოვების საშუალებაა. ასე რომ, არც კევინ სპეისი და რასელ ქროუ, არც სემუელ ჯექსონი, რობერტ დე ნირო, არც ბენისიო დელ ტორო, მიშელ პფაიფერი, ჯოდი ფოსტერი და, რაც მთავარია, არც სოფი ლორენი, "არმანის" გარდა ტანს არაფერს აკარებს. ერთხელ აღტაცებულმა სოფი ლორენმა თქვა: **"არმანიმ იცის, რა სურთ ქალებს. როცა მისი ტანსაცმელი მაცვია, თავს კომფორტულად ვგრძნობ. არმანის იმასაც ვაპატიებდი, ქალები საერთოდ რომ გაეშიშვლებინა! მიყვარს მისი გამჭვირვალობა – ამას ხან ხედავ, ხან – ვერა"**.

თავად არმანის ფილოსოფია კი ასეთია: **"ჩემი ფისოლოფია ყოველთვის იყო, დავხმარებოდი ქალებსა და მამაკაცებს იმაში, რომ ტანსაცმლის წყალობით თავი კომფორტულად ეგრძნოთ, რწმენით აღვსილიყვნენ. არასდროს შემიქმნია დეკორაცია, დეკორაციის გულისთვის"**. ანუ, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, არა ხელოვნება ხელოვნების, მოდა მოდის და შემოქმედებითობა შემოქმედებითობის გულისთვის, არამედ ეს ყველაფერი ადამიანებისთვის! როგორც პრესაში წერენ, არმანის სამი ოქროს წესია: შევამციროთ ზედმეტი დეტალები, ხაზი გავუსვათ კომფორტულს და დავაფასოთ ელეგანტურობა.

ამ ფილოსოფიის გამომუშავება "ფოლქსვაგენის" გაყიდვის შედეგად დაიწყო. ბოლონიის უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე გატარებული ორი წლის და ფოტოგრაფობის შემდეგ, არმანიმ მუშაობა ჯერ "უნგაროსა" და "ზენიაში" დაიწყო, შემდეგ კი მანქანა გაყიდა და მამაკაცების მზა ტანსაცმლის საკუთარი ხაზი შექმნა. აქედან დაიწყო არმანის მოდის იმპერიის შენება, რომელლსაც დღეს მილიარდობით დოლარის მოგება მოაქვს. ათასნაირ აქსესუართან ერთად, დიზაინერი რომში თავისი სახელობის წიგნების მაღაზიაც აქვს (ჭეშმარიტად ახალი სიტყვა მოდის სამყაროში). არმანი ფლობს კერძო სახლებს ბრონიში, ფორტე დეი მარმიში, პანტელერიაში, სენ ტროპეში. როცა დიზაინერი არც ერთ სახლში არ არის, ახლობელბი მას მილანში, ვია ბორგონუოვოს ქუჩაზე, არმანის სათავო ოფისში ეძებენ. არმანი ხომ, თვითკმაყოფილთან ერთად, მუშაობით დაავადებული კაციც არის. პრინციპში, იმპერია, რომლის ლოგოც არწივია და რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს არმანის უსაზღვრო ამბიციებს და მიზნებს, თავგადაკლული შრომის გარეშე არც აშენდებოდა.

ბოლოს კი, დავუბრუნდეთ არმანის ჯინსებს. რამდენიმე ხნის წინ, როცა დიზაინერი მოსკოვს სტუმრობდა, "ენტევეს" ჟურნალისტმა მას ხუმრობით ყალბი არმანის ჯინსის შარვალი აჩუქა. დიზაინერმა იცინა და იხუმრა, რომ ბედნიერია, თუ ისეთი პოპულარულია, რომ მის ნაწარმს აყალბებენ კიდეც. თუმცა, ფაქტია, არმანისგან განსხვავებით, ყალბი ტანსაცმელი ვერაფრით გააბედნიერებს იგივე სოფი ლორენს, რომელსაც სურს, რომ ასი პროცენტით არმანისეული სამოსი ეცვას. ასეთები არმანის ვირტუალური სამყაროს გარდა, მის მაღაზიებშიც დამოგზაურობენ და როცა ნამდვილი "არმანი" აცვიათ, თვითრწმენაც ემატებათ და პრესტიჟიც.


სატელეფონო კავშირი
8-07
www.online.ge

ქართული კინოს საწყისებისკენ

# აკაკის მოგზაურობის გამეორება რაჭა-ლეჩხუმში

ვერა ნეფარიძე

**გუშინ ქართველმა კინომოღვაწეებმა ქართული კინოს პიონერის, ვასილ ამაშუკელის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადეს და პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის 90 წლისთავი აღნიშნეს. ფილმის იუბილესთან დაკავშირებით, ისინი რაჭა-ლეჩხუმს სექტემბერში ესტუმრებიან.**

საიუბილეო მოგზაურობას, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, გოგი დოლიძე, რეზო ჩხეიძე და ოტია იოსელიანი უწევენ ორგანიზებას. იმ პირობებში, როდესაც თითქმის აღარ არსებობს ახალი ქართული კინო, საზოგადოება კიდევ ერთხელ მოიწონებს თავს წარსულით. გუშინ, ამ წარსულის უკვდავყოფის დასამტკიცებლად, სტუმრებს "ქართული ფილმის" წარმომადგენლობამ აჩვენა ეზოში გაკეთებული ეროვნული კინო-კორიფეების გალერეა (ბიუსტები); რეზო ჩხეიძის თქმით, გალერეას აუცილებლად შეემატება სიკო დოლიძის, ვახტანგ ტაბლიაშვილის, დოდო აბაშიძისა და სხვა დამსახურებული კინო-მოღვაწეების ბიუსტები. მის პირველ წარმომადგენელთან, ვასილ ამაშუკელთან შეყოვნებულმა საზოგადოებამ ქართული კინოს პიონერზე გოგი დოლიძის სიტყვა მოისმინა, რის შემდეგაც საზოგადოებამ "ქართული ფილმის" მუზეუმში გადაინაცვლა. კომპოზიციურად ზურაბ წერეთლის მოწყობილ მუზეუმში კინოს ოსტატები ძირითადად, წარსულს იხსენებდნენ.

1912 წელს რუსი აკადემიკოსი სერგეი ანისიმოვი მოწაფეებთან ერთად, შემთხვევით შეესწრო მამისონის უღელტეხილზე აკაკის მოგზაურობას. "დიდი ქალაქის ქუჩებში მეგონა თავიო", - იხსენებდა მოგვიანებით აკადემიკოსი, რომელიც საყოველთაო-სახალხო საზეიმო განწყობამ და სამზადისმა გააოგნა. მოსახლეობა გზაზე იყო გამოფენილი, დედაკაცები ძუძუმწოვარა ბავშვებით იყვნენ. ანისიმოვმა იმავე წელს გამოაქვეყნა ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები ხარკოვის ერთ-ერთ გამოცემაში; 1940 წელს კი აკაკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილს პუბლიკაციაში დაწერა: "ასეთი დღესასწაული არ ახსოვს კაცობრიობას; მსგავსი ზეიმი არ მოუწყვიათ არცერთი დიდი მწერლისთვის", და აკაკის მოგზაურობა "Ясная поляна"-ზე ტოლსტოის საიუბილეო დღეებს შეადარა: "Ясная поляна"-ზე არცერთმა გლეხმა არ იცოდა რა ხდებოდა 28 აგვისტოს ტოლსტოის სახლში".



რეზო ჩხეიძე და გოგი დოლიძე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

დიდი პოეტის მოგზაურობა, როგორც ცერემონია, თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ, მის მნიშვნელობას გარკვეული წონა შემატა ვასილ ამაშუკელის დოკუმენტურმა სურათმა, რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. ეს უკვე მხოლოდ გოგი დოლიძის აზრი არ არის. ეს მოსაზრება კინოს ისტორიკოსმა, ჟორჟ სადულმაც დაადასტურა თავის წიგნში. ეს მოგვიანებით, მანამდე კი ქართულმა ცენზურამ, კინოკომიტეტის ხელმძღვანელობის სახით, ამაშუკელისადმი მიძღვნილ ბროშურაში არაფრის დიდებით არ დაუშვა გასულიყო ფრაზა, რომ ვასილ ამაშუკელი მსოფლიოს უხუცესი კინემატოგრაფისტი იყო. მათ სიტყვა "მსოფლიო" "საქართველოთი" შეცვალეს. დღეს უკვე მსოფლიო კინო-საზოგადოება შეთანხმებულია, რომ 1912 წლამდე მსოფლიოს დოკუმენტური კინო არ იცნობდა ისეთ სრულყოფილ ნამუშევარს, როგორიცაა ვასილ ამაშუკელის "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში".

ამ ისტორიული მოვლენისა და კინო-სურათის გასახსენებლად, წელს 17-დან 21 სექტემბრამდე, ქართველი კინო-მოღვაწეები, მსოფლიოს რამდენიმე კინო-სკოლის სტუდენტებთან და ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, ამ მოგზაურობის გამეორებას აპირებენ. გეოგრაფიის ინსტიტუტმა მოგზაურობის საორგანიზაციო კმიტეტის თხოვნით, 90 წლის წინანდელი მოგზაურობის რუქა შეადგინა, რომლის მიხედვითაც ჩოხიანი მონაწილეები ეტლებით 12 დღის (სწორედ ამდენ ხანს იმოგზაურა პოეტმა რაჭა-ლეჩხუმში) ნაცვლად ოთხ დღეში გაივლიან იგივე მარშრუტს. მოგზაურობისას გაიმართება სტუდენტური ფილმების ფესტივალი, სადაც ჟიური მოგზაურობისას გადაღებულ მასალებს შორის ოთხ საუკეთესოს შეარჩევს. ჟიურის ცნობილი რეჟისორი, მარლენ ხუციევი უხელმძღვანელებს. "კინოს გადაღებას ჩვენთან ყოველთვის ჰქონდა ის საზოგადოებრივი როლი, რომლის გარეშე ქართველ ერს არსებობა არ შეეძლო. მოგზაურობისას მოვივლით სოფლებს და "სულიკოს" ტკბილ ჰანგებს ვუმღერებთ". რეზო ჩხეიძე დარწმუნებულია, რომ ეს იქნება საზოგადოების გაერთიანების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი. გუშინდელ შეხვედრას ესწრებოდა რაჭის გუბერნატორის მოადგილეც, რომელმაც დაადასტურა გოგი დოლიძის ნათქვამი, რომ მოსახლეობა ემზადება მოგზაურების შესახვედრად.

# „დეციში" - მორიგი ეთნო-პროექტი საქართველოში

## ლეჟავების მუსიკალური ოჯახი ახალ ალბომს გამოსცემს

მადი სერებრიაკოვა

ხალხური მუსიკის ახალი არანჟირებისა თუ ინტერპრეტაციების საფუძველზე საავტორო ალბომების გამოშვება საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) ძალზე მოდურ და ხელსაყრელ საქმედ იქცა. ერთის მხრივ, სახიფათოა, როცა დიდი და პატარა, კლასიკოსი და ჯაზმენი, როკერი თუ "პოპსავიკი" საკუთარი (ხშირად საეჭვო) გემოვნებითა და მუსიკალური გაქანებით ასახიჩრებს ქართულ მუსიკალურ საუნჯეს. მეორეს მხრივ კი - ფოლკლორის დაკონსერვებულ მდგომარეობაში შენახვაც წარმოუდგენელია და მისი არსებობის უცილობელ პირობას ღია, უწყვეტი მუსიკალური პროცესი წარმოადგენს, სადაც ყველა დროსა და გარემოს თავისი წვლილი შეაქვს და თავისებურ შტრიხსა თუ ელფერს მატებს. ამ მხრივ ასარჩევი და შესადარებელი ჩვენშიც უკვე ბევრი დაგროვდა: ავიღოთ თუნდაც ჯერ კიდევ "ცხელ-ცხელი" პროექტები: "ზუმბას", Soft Eject-ის, მამუკა-ბერიკას, "სამებას" ალბომები, "ინსაითის", კახა ცისკარიძის ცალკეული სიმღერები. მათ რიცხვს ახლახანს ჯგუფ "დეციშის" პროექტი "თანამედროვე ქართული ეთნო-მუსიკაც" შეემატა.

ჯგუფ "დეციშის" საქართველოში უფრო მეტად ლეჟავების მუსიკალური ოჯახის სახელით იცნობენ. ეს ოჯახი თავის მხრივ ოთხ თაობას აერთიანებს, რომელიც ორიგინალურად და საინტერესოდ მუშაობს ფოლკლორული მუსიკის სფეროში. მათი პირველი ალბომი 1999 წელს გამოვიდა. მასში ოჯახის წევრების მიერ შექმნილი, ქალაქური ფოლკის საფუძველზე დამყარებული 26 საავტორო სიმღერა შედიოდა და მიუხედავად საკმაოდ განვითარებული ინსტრუმენტული (გიტარის) თანხლებისა – ეს მაინც მხოლოდ თანხლება იყო და უფრო ვოკალურ მხარეს ექცეოდა ყურადღება. თვალსაჩინო იყო ადრეული "ბითლზის", პოლ საიმონის და 60-იანი წლების ბრიტანული მუსიკის გავლენაც.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ლეჟავების ოჯახის მუსიკალური სტილიც უფრო ორიგინალური გახდა. ქართულ სუფრასთან დასამღერებელი "ტკბილი" სიმღერები კი დახვეწილმა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა კომპოზიციებმა შეცვალა, სადაც საინტერესოდ არის ჩართული ხალხური ინსტრუმენტები: დოლი, დიპლიპიტო, ჭუნირი, სალამური, ფანდური, ჩონგური. უფრო ღრმად არის გააზრებული ხალხური, ჯაზური და როკ-მუსიკის ტრადიციებიც. წამყვანი მაინც გიტარაა, თუმცა ამ ინსტრუმენტის გამოყენებაშიც მისი ახალი შესაძლებლობების გახსნის, ხალხურ საკრავებთან დაახლოვების მცდელობაც სახეზეა. როგორც გაირკვა, ლეჟავებმა ხალხური ინსტრუმენტების განვითარებაშიც მიიღეს მონაწილეობა. გათანამედროვებული ფანდური, და პირიქით – ხალხურ ყაიდაზე გადაწყობილი გიტარა – ამის საუკეთესო მაგალითია.

ლეჟავების ოჯახის ახალი ძიებები და გამოცდილება ისევ საკმაოდ მასშტაბურ – 28 ნაწარმოებისგან შემდგარ ალბომში დაფიქსირდა. თუმცა "მასშტაბური" ამ შემთხვევაში უფრო ფორმალურ დატვირთვას ატარებს. მუსიკალური ორიენტაციის თვალსაზრისით კი "დეციშის" პროექტი ისევ სალონური, არაკომერციული ხასიათისაა – რაც სულაც არ აკნინებს მის ღირსებებს. სიტყვა "დეციში" სვანური "ლილედან" არის ნასესხები და მზის კულტის უძველეს ტრადიციას უკავშირდება. სიცოცხლის ხის, სკნელების და მნათობების მითოლოგიური სახეების საინტერესო გააზრებას წარმოადგენს ალბომის გარეკანის გაფორმებაც, რომელიც ოჯახის უფროსებს – სამსონ ლეჟავასა და ასმათ ოქროპირიძეს ეკუთვნის.

ისევე როგორც პირველ ალბომში, ახალი პროექტის ძირითად სტილურ თავისებურებას ეთნო და საავტორო მასალის შეჯერება წარმოადგენს. ლეჟავების ოჯახის უფროსი, თავად ხელოვნებათმცოდნე სამსონ ლეჟავა მას ნეო-ფოლკს უწოდებს. გარდა ლეჟავების ოჯახის წევრებისა, ალბომში მოწვეული მუსიკოსებიც იღებენ მონაწილეობას, მათ შორის ესტრადის ვარსკვლავი ირმა სოხაძეც, რომელიც ლეჟავების კამპანიაში ჯაზურ ამპლუაშია წარმოდგენილი. პროექტის შექმნაში წვლილი სხვა ცნობილმა მუსიკოსებმაც შეიტანეს, თუმცა მათი თანამშრომლობის კონკრეტული პროდუქტი ალბომში არ დაფიქსირებულა. ამ ადამიანებს შორის (ზაზა მიმინოშვილი, კაკო ვაშალომიძე, ნიაზ დიასამიძე, თემურ ყვითელაშვილი და სხვ.), რომლებიც ძირითადად ლეჟავების უმცროსი თაობის მუსიკალურ დაოსტატებაში იღებდნენ მონაწილეობას, აღინიშნა დასავლეთში საკმაოდ ცნობილი თანამედროვე ქართველი მხატვრის გია ეძგვერაძის სახელიც. სამსონ ლეჟავას თქმით, გიას საინტერესო მცდელობები ჰქონია ჯაზში, იგი გიტარაზე უკრავს.

სამწუხაროდ, ლეჟავები ოჯახი კონცერტებზე მეტად ძვირი სანახავია. ამის მიზეზი ნაწილობრივ ადგილობრივ მუსიკალურ კონტექსტში მათი გამორჩეული კამერული ადგილია. ცოცხალი შესრულებით მათი ნაწარმოებები შესაფერის აკუსტიკურ გარემოს საჭიროებს. ახალი ალბომის პრეზენტაცია, სავარაუდოდ ოქტომბერში, ლეჟავების ოჯახის მეგობრის, ტრაგიკულად დაღუპული სოსო შაორშაძის დაბადების დღეს შედგება. სწორედ მის ხსოვნას ეძღვნება ახალი ალბომი. დიდი კომერციული წარმატების იმედი "დეციშის" წევრებს არ აქვთ. მათი პირველი ალბომითაც, უფრო მეტად, საქართველოს უცხოელი სტუმრები ინტერესდებოდნენ. დასავლეთში გზის გაკაფვის მიზნით, ლეჟავებმა საკუთარი ინტერნეტ-საიტის მომზადებაც დაგეგმეს.

"დეციშის" ახალი პროექტი "თანამედროვე ქართული ეთნო-მუსიკა" მალე გაყიდვაშიც გამოჩნდება. ჯგუფის წევრებმა კი უკვე ახალ პროექტზე დაიწყეს მუშაობა, რომელიც ამჯერად უკვე ბრიტანული ფოლკ-მუსიკაზე იქნება ორიენტირებული და ინგლისურ ენაზე ჩაიწერება.



# ისტორიული ძეგლის შენარჩუნება ეკონომიკურად მომგებიანია

## კულტურული მემკვიდრეობის კანონი ცვლილებებითა და დამატებებით შეივსო

ნატო დარჩიაშვილი

17 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის ოფისში გაიმართა დისკუსია "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ".

კანონი საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის მაისში მიიღო და 1999 წელს მიღებული კანონის "ლოგიკურ" გაგრძელებად იქცა. "ცვლილებებმა და დამატებებმა" ურბანული ძეგლების დაცვის თანამედროვე დახვეწილი სისტემა შექმნა, რის მიხედვითაც ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს მნიშვნელოვნად გაეზარდა ქალაქის ისტორიულ ზონაში ფუნქციონალური დატვირთვა.

დეპარტამენტს შემდეგი უფლებები მიენიჭა: 1. ისტორიულ ზონაში ძეგლთა დაცვასთან შეუთანხმებელი სამუშაოების აკრძალვა. 2. დეპარტამენტთან პროექტის აუცილებელი შეთანხმება. 3. უკანონო მშენებლობისადმი პასუხისმგებლობის დამძიმება. 4. მშენებლობის შეჩერების მექანიზმის ჩამოყალიბება და სრულიად ახალი ცნების, უკანონოდ აშენებულის სასამართლოს წესით დანგრევის შემოტანა.

ამ კანონით, სახელმწიფო კუთვნილება ხდება ნებისმიერი ხერხით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, აგრეთვე უძრავი ძეგლის დაკარგული არქიტექტურული ფორმებისა და ელემენტების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ აღსადგენი არქიტექტურული ფორმების, ელემენტების სრულ იდენტიფიკაციისა და ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დაფუძნებულ საპროექტო დოკუმენტაციის ბაზაზე.

დისკუსიაში მონაწილეობა დაპატიჟებულ სტუმართაგან ვერ ან არ მიიღეს მერაბ ჩხენკელმა-საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრმა, ირაკლი ლოლაშვილმა-ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა და ირაკლი როსტომაშვილმა-მთაწმინდა- კრწანისის რაიონის გამგებელმა. მიზეზი, რა თქმა უნდა, მოუცლელობაა.

მიზეზები არ გველევა და თბილისის (და არა მარტო) ისტორიული სახე და კულტურული მემკვიდრეობა ნელ-ნელა მახინჯდება, ნაწილი ინგრევა, დანგრეული კი

გვავიწყდება.

რუსთაველის მეტროსთან აგებულ მინის მაღაზიებს ჰამლეტ ჭიპაშვილი სტუდენტების პასიურობას აბრალებს."სტუდენტებმა სიტყვა არ შეასრულეს. ისინი დაგვპირდნენ რომ აღნიშნული ტერიტორიიდან ფეხს არ მოიცვლიდნენ და მშენებლობას შეაჩერებდნენ. მაღაზიებმა ფუნქციონირება დაიწყეს, როგორც ჩანს, სტუდენტები ქრთამმა გააჩუმა."

მაღაზიების მშენებლობა ერთია, და ამ კანონის მიხედვით, ყოველი ახალი პროექტის ავტორი იძულებულია, სხვადასხვა ინსტანციებისგან თანხმობის მიღების გარდა, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისგანაც მიიღოს მშენებლობის ნებართვა.

ურბანული მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა წინა კანონშიც იყო გათვალისწინებული, მაგრამ ის ქვეტექსტად, მკრთალი შრიფტით იყო მოცემული და უკანონოდ აშენებული მრავალსართულიანი შენობებისა და მათი მესაკუთრეების დაცვის მიზნით, სასამართლო სწორედ ამ ფაქტს ეყრდნობოდა. "სანებართვო სისტემა არ გაქვთ ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებულიო".- ამბობს კახა ტრაპაიძე და ამატებს: "ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში 70 პროექტი შემოვიდა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში, რომელთაგან მხოლოდ 10-ზე გაიცა ნებართვა".

მშენებლობა რომ დამთავრდეს, სასამართლო გადაწყვეტილებაა საჭირო, მისივე ნებართვით მესაკუთრემ უკანონოდ აშენებული შენობა უნდა დაანგრიოს, ძეგლთა დაცვის სამინისტროს კი, იურისტები სჭირდება, ისინი თავის უფლებებს ვერ იცავენ.

დისკუსიის დასასრულს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს წარმომადგენელი, ირინა საბაშვილი მოვიდა, რომელმაც სამინისტროს პასიურობა შემდეგი მიზეზით ახსნა: "ვაკის პარკის ტერიტორიაზე ირანის საელჩოს მშენებლობის კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდით. 2001 წლის პრეზიდენტის განკარგულებით, მიწის ნაკვეთი კერძო მფლობელობაშია გადაცემული. მშენებლობას კანონი ვერ გააჩერებს, თუ პოლიტიკური ნება არ იქნება."

მამა დავითის ეკლესიას ველარ დავინახავთ, აბანოთუბანი მრავალსართულიანი შენობებით დაკომპლექტდება, ბაღები დაკარგავენ თავის მნიშვნელობას, თავისუფლების მოედანთან ტროტუარებიც უქმდება. განწყობა კი მაინც ოპტიმისტურია - ყველა ახალი პროექტი საქართველოს ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უნდა დაამტკიცოს.

სიახლეები მსოფლიო ქსელში

# დოკუმენტა 11 კრიტიკის ქარცეცხლში გაახვიეს


ჯოზეფ ბოისის ნახატი


სინდი შერმანის ფოტო

ნინო ჟანიშვილი

მიუნჰენის Haus Der kunst 10 სექტემბრამდე წარმოადგენს გამოფენას სახელწოდებით !AVANT-GARDES! ანუ ავანგარდი მრავლობითში. დღემდე ხელოვნებათმცოდნეთა ინტერესი ავანგარდისადმი რამდენიმე გეოგრაფიული სახელით შემოიფარგლებოდა: პარიზი დასავლეთ ევროპაში, მოსკოვი აღმოსავლეთში, და გერმანიის ქალაქები - მიუნჰენი, ვაიმარი, დესაუ და ბერლინი ცენტრალურ ევროპაში. მაგრამ ეს მიმდინარეობა 1910-30-იან წლებში ასევე გავრცელდა პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის, რკინის ფარდისა და ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, იგი უცნობი და შეუსწავლელი დარჩა დასავლეთისთვის. გამოფენის მიზანია ამ ქვეყნების ავანგარდული ხელოვნების პოპულარიზაცია. სხვათაშორის, ავანგარდი მხატვრობაში და ლიტერატურაში საქართველოშიც არსებობდა, მხოლოდ მცირე დოზით, მაგრამ ამის შესახებ, დარწმუნებული იყავით, არავის ეცოდინება დასავლეთში. მიუნჰენის გამოფენის შესახებ კი მეტ ინფორმაციას გალერეის ვებ-გვერდზე hausderkunst.de ნახავთ.

გასულ შაბათს ინგლისის ჩრდილოეთში, მდინარე ტაინის სანაპიროზე, გეითსჰედში თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი Baltic Arts Centre-ი გაიხსნა. აგურით აშენებული ყოფილი ინდუსტრიული ქარხანა, ხელოვნების მწარმოებელ ქარხანად გადაიქცა: იგი შეიცავს ხუთ გალერეას, კინოდარბაზს, თეატრს, ბიბლიოთეკას, თანამედროვე ხელოვნების არქივს, უამრავ სახელოსნოს, სადაც მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ხელოვანები თავიანთ პროდუქციას გამოუშვებენ. ცენტრის შექმნით, რომელსაც 5000 ხელოვანი უჭერდა მხარს, ჩრდილოელები იმედოვნებენ, რომ კულტურაში ლონდონის წამყვან როლს ცოტათი მაინც შეამცირებენ. გარდა ამისა, ჩრდლოელები იმასაც კი ფიქრობენ, რომ გეითსჰედი 2008 წლისთვის ევროპული კულტურის დედაქალაქად იქცევა. ახლად დაარსებულ ცენტრს კი არ გააჩნია არანაირი კოლექცია, არც ანტიკური და თანამედროვე ხელოვნების, და არც პოპულარული და მივიწყებული მხატვრების. ეს ცენტრის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. არ გამოიფინება არც სხვა მუზეუმებისა თუ გალერეების კოლექციები და არც გიდები ჩაატარებენ შოუ-ტურებს. თუ ამ ცენტრის ლაბირინთებში ვირტუალური მოგზაურობის სურვილი გექნებათ, აკრიფეთ balticmill.com

ხელოვნების კრიტიკოსის რასელ სმიტის აზრით, კასელში მიმდინარე "დოკუმენტა 11-ის" გამოფენები ელიტარულობით და ზედმეტი ამბიციურობით გამოირჩევიან. გამოფენებზე ძირითადად კონცეპტუალური ხელოვნებაა წარმოდგენილი, რაც ნაკლებად გათვითცნობიერებული მნახველისთვის გაუგებარია. რასელ სმიტი 13 ივლისს, theglobeandmail.com-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, "როცა ხელოვნებას გზამკვლევის გარეშე ვერ გაიგებ", წერს, რომ როცა გამოფენებზე უამრავი განმარტებითი ტექსტის წაკითხვა გიხდება, საერთოდ რაღა საჭიროა თავისთავად ხელოვნება. "რაც, ჩვენ ნამდვილად გვესაჭიროება ეს არის ტექსტი"- ამბობს კრიტიკოსი. დოკუმენტა 11-ს არც სხვებმა დააკლეს სარკაზმი - გერმანიის ფიენენშალ თაიმსმა დოკუმენტას თეორიულად დამძიმებული შოუ უწოდა, მაგრამ რამდენიც არ უნდა აკრიტიკო "დოკუმენტა 11", მას უკვე 200 ათასი ადამიანი დაესწრო და კიდევ ბევრი მივა 15 სექტემბრამდე. თუ ვრცელი ტექსტების კითხვა არ გიჭირთ და კასელის კულტურული ცხოვრების გაცნობის სურვილიც გაგიჩნდებათ, ეწვიეთ ინტერნეტ-საიტს dokumenta.de.

artnewsonline.com ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიოს ყველაზე პოპულარული არტ-კოლექციონერების სიას. ამ ნუსხაში კერძო კოლექციონერები, დილერები, მუზეუმების დირექტორები, კურატორები, კონსულტანტები ხვდებიან ხოლმე. ყოველწლიურად სულ ცოტა 5 კოლექციონერი 100 მილიონ დოლარზე მეტს ხარჯავს ხელოვნების ნიმუშების შეძენაში. წელს წამყვანი ათეულის თავშია პოლ ალენი, მაიკროსოფტის თანამფლობელი და ბილ გეითსის მეგობარი. თუმცა პოლ ალენის გვერდის ნახვისას, paulallen.com, რომელზეც დეტალურადაა მოთხრობილი მისი გატაცებების შესახებ (მთელი სიებია მისი საყვარელი ფილმების და წიგნების), ვერსად ვიპოვე, რომ ის ხელოვნების ნიმუშების შეგროვებით იყოს გატაცებული, გარდა იმისა, რომ ის წყნარი ოკეანის ჩრდილოდასავლეთის კულტურის განვითარება-გაფართოებისთვის სოლიდურ თანხებს არ იშურებს.

# SOS! სოროკინს იჭერენ?

თამარ სუხიშვილი

დაახლოებით ერთი კვირის წინ საინფორმაციო საშუალებებმა მთელ მსოფლიოს აუწყეს, რომ მოსკოვის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა "ნორმას", "რომანის", "მარინას ოცდამეათე სიყვარულის" ავტორის, პოსტ-მოდერნისტი მწერლის, ვლადიმირ სოროკინის წინააღმდეგ. მას "პორნოგრაფიული მასალების გავრცელებაში" ედება ბრალი. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომლის მახვილმა თვალმაც მწერლის 1999 წელს შექმნილ ნაწარმოებში – "ცისფერი ქონი" პორნოგრაფიული პასაჟების არსებობა დაანამდვილა. ვლადიმირ სოროკინს სისხლის სამართლის კოდექსის 242-ე მუხლის მიხედვით (პორნოგრაფიული მასალებისა ან საგნების უკანონო გავრცელება) ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ფაქტს წინ უძღოდა "ერთად მოსიარულეთა" ივნისის აქციები. აქციის მონაწილე რეზინის ხელთათმნიანი ახალგაზრდები სოროკინის წიგნებს ფხრეწდნენ და ნაფლეთებს კულტურის სამინისტროს შესასვლელთან აწყობდნენ. სოროკინი და გამომცემლობა Ad Marginem-ი საქმის აღძვრას აქეთ ვარაუდობდნენ – წიგნების განადგურებისათვის; თუმცა საქმის ასეთნაირად შემობრუნება სოროკინისთვის, როგორც ჩანს, მთლად მოულოდნელი არ ყოფილა: ჩვენ ხომ ალოგიკურ ქვეყანაში ვცხოვრობთო, - განმარტავს მწერალი. გამომცემლობის დირექტორს კი დღევანდელი ვითარება 70-იან წლებს აგონებს – პოლიტიკაში ხმაურიანი მოვლენები აღარ ხდება და ეს დისკომფორტი ლიტერატურამ შეავსოო. (დასტყობია პუტინის ხელი რუსულ პოლიტიკას!)

შეიძლება ითქვას, სოროკინი ელოდა კიდეც ამგვარ რეაქციას. ეს ერთგვარი გამოწვევა იყო და მწერალმა შედეგიც მიიღო. და მაინც, რა დაწერა სოროკინმა ასეთი? – ნაბოკოვისაგან, სოლოგუბისაგან ესოდენ განსხვავებული? - ნაწარმოები პოლიტიკურ (და ხელოვნების) მოღვაწეთა ცხოვრებაზე მოგვითხრობს (სტალინი, ხრუშჩოვი, ახმატოვა). ამ ცნობილ პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ ფიგურათა ურთიერთობა პლატონური "ნადიმის" წაღმართი და უკუღმართი ეროტიკითაა გაზავებული. რა მიზანი ჰქონდა მწერალს, ვერ გეტყვით, მკითხველთა ერთმა ნაწილმა კი, როგორც ვნახეთ, რომანი არ მიიღო. შეიძლება, ეს აჟიოტაჟი მწერალს გათვლილიც ჰქონდა.

რუსეთში რომანმა არაერთგვაროვანი გამოხმაურება პოვა. ცნობილი მწერალი ვასილი აქსიონოვი ქუჩის საპროტესტო აქციებს შიზოფრენიის გამოხატულებად მიიჩნევს. აქსიონოვი კრიტიკულად აფასებს სოროკინის თხზულებას, და სხვათა შორის, იმასაც დასძენს, რომ "პორნოგრაფია ცდუნებაა, სოროკინი კი სექსის მიმართ ზიზღს აღგვიძრავს". ომბუდსმენი ოლეგ მირონოვი ნაწარმოებში წმინდა წყლის პორნოგრაფიას ხედავს და კრიტიკულადაცაა განწყობილი, მაგრამ გადაჭრით აცხადებს, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრით პრობლემას ვერ მოევლება. მირონოვი საკითხს ასეთნაირად აყენებს, მწერალმა მარადიული თემები თუ ფასეულობები უნდა აირჩიოს და არა რაღაც მიუღებელი სცენები აღწეროსო. მართალია, მწერალს ვერ დაუწესებ, რაზე უნდა წეროს, მაგრამ ამ შემთხვევაში ომბუდსმენმა სწორად დასვა აქცენტი: პორნოგრაფიული ლიტერატურა დღეს მთელ მსოფლიოში ჭარბადაა. თანამედროვე ეპოქა პორნოგრაფიის ეპოქაა, სადაც საიდუმლო, რომელიც სიშიშვლეს ახლავს, გაცხადებულია, ზედაპირზეა ამოსული, - ამბობს მწერალი ჟან ბოდრიარი. პორნოგრაფია ამ სიტყვის გაჩენიდან დღემდე გარყვნილებაზე წერას ნიშნავს (ბერძნული pornos – გარყვნილება, grapho – ვწერ). არა მგონია, რომ ლიტერატურის მიზანი გარყვნილებისა და უხამსობის აღწერა იყოს; მწერალმა სიყვარული უნდა აღწეროს და არა "პორნოსი" და თუ სიყვარულს აღწერს და "პორნოსი" გამოსდის, ეს მისი პირადი პრობლემაა. თუმცა, როგორიც მწერალი იქნება, წამკითხველიც ისეთი ეყოლება: აი, მაგალითად, ვასიას "ინტერნეტიდან" მოსწონს პორნოგრაფიული ლიტერატურა და მისი ხარბი გული პორნოგრაფიული პასაჟების უფრო მეტ დოზას ითხოვს: "მაგარია, მაგრამ უფრო მეტი პორნოსცენა უნდა ყოფილიყო, უფრო მეტი სადიზმი..." მაგრამ ეს რაოდენობრიობა ლიტერატურის თვისობრიობას ბევრს ვერაფერს შემატებს და თუ 21-ე საუკუნე მართლაც პორნოგრაფიის ეპოქაა, ეტყობა, რომ ამ საუკუნეს (და, ბუნებრივია, ამ საუკუნის ქართველ ბინადარსაც) უკვე ძალიან უჭირს. ამ გლობალური გაჭირვების მაუწყებელი სიგნალი ქართულ პოეზიაში კარგა ხანია გაისმა და ყველაფერი ოპტიმისტურად გადაწყდა:

SOS (კაცი)!
SOS (ქალი)!
SOS (კაცი)!
SOS (ქალი)!
მადლობა ღმერთს, ორივე
არის ჯერაც ცოცხალი!
(ტ. ჭანტურია)

**P.S. ვიღაც შეეცდება რუსეთში სოროკინის წიგნის ანათემის ფაქტს ქართულ სინამდვილესთანაც მოუძებნოს პარალელი და ჩვენში ლაშა ბუღაძის მოთხრობის, "პირველი რუსის" ირგვლივ ამტყდარი აჟიოტაჟი გაიხსენოს. ვფიქრობ, რომ ასეთი პარალელი არაკორექტული იქნება. ზოგადად, აქ ალბათ შემოქმედის უფლებისა და პასუხისმგებლობის საკითხი დგას, რაც ყველა დროში და ყველა ქვეყანაში განსხვავებულად წყდება.**


ვლადიმირ სოროკინი

ფეხბურთი

# გოლების წვიმა ქუთაისში

## "სპარტა" ხუთიდან ხუთივეს გაგიტანთ"

თეიმურაზ ფირცხალავა

სპეციალურად "24 საათისთვის" ქუთაისიდან

ქუთაისი. "ტორპედოს" სტადიონი. 8 000 მაყურებელი
**"ტორპედო"(ქუთაისი) 5**
**"ბ36"(ტორსჰავენი, ფარერები) 2**

**"ტორპედო":** *სტურუა, იონანიძე, მახვილაძე, ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი(დ.ჯანაშია 65), ქუთათელაძე(პოროშინი55), ჭელიძე, გუჩუა(გამეზარდაშვილი46), ასათიანი, აკოფიანი.*

**"ბ 36":** *ტორგარდი, დანიელსენი, ფლორესენი, კლემენტსენი(ტსკორინი89), იონსონი, ებორგი, პეტერსენი, ალაკჯუნი(87), მორტანსონი, ზახარიასენი, მატრასი(იაკობსენი69).*

**მსაჯი:** *ქორი რიჩარდსი(უელსი)*

**გოლები:** *1-0 ასათიანი(14წთ.), 2-0 იონანიძე(34), 3-0 ასათიანი(46), 3-1 ლაკუნი(53), 4-1 კვეტენაძე(67), 5-1 პოროშინი(72), 5-2 მორტანსონი(75).*

**გაფრთხილება:** *გუჩუა, კლემენტსენი.*

გულშემატკივრები ქართველი ფეხბურთელებისაგან არცთუ ისე ძლიერ სამოყვარულო გუნდთან იოლ გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, დღეს სუსტი მეტოქე ფაქტიურად არ არსებობს და ნებისმიერ გუნდს შეუძლია ბოლომდე ბრძოლა, რაც ნაწილობრივ დაამტკიცეს კიდეც ტორპედოელთა დღევანდელმა მეტოქეებმა, არადა მატჩის დასაწყისი ცუდს არაფერს უქადდა მასპინძლებს. ისინი თავიდანვე აქტიურად გადავიდნენ შეტევაზე და რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნაც მოახერხეს, თუმცა დასკვნით ფაზაში წინა ხაზის მოთამაშეები სცოდავდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ასათიანი, რომლის შეჩერებასაც სტუმრები ვერ ახერხებდნენ და ანგარიშიც სწორედ მან გახსნა მშვენიერი შორეული დარტყმით. მასპინძელთა შეტევები არც ამის შემდეგ ჩამცხრალა, თუმცა პირველ ნახევარში კიდევ ერთი გოლი გავიდა და ისიც სტუმართა კარში, მაგრამ თავის გამოჩენა სტუმრებსაც შეეძლოთ, როდესაც მათ მასპინძელთა დაცვის ძალზე ხშირ პოზიციურ შეცდომათაგან ერთის გამოყენება სცადეს. ჯერ მეკარემ იმარჯვა, შემდეგ კი მასპინძლებს მხსნელად ძელი მოევლინათ.

მეორე ნახევარში, შეიძლება ითქვას, გოლების წვიმა ვიხილეთ. პირველივე წუთებზე ასათიანის მორიგ დრიბლინგს მესამე გოლი მოჰყვა და ტორპედოელებიც ერთიანად მოეშვნენ, იოლი გამარჯვების იმედად აქცენტი მთლიანად შეტევაზე გადაიტანეს და სწორედ აქ დაუშვეს შეცდომა, სტუმართა კონტრშეტევა გამოეპარათ და შედეგად გოლიც გაუშვეს. ეს ცივი შხაპის გადასხმას ჰგავდა, დაიბნენ კიდეც, მაგრამ კვეტენაძის 35 მეტრიდან დარტყმული ბურთი ცხრიანში აღმოჩნდა და მასპინძლები კვლავ დიდი ანგარიშით დაწინაურდნენ.

*"24 საათის" კითხვებს პასუხობენ გუნდების მწვრთნელები:*

**პიოტრ კრაკოვსკი** ("ბ-36").

- როგორ შეაფასებთ დღევანდელი მატჩის შედეგს?

**- რა კმაყოფილება უნდა გამოვთქვა, როდესაც გუნდი დიდი ანგარიშით აგებს. სანამ ქუთაისში სათამაშოდ ჩამოვიდოდით, ვეცადე წინა წელს დანიურ "კოპენჰაგენთან" გამართული მატჩის ვიდეოფირი მომეპოვებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე და ფაქტიურად უცნობ გუნთან მოგვიწია თამაში.**

- განმეორებით მატჩში რა მიზანს დაისახავთ?

**- არ იფიქროთ თითქოს მოედანზე მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გამოვალთ. შემდეგ მატჩში დაგვემატება ორი წამყვანი ფეხბურთელი, კრისტიან ჰანსენი, რომელიც ფარერების ნაკრებში ირიცხება და დი სანდო. ისინი საკმაოდ გააძლიერებენ ჩვენი გუნდის პოტენციალს.**

- თქვენ ფიქრობთ, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლას შეძლებთ?

**- რატომაც არა. შინაური გარემო, კლიმატური პირობები, ყოველივე ხომ ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს. ვერცერთი ნაკრები ვერ ახერხებს შინაურ კედლებში ჩვენს იოლად დამარცხებას. ასე რომ, ჩათვალეთ, ძალიან გაგიჭირდებათ.**

- მეტოქე გუნდზე რას იტყვით?

**- კარგი გუნდია, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს. ჩვენგან განსხვავებით, პროფესიონალები არიან და უფრო მეტი მოეთხოვებათ. აქვე ერთს დავამატებ: მათი დაცვის ხაზი ძალზე სუსტია. თუ ისეთი გუნდი, როგორც ჩვენ ვართ, შექმნილი სამი მომენტიდან ორს გამოიყენებს, მაშინ "სპარტა" ხუთიდან ხუთივეს გაგიტანთ.**

- რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით მასპიძელთაგან?

**- ნომერ 20-ს** (ასათიანი).

**ალექსანდრ შტელინი** ("ტორპედო").

- როგორ ფიქრობთ, დღეს მატჩზე სპარტას დამკვირვებლების ყოფნის გამო ტორპედომ ძალები ხომ არ დაზოგა?

**- თქვენი ასეთი შეკითხვა ერთგვარად შვებას მოჰგვრის ჩემს ფეხბურთელებს , მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ძნელია, იფიქრო მომავალ მეტოქეზე, როდესაც ჯერ ერთი ბარიერი არ გადაგილახავს. არც ის შეიძლება ითქვას, თითქოს ისინი დაიღალნენ. მათ ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ მეტოქის სისუსტემ ბოლომდე დახარჯვის ხალისი დააკარგვინათ.**

- როგორ ფიქრობთ შესძლებთ ამ ბარიერის გადალახვას?

**- არა მგონია, ისეთი ანგარიშით დავმარცხდეთ, რომ შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდეთ. თუმცა, გატანილი ორი გოლი ცოტა ხმამაღლა საუბრის უფლებას კი აძლევთ.**

- დაცვის ასეთი ხაზით ჩეხებთან მატჩში ალბათ გავნადგურდებით...

**- ამ თემაზე წინასწარ საუბარი არ მინდა, თუმცა ერთს კი გეტყვით, არა მარტო დაცვის ხაზი, შემადგენლობაც გადახალისდება.**

- დიდავაზე რას იტყვით?

**- მიმდინარებს მოლაპარაკება "მაქაბისთან" და ერთს გეტყვით: 99 პროცენტით გივი ტორპედოელი გახდება.**



*თამაშის მომენტი*

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის დანარჩენი შეხვედრების შედეგები:

| | |
|---|---|
| სკონტო (ლატ.) - ბარი ტაუნი (უელსი) | 5:0 |
| ტამპერე (ფინ.) - პიუნიკი (სომხეთი) | 0:4 |
| კაუნასი (ლიტვა) - დინამო (ალბანეთი) | 2:3 |
| ჰიბერნიანსი (მალტა) - შელბურნი (ირ.) | 2:2 |
| შერიფი (მოლდ.) - ჟენისი (ყაზახეთი) | 2:1 |
| დუდლანჟი (ლუქ.) - ვარდარი (მაკ.) | 1:1 |
| ჟელიეჟნიცერი (ბოს.) - აკრანესი (ისლ.) | 3:0 |
| ფლორა (ესტ.) - აპოელი (კვიპროსი) | 0:0 |
| პორტადაუნი (ჩრ. ირლ.) - ბობრუისკი (ბელორუსი) | 0:0 |

# ტესტ-მატჩების კიდევ ერთი მსხვერპლი

ორი დღის წინ მიუნხენის "ბაიერნს" პარაგვაელი ფორვარდი როკე სანტა კრუსი დაიმტვრა ამხანაგურ მატჩში. გუშინ კი იგივე დაემართა დორტმუნდის "ბორუსიას" ბრაზილიელ ევერტონს.

გერმანიის ჩემპიონი მომავალი სეზონისთვის ემზადება და დორტმუნდელთა თავკაცი მატიას ზამერი მაქსიმალურად ცდილობს, გუნდი სრულ მზადყოფნაში შეხვდეს 9 აგვისტოს, როცა "ბორუსია" ბერლინის "ჰერტას" დაუპირისპირდება. ევერტონმა "ლაიფციგთან" მატჩში საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და მოსალოდნელია, რომ კრისტიან ვიორნსთან და მარსიო ამორუზოსთან ერთად ვერც მან შეძლოს ბერლინელთა წინააღმდეგ თამაში.

# "იუვეს" ნაცვლად "ბენფიკაში"

პორტუგალიური "ბოავიშტას" 25 წლის ნახევარმცველმა არმანდო პეტიტმა გასულ სეზონში ისეთი კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რომ მისით თვით ტურინის "იუვენტუსი" დაინტერესდა. თითქოს პეტიტის მომავალი იტალიის ჩემპიონატს უნდა დაკავშირებოდა, მაგრამ, სხვა იტალიელ გრანდთა მსგავსად, "იუვეც" ფინანსურ კრიზისს განიცდის, რის გამოც არაერთ სატრანსფერო სურვილზე უარი თქვა.

და რაკი "ბებერი სენიორა" პეტიტს ვერ ყიდულობს, ფეხბურთელმა ამჯობინა, ისევ პორტუგალიაში დარჩენილიყო, ოღონდ, ამჯერად "ბოავიშტას" კი არა, "ბენფიკას" ღირსებას დაიცავს.

# იანკერის საშველი არ არის

მიუხედავად იმისა, რომ როკე სანტა კრუსი მძიმედ დაშავდა და "ბაიერნს" კარგა ხანს ვერ დაეხმარება, ოტმარ ჰიტცფელდი მაინც თავის სიტყვაზე დგას და კარსტენ იანკერის კლუბში დატოვებას აღარ აპირებს. სანტა კრუსის ტრავმა ჰიტცფელდს არ აშინებს და აცხადებს, რომ პარაგვაელის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში პერუელი კლაუდიო პისარო ითამაშებს. იანკერს კი ბავარიელები აუცილებლად გაყიდიან.

27 წლის ათლეტური აღნაგობის ფორვარდის შეძენა იტალიურ "უდინეზესა" და თურქულ "გალათასარაის" სურთ, თუმცა, ჯერჯერობით ფასზე ვერ შეთანხმდნენ გერმანელებთან.

# მალდინი ყოყმანობს

"სკუადრა აძურას" აბსოლუტურ რეკორდსმენს პაოლო მალდინის ვერ გადაუწყვეტია, დატოვოს თუ არა ეროვნული ნაკრები. მალდინის "სკუადრა აძურას" მაისურით 126 მატჩი აქვს ჩატარებული. მან მუნდიალის ფინალურ სტადიებზე 2217 წუთი დაჰყო მინდორზე, რაც იტალიაში საუკეთესო შედეგია.

ჰოდა, რეკორდსმენი კაპიტანი წასვლა-არწასვლის პრობლემის წინაშე დგას. მალდინის ნაკრების დატოვება ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე უნდოდა, მაგრამ მერე ტრაპატონიმ უთხრა, კარგად დაფიქრდიო და ისიც ფიქრობს. მალდინის საბოლოო გადაწყვეტილება ცოტა ხანში გახდება ცნობილი.

# "რეალი" წმენდას იწყებს

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მადრიდის "რეალი" აპირებს, თავისი 32 ფეხბურთელი 25-მდე შეამციროს. "სამეფო კლუბის" მიერ ათვალწუნებულ მოთამაშეთა სიაში გუნდის 7 წევრი მოხვდა, თუმცა, კლუბის გენერალური მენეჯერი ხორხე ვალდანო მათ ვინაობას არ ასახელებს. მიუხედავად ამისა, ინფორმაციამ მაინც გაჟონა. ესენი არიან: ფლავიო კონსეისაო, სავიო (ორივე - ბრაზილია), ჯერემი (კამერუნი), ედვინ კონგო (კოლუმბია), ივან კამპო, პედრო მუნიტისი და ალბერტ სელადესი (სამივე - ესპანეთი).

ამ მოთამაშეთა თავიდან მოცილება "რეალს" ძალიან გაუჭირდება, რადგან არც ერთ მათგანს კლუბთან ხელშეკრულება არ უმთავრდება და თითოეულის კონტრაქტი საკმაოდ "ძვირფასია". მაგალითად, ფლავიო კონსეისაოს წლიური ხელფასი 1,8 მილიონ ევროს შეადგენს.

ვალდანომ აღნიშნა, რომ, ის ფეხბურთელები, რომელთა გაყიდვაც დაგეგმილია, არც მომავალი სეზონის განაცხადში იქნებიან შეყვანილი. აღნიშნულ 7 მოთამაშეს მოედანზე გასვლის უფლება ამიერიდან აღარ ექნებათ, მათ მხოლოდ ვარჯიში შეუძლიათ

# ბუნდესლიგა სამხრეთ ამერიკელებზე აკეთებს აქცენტს

ბუნდესლიგა, ალბათ, ერთადერთი ლიგაა ევროპის წამყვან ლიგებს შორის, რომელიც ფინანსურ კრიზისს გადაურჩა. მართალი იყო მიუნხენის "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი კარლ ჰაინც რუმენიგე, როცა ამბობდა, რომ გერმანიის პირველობა ყველაზე ჯანსაღია მთელ კონტინენტზე. "ასტრონომიული სატრანსფერო თანხები მძიმე შედეგს გამოიღებს. იტალიაში, ესპანეთსა და ინგლისში, შესაძლოა, მძიმე კრიზისი დაიწყოს, რადგან ასე ველარ გაგრძელდება. ბუნდესლიგა კი ისევ ისეთი ჯანსალი დარჩება, როგორიც იყო," – ამბობდა რუმენიგე.

წინასწარმეტყველება ახდა: იტალიისა და ესპანეთის კლუბები უმძიმეს ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდნენ ("24 საათი" იუწყებოდა), არასახარბიელო მდგომარეობაა ინგლისურ პრემიერ ლიგაშიც. ბუნდესლიგაში კი ყველაფერი ძველებურადაა. გერმანელები წარმატებით ახორციელებენ ახალ-ახალ ტრანსფერებს. მაშინ, როდესაც იატლიური და ესპანური კლუბები, უფულობის გამო, იძულებული არიან, უარი თქვან სასურველ ფეხბურთელებზე, გერმანული კლუბები ყოველდღიურად ძლიერდებიან.

ბუნდესლიგაში, რომელიც თავის მორიგ სტარტს 9 აგვისტოს აიღებს, სულ უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნილება სამხრეთამერიკელ ფეხბურთელებზე. "ლევერკუზენი" არ არღვევს ტრადიციას და გუნდს კვლავ ბრაზილიელებით აძლიერებს. "დორტმუნდმა" და "ჰამბურგმა" თავიანთ რიგებში რამდენიმე არგენტინელს უხმეს.

### ფრანკასგან ფურორს ელიან

ბრაზილიელების გარდა, ლევერკუზენის "ბაიერმა" რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელიც შეიძინა. გუნდს შეუერთდნენ: იან სიმაკი, ჰანო ბალიჩი, კრისტოფ პროისი და დანიელ ბიეროფკა. ბრაზილიელები და ახალგაზრდა ბუნდესლიგელები - ერთი შეხედვით, კარგი ნაზავი უნდა იყოს. მაგრამ ჯერ არავინ იცის, შეძლებენ თუ არა ახალგადმოსული ფეხბურთელები კლუბის დანაკლისის სრულფასოვნად შევსებას. ზე რობერტოსა და ბალაკის სახით გუნდი ორმა მაღალი კლასის მოთამაშემ დატოვა. მომავალ სეზონში "ლევერკუზენის" დებიუტანტებმა უნდა დაამტკიცონ, რომ წინამორბედებს არ ჩამოუვარდებიან.

ყველაზე დიდ იმედს ბრაზილიელ ფრანკაზე ამყარებენ. "ბაიერმა" ეს ფეხბურთელი "სან-პაულოდან" გადმოიყვანა. "ფრანკა ნამდვილი გოლეადორია, ამავე დროს, ის მთელს მოედანს მოიცავს და შეტევების წამოწყებაშიც იღებს მონაწილეობას. ასეთი ფეხბურთელები იშვიათად გვხვდებიან. ფრანკას ყოველთვის შესწევს უნარი, ერთბაშად რამდენიმე გოლი გაიტანოს," – ამბობს "ბაიერის" ახლად დანიშნული მენეჯერი ილია კენციგი, რომელმაც ბრაზილიელის ტრანსფერში უშუალო მონაწილეობა მიიღო.

### "ის ბრაზილიის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია"

26 წლის ფრანკას სანაცვლოდ "ლევერკუზენმა" 8,5 მილიონი ევრო გაიღო. "ის შესანიშნავი ფეხბურთელია. ფრანკა ბრაზილიის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო, რომ ის მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანეს", - ამბობს ბუნდესლიგის ერთ-ერთი სკაუტი, რომელიც უშუალოდ სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მოღვაწეობს და თავის კარტოთეკაში 5000-ზე მეტი ფეხბურთელის მონაცემები აქვს შეტანილი.

ცოტა ხნის წინათ ფრანკამ მძიმე ტრავმა გადაიტანა, რის გამოც ფიზიკური კონდიციის რეაბილიტაცია ესაჭიროება. მენეჯერ კენციგისთვის ეს არავითარი პრობლემა არ არის. მას არ სჯერა, რომ, მრავალი ბრაზილიელი ფეხბურთელის მსგავსად, ფრანკას აკლიმატიზაციას დიდი დრო დასჭირდება: "დარწმუნებული ვარ, რომ ის ძალიან მოკლე ხანში გაივლის ადაპტაციას."



*ფრანკასგან (მარცხნივ) ბუნდესლიგაში ფურორს ელიან* ИТАР-ТАСС

### კენციგს ჟუანის იმედიც აქვს

ფრანკასთან ერთად, "ლევერკუზენმა" კიდევ ერთი ბრაზილიელი შეიძინა: რიო-დე-ჟანეიროს "ფლამენგოს" მცველი ჟუანი. ილია კენციგს ამ ფეხბურთელის დიდი იმედი აქვს: "ჟუანი აგრესიული, ხისტი მცველია. მას საუკეთესო ტექნიკა აქვს და მოედანს კარგად ხედავს. გარდა ამისა, ბევრი გოლი გააქვს, უმეტესად - თავით." ერთადერთი პრობლემა ჟუანის არცთუ ისე ძლიერი ფიზიკური მონაცემებია - უხეშ ორთაბრძოლებში ის ხშირად მარცხდება. "ლევერკუზენის" ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ბრაზილიელი მცველი გუნდში წამყვან როლს შეასრულებს. გაურკვეველი მხოლოდ ის არის, თუ რა დრო დასჭირდება ამას.

### "ჰამბურგის" არგენტინული სამკუთხედი

"ჰამბურგი" ახლად შეძენილ არგენტინელ კრისტიან რაულ ლადესმაზე დიდ იმედს ამყარებს. "რივერ პლეიტის" ნახევარმცველმა გერმანულ კლუბთან 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მის სანაცვლოდ "რივერ პლეიტმა" 3,5 მილიონი ევრო მიიღო.

"არგენტინაში დიდ წარმატებებს მივაღწიე, რომელთა გამეორება "ჰამბურგშიც" მსურს. ჩემი ახალი კლუბი ევროპაში ნაცნობი მისამართია. გუნდს დიდი ტრადიციები აქვს და ევროპულ ელიტას განეკუთვნება," – განაცხადა ლადესმამ კონტრაქტის გაფორმებისას. "ის შემტევი სტილის ფეხბურთელია. შესაძლოა, ჩვენს კლუბში არგენტინელთა "მაგიური სამკუთხედი" შეიკრას: კარდოზო და ლადესმა ნახევარდაცვაში და რომეო თავდასხმაში," – ამბობს ჰამბურგელთა სპორტული დირექტორი ჰოლგერ იერონიმუსი.

### "დორტმუნდი" თავის მომავალს ფერნანდესით გეგმავს

დორტმუნდის "ბორუსიას" ახალი შენაძენი, არგენტინელი მცველი ფერნანდესი ჯერ მხოლოდ 22 წლისაა. გერმანელებმა ეს ფეხბურთელი არგენტინული "ესტუდიანტეს დე ლა პლატადან" გადმოიყვანეს 1,5 მილიონ ევროს სანაცვლოდ. "დორტმუნდის" მენეჯერი მიხაელ მაიერი თვლის, რომ "ფერნანდესი ყველა ასპექტში წაადგება გუნდს."

თავის ახალ შენაძენს მიხაელ მაიერი ასე ახასიათებს: "ის ძალიან ხშირად ერთვება შეტევაში. ჩვენ ის შევიძინეთ, რათა გავზარდოთ და სრულყოფილ ფეხბურთელად ჩამოვაყალიბოთ. ჯერჯერობით ფერნანდესი დიდად ვერ გააძლიერებს გუნდს, მაგრამ მას უდიდესი პოტენციალი აქვს და მომავალში აუცილებლად გამოგვადგება."

ფერნანდესის მთავარი ღირსება შეტევაში ძლიერი თამაშია. ის მხოლოდ 173 სმ. სიმაღლისაა, რის გამოც "იჩაგრება" ორთაბრძოლებში და თავით თამაშისას. არგენტინაში მას "Murcielago"-ს ეძახიან, რაც ღამურას ნიშნავს...

სკანდალი

# აივერსონი პოლიციაში გამოცხადდა

ალენ აივერსონი, ქალაქ ფილადელფიას ყველაზე ცნობილი სპორტსმენი, მის ირგვლივ ატეხილი სკანდალის მეცამეტე დღეს პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა.

გაზეთი "24 საათი" წერდა, რომ მეუღლის საძიებლად გამოსული ალენ აივერსონი ნათესავის ბინაში შეიჭრა და იქ მყოფთ ცეცხლსასროლი იარაღით ემუქრებოდა. კალათბურთელს ბრალად ედება ბინაში უკანონო შეჭრა, ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება და ა.შ. 12 ივლისს პოლიციამ აივერსონს შინაპატიმრობა მიუსაჯა.

სამშაბათს, დილის 5 საათზე კალათბურთელი და მისი ადვოკატი პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდნენ. ასეთი ადრეული დრო ჟურნალისტებთან შეხვედრის თავიდან აცილების მიზნით შეარჩიეს. თუმცა, ამ გეგმამ შედეგი არ გამოიღო. აივერსონის 2,5 მილიონ დოლარად შეფასებული ვილის ჭიშკართან დილის 5 საათზეც უამრავი ჟურნალისტი და გულშემატკივარი იმყოფებოდა.

პოლიციის განყოფილებაში მისულმა აივერსონმა დანაშაული არ აღიარა. სამართალდამცავებმა კალათბურთელის თითის ანაბეჭდები აიღეს და ფოტოსურათები გადაუღეს.

ამის შემდეგ პოლიცია აივერსონის საქმეს სასამართლოს გადააბარებს, რომლის წინაშე კალათბურთელი მომავალ კვირას წარსდგება.



ალან აივერსონი - პოლიციის დოსიე
REUTERS

Formula 1

# რალფ შუმახერის ინგლისური პრობლემები

ნინო პირველი

სანამ მთელი მსოფლიო მიხაელ შუმახერს ხოტბა-დიდებას ასხამს და მის ყოველ წარმატებას ტრიუმფით აღნიშნავს, ბრიტანული პრესა "შუმის" უმცროს ძმას, "უილიამსის" ახალგაზრდა პილოტს, რალფს, შეუბრალებლად აკრიტიკებს.

ძნელი სათქმელია, რას ერჩიან ინგლისელები რალფს. შეიძლება იმის გამო ბრაზობენ, რომ რალფი მიხაელს ვერ ჯობნის და გამარჯვებულის გვირგვინი მუდამ იტალიურ "ფერარის" რჩება. ან იქნებ ის აღიზიანებთ, რომ თავად არ ჰყავთ რალფის მსგავსი ნიჭიერი პილოტი და იძულებულნი არიან, უცხოელთა მეშვეობით იბრძოლონ პირველობისთვის. ანდა, იქნებ სულაც რალფის გერმანელობა არ მოსწონთ...

მოკლედ, ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ რალფი გამუდმებით კრიტიკის ქარცეცხლშია და ბრიტანელთა გამოხდომებს უკვე ვეღარ იტანს. "ვინც უნდა ყოფილიყო ჩემი პარტნიორი - ჯანკარლო ფიზიკელა, დეიმონ ჰილი, ალექს ძანარდი თუ ხუან პაბლო მონტოია, ბრიტანელი ჟურნალისტები მათ მუდამ ჩემზე წინ აყენებდნენ და მიაჩნდათ, რომ ისინი ტალანტები არიან, მე კი - არარაობა. რა გინდათ ჩემგან? ალბათ, იმიტომ ბრაზობთ, რომ არ გყავთ ნამდვილი ჩემპიონი, ის, ვისი წარმატებებითაც აღფრთოვანდებოდით", - მიმართავს აღშფოთებული რალფი ბრიტანულ "რესინგ მეგეზინს", რომელმაც უმცროსი შუმახერი ყველაზე დაუნდობლად გააკრიტიკა.

გერმანელებსა და ინგლისელებს სპორტულ სამყაროში ერთმანეთთან ნამდვილი ომი აქვთ გამოცხადებული. დაძაბულობა ყველაზე მეტად გამწვავდა ფეხბურთში - გერმანული და ბრიტანული კლუბებისა თუ ნაკრებების დაპირისპირება ყოველთვის მძაფრი დრამატიზმით გამოირჩევა. წლეულს გერმანელებმა ყოველმხრივ დაჩაგრეს ბრიტანელები. ინგლისური ფეხბურთის სიამაყე "მანჩესტერ იუნაიტედი", ყველასთვის მოულოდნელად, ჩემპიონთა ლიგიდან მსოფლიო საფეხბურთო სამყაროსთვის ნაკლებად ცნობილმა ლევერკუზენის "ბაიერმა" გამოაგდო, მუნდიალზე კი გერმანელები ფინალში გავიდნენ, მაშინ, როცა ინგლისელები მეოთხედფინალს ვერ გასცდნენ. მუნდიალის შემდეგ სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა და გასაკვირი სულაც არ იქნება, თუ "ტოტენჰემისა" და "ლივერპულის" გერმანელები დიტმარ ჰამანი, მარკუს ბაბელი და კრისტიან ციგე ინგლისში მალე "პერსონა ნონ გრატად" იქცევიან. ასეთ დღეშია რალფ შუმახერიც.

რას არ მიმართავენ ინგლისელები მის დასამცირებლად. უმცროსი "შუმი" ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, ჟურნალისტები სულ იმის ცდაში არიან, რალფი როგორმე რაიმე სკანდალში გამოიჭირონ. მათი შიშით, რალფს ქალთან ვეღარ გაუვლია - ზნეობის მკაცრად დამცველი ბრიტანელები მაშინვე განგაშს ტეხენ. ასე, მაგალითად, პაპარაცები უხეშად ჩაერივნენ რალფის პირად ცხოვრებაში და სპორტსმენს ერთ-ერთი ბრიტანელი მოკრივის "გერლფრენდთან" არშიყობა დააბრალეს. რალფს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ სხვის მეგობარ ქალთან ფლირტი არც უფიქრია.

რალფი ბრაზობს, მაგრამ მის პროტესტს არავითარი შედეგი არ მოაქვს. ინგლისელებს ხომ ვერავინ დაარწმუნებს იმაში, რომ გერმანელის გაკრიტიკებისგან თავი უნდა შეიკავონ. უმცროს შუმახერს მხოლოდ მშობლიური ყვითელი პრესა უჭერს მხარს და აგულიანებს - არაფერი დაუთმოს გათავხედებულ ბრიტანელ ჟურნალისტებს.

კრივი

# ვიტალი კლიჩკო: "მე კვლავ გავხდები ჩემპიონი!"

ვიტალი კლიჩკოს იღბალი არ სწყალობს. უკანასკნელი 2 წლის მანძილზე უკრაინელმა მოკრივემ სამი მძიმე ტრავმა გადაიტანა. მხრის ტრავმის გამო მან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც (WBO-ს ვერსიით) კი დაკარგა კრის ბოიდის წინააღმდეგ ორთაბრძოლაში.

სულ ცოტა ხნის წინათ WBC-მ ვიტალი კლიჩკო მსოფლიოს ორმაგი ჩემპიონის ლენოქს ლუისის ოფიციალურ გამომწვევად დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ ლუისი კლიჩკოსთან შეხვედრას დროის უქმ კარგვად მიიჩნევდა, ბრძოლა მაინც შედგებოდა, რომ არა კიდევ ერთი ტრავმა: კლიჩკოს კვლავ ქირურგების დახმარება დასჭირდა. ოპერაციამ კარგად ჩაიარა, თუმცა, უკრაინელს ხანგრძლივი შესვენება ელის.

მიუხედავად უიღბლობისა, 30 წლის კლიჩკო არ ნებდება და რინგზე დაბრუნებას მოუთმენლად ელის. "სამი-ოთხი კვირის მანძილზე დავისვენებ, შემდეგ კი მთელი დატვირთვით ვარჯიშს შევუდგები," – განაცხადა მოკრივემ.

მომავალ შაბათს კლიჩკოს და ლარი დონალდის ორთაბრძოლა იყო დაგეგმილი. ცხადია, ის უნდა გადაიდოს. კრივის პრომოუტერის კლაუს-პეტერ კოლის თქმით, ბრძოლა სავარაუდოდ, სამი-ოთხი თვის შემდეგ ჩატარდება.

კლიჩკოს დიდი გეგმები აქვს. "იმედი მაქვს, რომ ამ იძულებითი პაუზის მიუხედავად ლენოქს ლუისის ოფიციალურ გამომწვევად დამტოვებენ," – ამბობს იგი.

ლუისის კრივიდან წასვლის შემდეგ კი უკრაინელი ევანდერ ჰოლიფილდთან შეხვედრას გეგმავს.

მხარზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ მრავალი ადამიანი თვლიდა, რომ 2,02-მეტრიანი უკრაინელი გოლიათი რინგზე ვეღარ დაბრუნდებოდა. მაგრამ კლიჩკო ჭორებს უარყოფს: "ამის შესახებ თავად წავიკითხე პრესაში და გულიანად ვიცინე. ბევრს სურს, რომ ჩემს კარიერას წერტილი დაუსვას, მაგრამ საამისოდ ჯერ ძალიან ადრეა".

ვიტალის მხარს უჭერს მისი ძმა ვლადიმერიც, რომელიც ოპერაციასაც კი დაესწრო, რათა ძმის გვერდით ყოფილიყო. ვლადიმერი ამბობს: "დარწმუნებული ვარ, რომ ვიტალი ჩემპიონის ქამარს დაიბრუნებს. მას უდიდესი მებრძოლი სული აქვს."

თავად ვიტალი კლიჩკო კი პირობას დებს: "ჩემს ყველა გულშემატკივარს ვპირდები, რომ კვლავ გავხდები მსოფლიოს ჩემპიონი. კლიჩკო კი თავის პირობას ასრულებს."


ვიტალი კლიჩკო
REUTERS

ველოსპორტი

# არმსტრონგი 2004 წელს კარიერას ამთავრებს

როგორც ჩანს, ველოსპორტში კარიერის დამთავრება მოდური ხდება. სახელოვანმა ფრანგმა ველომრბოლელმა ლორან ჟალაბერმა განაცხადა, რომ ეს სეზონი მისთვის ბოლო იქნება. პარადოქსია, მაგრამ 33 წლის სპორტსმენმა წასვლა მაშინ გადაწყვიტა, როცა უმაღლეს დონეზე ასპარეზობა კიდევ შეეძლო.

ამავე აზრზეა "ტურ დე ფრანსის" სამგზის ტრიუმფატორი, ამერიკელი ლენს არმსტრონგი, მაგრამ ამერიკელს კარიერის დამთავრება მაჟორულ ნოტაზე განუზრახავს. "კარგი იქნებოდა სპორტიდან 2004 წელს წავსულიყავი, როცა მეექვსედ მოვიგებდი "ტურ დე ფრანსს", რაც დღემდე მიუღწეველი შედეგია" – განაცხადა არმსტრონგმა.

ამჟამად, მიმდინარე "ტურზე", არმსტრონგი მეორე ადგილზე იმყოფება, მაგრამ მთის ეტაპები ჯერ არ დაწყებულა, სადაც ამერიკელს ბადალი არ ჰყავს. ამასთან, ჟურნალისტებთან საუბარში არმსტრონგმა აღიარა, რომ საწვრთნელი შეკრებები და რბოლები მას ფსიქოლოგიურად ძალიან ღლის.

"ძალიან მენატრება ჩემი ოჯახი და ეს გრძნობა სულ უფრო ძლიერდება. საბედნიეროდ ოჯახს ესმის, რომ ეს ჩემი სამუშაოა და ამ სამუშაოსაც თავისი ჯილდოები აქვს", - განაცხადა არმსტრონგმა.


ლენს არმსტრონგი
REUTERS

კალათბურთი

## ინდიანაპოლისი დოპინგის წინააღმდეგ

29 აგვისტოს ინდიანაპოლისში სტარტს აიღებს მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში. ტურნირის მსვლელობისას ორგანიზატორებს დაგეგმილი აქვთ ანტისადოპინგო დღის ჩატარება, რომელსაც "ერთი დღე დოპინგის გარეშე" ეწოდება. ეს მოხდება 31 აგვისტოს. სწორედ ეს თარიღი გახდება კალათბურთის საერთაშორისო ასოციაციის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და მსოფლიო ანტისადოპინგო ასოციაციის მიერ წამოწყებული მასობრივი ანტისადოპინგო კამპანიის ათვლის წერტილი. 28 აგვისტოს, ინდიანაპოლისში შედგება მედიკოსთა გრანდიოზული ფორუმი, რომლის მთავარი თემა იქნება დოპინგი და მასთან ბრძოლის ახალი მეთოდების შემუშავება.

## საბონისს „ლეიკერსიც" უხმობს

ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონბისი კვლავ ყურადღების ცენტრშია. "24 საათი" უკვე იტყობინებოდა, რომ საბონისის შეძენა ესპანეთის კლუბებს, "რეალსა" და "მალაგას" სურთ. ევროპელებს გამოუჩნდათ კიდევ ერთი სერიოზული კონკურენტი. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონის, "ლოს-ანჟელეს ლეიკერსის" მესვეურები საბონისს კიდევ ერთ კონტრაქტს სთავაზობენ. ეს თითქოს გასაკვირია - "ლეიკერსის" რიგებში თამაშობს შაკილ ონილი. სწორედ ონილის ტრავმებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, გაუთავებელი პრობლემების გამო წამოიწია საბონისის კანდიდატურა. აღსანიშნავია, რომ კალიფორნიელები უკვე მეორედ ცდილობენ ლიტველის გადაბირებას. "ლეიკერსის" პირველი ცდა უშედეგოდ ორი წლის წინათ, საბონისისა და პორტლენდს შორის კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ დასრულდა. ლიტველმა ასოციაციაში თამაშს სამშობლოში დაბრუნება ამჯობინა. დღეს კი ფილ ჯეკსონი გაცილებით უფრო მონდომებულია. "მე ასეთი მოაზროვნე კალათბურთელი დიდი ხანია არ მინახავს. საბონისი აუცილებლად გვჭირდება. მასთან და შაკთან ერთად პრობლემები არ გვექნება," - განაცხადა ჯეკსონმა. მიუხედავად კალიფორნიელთა მონდომებისა, საბონისის შეძენის იმედს არ კარგავს ესპანეთის "მალაგა". გუნდის მწვრთნელმა განაცხადა, რომ ის მისი გუნდის დარბაზში ვარჯიშობს და საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. თავად ლიტველი კი კომენტარებისგან თავს იკავებს.

## იუინგი მწვრთნელი გახდება

"ნიუ-იორკ ნიკსის" ლეგენდარულ კალათბურთელს, პატრიკ იუინგს აღარ შეუძლია კალათბურთის თამაში... თუმცა, ვერც კალათბურთის გარეშე ძლებს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ იუინგი მწვრთნელობას აპირებს. მომდევნო თვეს ლეგენდარული კალათბურთელი 40 წლის ხდება. იგი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას რამდენიმე კლუბთან მეორე მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის თაობაზე. გავრცელდა ინფორმაცია, რომ კალათბურთელმა მიმართა თავისი კლუბის "ნიუ-იორკ ნიკსის" დირექტორატს და "ვაშინგტონ-ვიზარდსის" ხელმძღვანელობას. ამავე დროს, მისი გუნდის "ორლანდო მეჯიკის" ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ იუინგი ჯერ კიდევ კალათბურთელია და კლუბთან აკავშირებს ორწლიანი კონტრაქტი, რომელიც 4,4 მილიონი დოლარი ღირს. შარშანდელი სეზონის მიხედვით, უკვე მოვიდა იუინგის წასვლის დრო. 39 წლის კალათბურთელმა კარიერის მანძილზე უარესი სეზონი ითამაშა. საშუალოდ თითოეულ შეხვედრაში მოედანზე გატარებული დაახლოებით 14 წუთი, 6 ქულა და 4 მოხსნა იუინგისათვის სამარცხვინო შედეგია. ტრავმების გამო კი მან რეგულარული სეზონის 17 თამაში გამოტოვა და მხოლოდ ოთხჯერ(!) გამოჩნდა გუნდის სასტარტო შემადგენლობაში. ასეთი ყოფა იუინგს არ აწყობს და ნამდვილად ლახავს მის პრესტიჟს. ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია აუცილებლად გამოიყენებს იუინგის დიდ გამოცდილებას. მან 11-ჯერ მიიღო მონაწილეობა "ALL STARS"-ის შეხვედრებში და უკვე მწვრთნელის პატარა გამოცდილებაც კი გააჩნია. იუინგი პერსონალურად ავარჯიშებდა ტრეისი მაკგრეიდის, მაიკ მილერს და ორლანდოელთა ახალგაზრდა "ცენტრს" სტივ ჰანტერს.

## ფეხბურთელი NBA-ში?

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია დემოკრატიული ორგანიზაციაა. მთავარია, კალათბურთის თამაში შეგეძლოს და შენთვის ყველა კარი ღიაა. სეზონის დაწყების წინ ტრადიციულ საზაფხულო ბანაკებში საკუთარი ამბიციის დამტკიცებას შეეცდება უამრავი ახალგაზრდა კალათბურთელი. უკანასკნელ შეკრებაზე სკაუტთა დიდი მოწონება დაიმსახურა ამერიკული ფეხბურთის კლუბის "კანზას სიტი ჩიფსის" ყოფილმა მოთამაშემ, ტონი გონსალესმა. 196 სანტიმეტრი სიმაღლისა და 116 კილოგრამი წონის გონსალესმა ხუთდღიან შეკრებაზე ფურორი მოახდინა. მან "მაიამი ჰიტის" ახალგაზრდა კალათბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდში ითამაშა და 12 მოხსნა შეასრულა. მაიამელებმა, ერთი ქულის სხვაობით, 72:71 დაამარცხეს "ინდიანა პეისერსის" გუნდი. გონსალესმა შეტევაში ცუდი თამაშის მიუხედავად (მან მხოლოდ 2 ქულა მოიპოვა), მაინც მოწონება დაიმსახურა. "სიმართლე გითხრათ, შესანიშნავად გავერთე," - განაცხადა ფეხბურთელმა-კალათბურთელმა, - "მატჩის დაწყების შემდეგ მხოლოდ კალათბურთზე ვფიქრობდი."

## არტურას კარნიშოვასი კარიერას ამთავრებს

31 წლის ლიტველმა კალათბურთელმა არტურას კარნიშოვასმა სპორტული კარიერის დამთავრება გადაწყვიტა. ლიტველმა ბოლო ორი სეზონი ესპანურ "ბარსელონაში" გაატარა. "ამ გადაწყვეტილების მიღება განსაკუთრებით გამიჭირდა, რადგან სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს, როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო კარიერასთან", - ამბობს არტურას კარნიშოვასი, რომელსაც "ბარსამ" კონტრაქტი არ გაუგრძელა.

ჩოგბურთი

## მარტინა ჰინგისის დაბრუნება

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი მხოლოდ 21 წლისაა, უკვე აღმასვლაც მოასწრო და დაბლა დაშვებაც. ერთ დროს პირველი ჩოგანი, დღეს "ვაილდ კარდით" იმედოვნებს ამერიკის ღია ჩემპიონატზე მოხვედრას.

კოჭის ტრავმის გამო ჰინგისს თითქმის მთელი სეზონი გაუცდა. მდგომარეობა იმდენად სერიოზული იყო, რომ ერთხანს მარტინა სპორტიდან წასვლაზეც კი ფიქრობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩოგბურთელი უკვე ფორმაშია და თამაშის გუნებაზეც მოვიდა.

ჰინგისს თავის კარიერაში დიდი სლემის ხუთი ტურნირი აქვს მოგებული. ჩოგბურთელს იმედი აქვს, რომ მისი დაბრუნება დიდ ჩოგბურთში წარმატებული იქნება.

## სერენა საუკეთესოა

სერენა უილიამსი წელს საოცარ სეზონს ატარებს. ივლისის დასაწყისში მან სეზონის ახალი რეკორდი დაამყარა – 39 მატჩიდან 36 მოიგო. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელმა წელს დიდი შლემის ორი ტურნირი – "როლან გაროსი" და "უიმბლდონი", აგრეთვე იტალიის ღია ჩემპიონატი და სკოტსდეილისა და მაიამის ტურნირები მოიგო, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ უმცროსი უილიამსი მესამედ დაესახელებინათ თვის საუკეთესო ჩოგბურთელად.

# „ოტელო", ანუ ქართველი რეჟისორი

ღვარძლიანი პიესა



## სცენა 1

*რეპეტიციის პირველი დღე*

*რეჟისორი და მსახიობები მაგიდას უსხედან*

**რეჟისორი:** მე გადავწყვიტე, რომ დავდგა უილიამ შექსპირის, ბოდიში მომითხოვია და, "ოტელო". მოგეხსენებათ, ეს ცნობილი პიესაა. ვის აღარ უთამაშია ეჭვიანი მავრის როლი. ბავშვმაც კი იცის დეზდემონას დახრჩობის ამბავი. ამიტომ, მე გადავწყვიტე, რომ მაყურებელს სრულიად ახლებური ვერსია შევთავაზო ამ პიესისა, ანუ ჩემეული და, რა დასამალია, ჩვენეული ინტერპრეტაცია იქნება აბსოლუტურად სკანდალური და ძალიან თანამედროვე. მე მინდა დავდგა "ოტელო", მაგრამ დავამტკიცო, რომ ეს ცუდი და მოძველებული პიესაა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩვენ 100.000 დოლარს გამოგვიყოფენ, რათა შევძლოთ შექსპირის პიესის დაჩეხვა, გადაკეთება, გამართვა და, ბუნებრივია, დადგმა. შექსპირი მოძველდა. და, საერთოდ, ყველა დრამატურგიც! და ჩვენ, რეჟისორებმა და მსახიობებმა, ეს უნდა დავამტკიცოთ. ო, როგორ მეზიზღება ეს პიესა, მაგრამ მე მას დავდგამ! – გავწელავ, მოქმედებას გავაჯანჯლებ და დავღლი მაყურებელს, რათა ის ჩემსავით მიხვდეს, რომ "ოტელო" შექსპირისა – ცუდი პიესაა! (ბოღმისგან შესაძლოა გასკდეს. გაოფლიანდება.) უფ! (მიმართავს ერთ-ერთ მსახიობს) ბატონო ბენო, დავიწყოთ კითხვა.

**ბატონი ბენო:** (გადაშლის პიესას) აა... ლეპო... ში... ბე... ბე... (ვერ კითხულობს) ღ... ჭ...

**რეჟისორი:** (მიმართავს სხვა მსახიობს) ლალი, გენაცვალე, შენი როლიდან დავიწყოთ. წაიკითხეთ.

**ლალი:** (გადაშლის პიესას) ჩე... ჩემო... სი... ჯ... ყ... (კითხვა არც ამან იცის) ოო... ტელი...

**რეჟისორი:** ოტელი კი არა – ოტელო, ალბათ.

**ლალი:** აქ ასე წერია.

**რეჟისორი:** ლალი, მოიკრიბე, გაფანტული ხარ. რას ნიშნავს, "აქ ასე წერია"?!

**ლალი:** რაღაცნაირი უარყოფითი ენერგეტიკაა ამ ოთახში და ამიტომაც მიჭირს.

**რეჟისორი:** (გაიფიქრებს) ენერგეტიკა კი არა, კითხვა არ იცი, კრეტინო შენა.

**ლალი:** (მიმართავს პირველ მსახიობს) ბატონო ბენო, რაღაც აურაა, არა, შავი?

**ბატონი ბენო:** კი, კი, ასეა, ნამდვილად.

**რეჟისორი:** (მიმართავს მესამე მსახიობს) მიშიკო, შენი სცენიდან დავიწყოთ. გთხოვთ.

**მიშიკო:** (ბუნებრივია, არც ამან იცის კითხვა) ყ...გო...ბ...ბე...ბია.

**რეჟისორი:** რა შუაშია – "ბებია"?

**მიშიკო:** ასე წერია და...

**რეჟისორი:** არ მინდა, რომ წყობიდან გამოვიდე. თქვენ ხედავთ ამას. ამიტომ, დააფასეთ ჩემი მოთმინებუნარიანობა.

**ბატონი ბენო:** (რეჟისორს) ბატონო თამაზ, თქვენ მაინც სხვანაირად დადგამთ და რა საჭიროა ამის კითხვა? ტყუილა გვაწვალებთ. მოგვიყევით ორი სიტყვით, ვითამაშოთ პრემიერა და წავიდეთ მერე გასტროლებზე. რა დიდი ფილოსოფია უნდა ამას!

**ლალი:** მართალია, იცით. ასოებიდან, ყველა ამომიწყდეს, რაღაც შავი ენერგია მოდის.

**ბატონი ბენო:** ნამდვილად, ლალის ვენაცვალე, ნამდვილად ასეა.

**რეჟისორი:** მიუხედავად იმისა, რომ არ გეთანხმებით, მე მაინც თანახმა ვარ. თქვენ იცით – მე ჯიუტი კაცი ვარ. ჩემი დაყოლიება არც ისეთი იოლი საქმეა, თუმცა მე ჯიუტი კაცი ნამდვილად არა ვარ – თქვენ ეს იცით – ჩემი დაყოლიება ძალიან ადვილია, ამიტომაც არ მოგიყვებით მოკლე შინაარსს, თუმცა მოკლე შინაარსს მაინც მოგიყვებით.

**ბატონი ბენო:** ასე არ ჯობია, კაცო!

**რეჟისორი:** ერთი სიტყვით: ოტელო და დეზდემონა ცოლ-ქმარი გახლავთ. ოტელო – შავკანინანია. დეზდემონა – ქერა და უმანკო, მაგრამ იაგო – ბოროტი თანაშემწე ოტელოსა – ცილს დასწამებს დეზდემონას: ოტელოვ, ეს შენი ცოლი ვინმე კასიოსთან გღალატობსო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იაგო ოსტატურად მანევრირებს ცხვირსახოცით. საბოლოოდ, ეჭვიანობისაგან გონებადაბინდული ოტელო უმანკო დეზდემონას დაახრჩობს და მერე თავსაც მოიკლავს, რადგან გაირკვევა, რომ იაგო მას საშინლად ატყუებდა. სიმართლის დადგენაში ოტელოს იაგოს ცოლი, ემილია დაეხმარება. ამის მერე, გადის თითქმის ორი საუკუნე და ჯუზეპე ვერდი ამ პიესის მიხედვით წერს ოპერას სახელად: "დაისი"... უფრო სწორად, "ოტელო".

**ბატონი ბენო:** ესეც ჩვენ უნდა დავდგათ?

**რეჟისორი:** არა, ამჯერად მხოლოდ პიესაზე შევჩერდებით. მოკლე შინაარსი ასეთია. ახლა ჩვენი ვალია, რომ ეს სიუჟეტი რაც შეიძლება კარგად დავამახინჯოთ.

**ლალი:** სკანდალურად დავდგათ, რა!

**მიშიკო:** ფილმებში როა, ისე.

**ბატონი ბენო:** (რეჟისორს) რა დასამალია, ბატონო თამაზ, და მეც ძალიან მინდა, რომ ჩვენი სპექტაკლი სკანდალური იყოს – ახლა ასეთი რამეები მოდაშია ფრიად, ძალიან, კი, დიახაც.

**რეჟისორი:** დე, იყოს ასე. მოდი, გმირებზე ვისაუბრით, ოღონდ – სკანდალურად!

**ლალი:** იფ-იფ-იფ! გული უნდა მოვიფხანო, რა!

**რეჟისორი:** მე მგონია, რომ სპექტაკლი პერვერსიული უნდა იყოს.

**ბატონი ბენო:** (ვერ გაიგებს) რაო?

**რეჟისორი:** ოტელო და იაგო, ჩემეული შეხედვით, აშკარად ჰომოსექსუალისტები არიან, ისევე როგორც დეზდემონა და ემილია – ლესბოსელები. ბოლო, სადღაც ბოლოსკენ, მინდა, რომ როდრიგომ – გმირია ასეთი – ჩაიხადოს და სცენაზე მოისაქმოს.

**მიშიკო:** აქ ტაში იქნება ნაღდად.

**ბატონი ბენო:** ბოდიში და, მე ხომ არ ვთამაშობ მაგ ნოდარის როლს?

**რეჟისორი:** ნოდარის არა – როდრიგოს!

**ბატონი ბენო:** სულ ერთია!

**რეჟისორი:** არა, ბატონო ბენო, თქვენ დეზდემონას მამის როლს თამაშობთ.

**ბატონი ბენო:** მე თუ ვაკეთებ რამეს, უკაცრავად პასუხია და, სკანდალურს?

**რეჟისორი:** როგორც თქვენ ინებებთ.

**ბატონი ბენო:** ნამეტანსაც ნუ გამაკეთებინებთ! შვილიშვილები იჯდებიან დარბაზში და არ მინდა ბოვშებს პრემიერაში ჩოუჯვა.

**ლალი:** (კისკისით) აუფ, როგორი თქმა იცით ხოლმე რა, ბატონო ბენო!

**რეჟისორი:** კასიოს რა ვუყოთ?

**ბატონი ბენო:** მგონია, ეგეც ფეჩნიკი უნდა იყოს.

**რეჟისორი:** იქნებ, საერთოდ, ამოვიღოთ?

**ბატონი ბენო:** აბა, რა! რა ჯანდაბად გვინდა კასიო! ოტელო ხო გვყავს.

**რეჟისორი:** მე თუ მკითხავ, იაგოც უნდა ამოვიღოთ – ზედმეტად სტერეოტიპური პერსონაჟია.

**ბატონი ბენო:** დროს ნუღარ დავკარგავთ, ბატონო თამაზ, დავგეგმოთ გასტროლები!

## სცენა 2

პრემიერა

"ოტელოს" ფინალური სცენა

დეზდემონა მივარდება მოახლე ემილიას.

**დეზდემონა:** კოცნით დაგაკვდები, ემილია!

დეზდემონა ემილიას ახრჩობს. შემორბის ოტელო.

**ოტელო:** რა ჰქენი, წყეულო დეზდემონ! მოახლე მოჰკალ! რატომ?

**დეზდემონა:** ეს მე ვიცი, რატომაც! (უახლოვდება ოტელოს)

**ოტელო:** არ მომეკარო! ვაჰმე, არ მომეკარო, დეზდემონ!

**დეზდემონა:** (ცდილობს ოტელოს დახრჩობას) ჩაძაღლდით, ქმაროვ!

**ოტელო:** ოჰ, ეს ფემინიზმი, ოჰ, ეს ფემინიზმი! (კვდება)

**დეზდემონა:** (ჩადის დარბაზში) მაყურებელი მოკვდა. (ეცემა)

შემორბის როდრიგო, იხდის შარვალს, იკუზება და "ისაქმებს".

***ფარდა***

## სცენა 3

პრემიერის შემდეგ

რეჟისორი თავის სახლშია. ერთადერთი რეცენზია, რომელიც მისი სპექტაკლის შესახებ დაიწერა, რეჟისორს კედელზე აქვს გაკრული.

ღამეა. ისმის კაკუნი.

რეჟისორი: ვინ უნდა იყოს ამ შუაღამისას! ალბათ, მეზობელია, ტელეფონზე უნდა დარეკვა. მოვდივარ!

უეცრად კედელი გადმოინგრევა, ნანგრევებს შორის ადამიანის სილუეტი გამოიკვეთება.

რეჟისორი: (ცახცახებს) ვინ ხართ?

ადამიანის სილუეტის ხმა: ვერ მიცანი?

რეჟისორი: ბატონო ედუარდ, თქვენა ხართ?

ხმა: არა.

რეჟისორი: აბა, ვინ?

ხმა: მე ვარ მისი უდიდებულესობა ელისაბედ პირველის კარის პოეტი და ლორდ საუდჰემპტონის (თუ რაღაც ამისმაგვარის) დასის ხელმძღვანელი – უილიამ შექსპირი, "გლობუსის" თეატრიდან.

რეჟისორი: მე ეს მესიზმრება?

შექსპირი: ნეტავი, მართლაც სიზმარი იყოს! მოემზადე, რეჟისორო, ყველა ცოცხალი და მკვდარი დრამატურგის სახელით შენ გალახული და ნაცემი შეიქნები სულ რაღაც ხუთიოდ წამში!

რეჟისორი: ვაიმე, დედა...

შექსპირი: ჩემი სახელით, ანტონ ჩეხოვის, ჰენრიკ იბსენის, ფრიდრიხ შილერის, შადიმან შამანაძის და სხვა წამებულ ავტორთა სახელით – მიიღე ეს პირველი დარტყმა!

უილიამ შექსპირი რეჟისორის გასალახად გაიწევს.

**ფარდა (ამჯერად, ნამდვილი)**



## TV პროგრამა 18 ივლისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა". მთ. როლში: დენიელ რედკლიფი

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
13.00 "ნაშუადღევს"
14.05 ქიმერიონი
14.40 "ზუმი"
15.15 მხ.ფ. "ცოფიანი"
16.25 "ეგვიპტომანია"
17.15 "ჩვენ"
17.30 "საკალათბურთო მიმოხილვა"
18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 ისტორიანი
19.40 ბასტი-ბუბუ
20.55 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
21.50 "თბილისის დროით"
22.15 თეთრი ფარდა
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 მხ.ფ. "მსახური ქალი ტიტანიკიდან"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 შვიდეული
20.30 დოკ. ფილმი
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "დეტოქსაცია

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "გაუმარჯოს რესპუბლიკას"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.25 საგავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ. ფილმი "სასტიკი თამაშები - 2"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "... ღმერთმა შექმნა ქალი"
22.30 მხ. ფილმი "სასოწარკვეთის საათები"
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "ოცეულები" განმეორებით
12.30 "მო" განმეორებით
14.30 მხ.ფილმი
16.10 მუსიკა
17.35 "სწ.მედია" მხ.ფ. "ბიჭები და გოგოები"
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძირობანა
22.00 ევრო-ქართული ათეული
23.00 "სოლო"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ალი". მთ. როლებში უილ სმიტი, ჯონ ვოიტი
01.45 "ღამურა" მხ.ფ. "თავდასხმა დედოფალზე". მთ. როლებში რობ ესტესი, ჯო ლანდო
03.35 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ "სეიფების მძარცველი"
13.55 მხ.ფ "გამანადგურებელი"
16.00 დოკ. ფილმი
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "პაროლი ხმალთევზა"
19.20 სპექტრი
21.00 სერიალი "ჩრდილოეთი და სამხრეთი" 21.45 მხ. ფილმი "შავი ქორის დესანტი"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადია" მე-7 სერია
09.45 საგავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-7 სერია
10.15 დოკ. სერიალი "ჩემი ქვეყანა"
10.30 მხ. ფილმი ":ანა დარკი"
13.35, 19.00 დისქავერი
14.45 მთავარი თემა
15.30 მხ. ფილმი "მოულოდნელად შარშან ზაფხულს" მთ. როლებში: ელიზაბეტ ტეილორი, მონტგომერ კლიფტი, კეტრინ ჰეპბერნი
17.20, 18.45, 20.20, 23.50, 00.20 მუსიკა
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" მე-8 სერია
18.15 საგავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-8 სერია
19.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
21.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
21.30 მთავარი თემა
22.15 მხ. ფილმი "გამჭოლი თამაში" მთ. როლებში ჯეჭს სკალია, ელიოტ გულდი, კასპერ ვან დინი
00.40 მხ.ფილმი "ჩინური რულეტკა" მთ.როლებში ანა კარინა, მარგარეტ კაირსტენსენი, ბრიჯიტ მირა

**წინა ნომერში გამოქვეყნებული იაპონური კროსვორდის პასუხი**



### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 სათავგადასავლო ფილმი "სტიუარტ ლიტლი"
10.50 საგავშვო ვიდეო -ენციკლოპედია
11.30 ქართული დოკუმენტური ფილმი "ქართული გამბიტი"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ისტორიული ფილმი "სპარტაკი"
15.15 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი
17.40 კომედია "დიდი სექსის პატარა ბიგანტი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 " Пресс-папье"
19.40 მსოფლიო კინოს კლასიკოსები "იზაბელი"
21.15 ფილმები ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 დოკუმენტური ფილმი
01.05 მხატვრული ფილმი "შიშის ქალაქი"
03.30 მხატვრული ფილმი "პატარძალი"

### VII არხი

09.00 ანონსი 09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 "აჩიკუდა"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.45 მოკლედ... სპორტი
10.50 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" (განმეორებით)
11.00 მუსიკალური ბიორითმი - რიკი მარტინი
11.25 მულტსერიალი
11.40 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.45 მუსიკალური ტაიმაუტი
12.05 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.40 დისნეი და მისი მეგობრები
13.00 "სახლიდან გაუსვლელად"
13.45 სპორტი
13.50 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "პაემანი"
20.30 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.50 მუსიკალური ობიექტივი
21.10 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.20 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.50 მოკლედ... სპორტი
21.55 მუსიკალური ტაიმუტი
22.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.15 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "ოპერაცია "ტუშონკა" საფრანგეთი. 1991 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - ჟან მარი პუარე. როლებში: კრისტიან კლავიე, ჟან რენო, იზაბელ რენოლდი.
23.55 პრესის მიმოხილვა
00.15 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.15 მუსიკალური ბიორითმი - რიკი მარტინი
01.40 მხ.ფ. ჟანრებში: - "დევნა" - მე-2 სერია. ა.შ.შ. 1999 წელი. კომედია. რეჟისორი - ჯონ ბედჰემი. როლებში: რიჩარდ დრეიფუსი, ემილიო ესტევეზი.
03.05 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 "НЕУДЕРЖИМЫЙ"
12.10 КОАПП 12.35 Дисней-клуб.
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.15 "Форс-Мажор" с Николаем Фоменко.
15.00 "Народ против". Телеигра.
16.15 Док. фильм "Дикие штучки"
16.45 "Ералаш"
16.55 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.50 "САЛОМЕЯ"
20.15 х.ф. "СМЕРТЕЛЬНАЯ СХВАТКА"
22.00 Время.
22.35 "Русская рулетка"
23.25 Человек и закон
00.05 "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
01.00 Ночное "Время"
01.30 "Формула власти"
02.00 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ"
02.50 "Человек ниоткуда"

### РТР

06.50, 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.15 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 17.45 Афиша
07.40, 19.05 Дорожний патруль
08.10, 09.40, 17.40 Экспертиза РТР
08.25, 09.10 Вести-спорт
09.15 Открытая таможня
10.10 "ЖАРА В ЛОС-АНЖЕЛЕСЕ"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "ВСЕ НАЧИНАЕТСЯ С ДОРОГИ"
13.55 Док. фильм "Роман императрицы"
14.30 Сериал "БЕТТИ"
15.25 "Что хочет женщина"
16.10 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ"
17.10 Сериал "ДРУЗЬЯ-5"
18.20 Док. Фильм "Союз бывшых"
19.50 Сериал "КОМИССАР РЕКС"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "ПРОФЕССИЯ - СЛЕДОВАТЕЛЬ"
22.55 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ТАЙНА ИСПАНСКОГО СУНДУКА"
00.30 х.ф. "МЕЛКИЕ МОШЕННИКИ"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.50 х.ф. "ПОЛИЦЕЙСКИЕ: СМЕРТЕЛЬНЫЙ ПОЕДИНОК"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня.
11.25 Чистосердечное признание
11.55 Шоу Елены Степаненко.
13.20 "ДВЕНАДЦАТЬ СТУЛЬЕВ"
15.05 "Принцип "Домино"
16.25 "Дьявольская сумка"
17.30 х.ф. "ПОД КРЫШАМИ БОЛЬШОГО ГОРОДА"
18.35 Сериал "ГРЯЗНАЯ РАБОТА"
19.40 Криминал
20.35, 00.30 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
21.45 х.ф. "ПОД КРЫШАМИ БОЛЬШОГО ГОРОДА"
23.35 Совершенно секретно
00.35 "О, счасливчик!"
02.10 "ПРОБУЖДЕНИЕ"
02.55 Кома

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 32 23 71

იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში